

ნელინ ნიჟარაძე

აჭარის აღვური მუხრნეობა



აჭარის ახსრ სახელმწიფო გამომცემლობა

19' გათუფი 48

ნალინ ნიშარაძე

აჭარის ეღვუკი მუზრნეოზა
(სოიოლუო მუზრნეოზა)

აჭარის ასსრ სოხელმწიფო ზომომცემლოზა

19 ბ ა თ უ მ ი 48

რელატივისტობა

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოც. ნადიმ ნიქარაძის წინამდებარე შრომა „აქარის ალბური მეურნეობა“ წარმოადგენს ავტორის მიერ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე წარმატებით დაცულ საკანდიდატო დისერტაციის მოკლე შინაარსს.

შრომის მიზანია გააცნოს მკითხველს აქარის ალბური საძოვრების ბუნებრივი პირობები, მათი საწარმოო მნიშვნელობა, მეცხოველეობის საკვები ბაზის მდგომარეობა, აქარის ალბური მეურნეობის თავისებურება და ღონისძიებანი, რომლებიც ავტორის აზრით საჭიროა ჩატარდეს აქარის ალბური მეურნეობისა და საერთოდ აქარის მეცხოველეობის გაუმჯობესებისათვის.

მეცხოველეობა აქარის ასსრ ეკონომიკის ერთი მნიშვნელოვანი დარგთაგანია და, ცხადია, მხარის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიან გეგმაში მეცხოველეობის გაუმჯობესებაცაა ნაგულისხმევი. ნ. ნიქარაძის შრომა სწორედ ამ აქტუალურსა და საპატიო საქმეს ემსახურება.

აქარის საზაფხულო საძოვრებისა და ალბური მეურნეობის ირგვლივ თითქმის არავითარი ბეჭდვითი წყარო არ მოგვეპოვება. ნ. ნიქარაძის შრომა პირველია ამ საკითხის ირგვლივ გამოქვეყნებული და დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველი მას სიამოვნებით მიეგებება.

ა. მ.

თბილისი, 1948 წ.

წ ი ნ ა ს ი ტ ჯ ვ ა ო ბ ა

აჭარის მაღალმთიან სარტყელში, სადაც ჰაეა უფრო ცივი და ზაფხული ხანმოკლე, მიწათმოქმედება შეუძლებელი ხდება. სამაგიეროდ ამ სარტყელია საძოვრებზე კარგად ხარობს არონატული და ნოყიერი ბალახი, რომელსაც მოსახლეობა პირუტყვის საკვებად იყენებს. ასეთი საძოვრები ცნობილია ალპური საძოვრების სახელწოდებით.

ალპური საძოვრების გამოყენება აჭარაში უმეტესად საფეხურებით ხდება, რაც ნაკარნახევაა, ერთის მხრით, კლიმატური პირობების თავისებურებით და, მეორე მხრით, საბალახოების რაციონალური გამოყენების მიზნით.

გაზაფხულზე, როდესაც მთის კალთები თბება და ბალახით იფარება, მოსახლეობას პირუტყვი ალპურ საძოვრებისაკენ მიჰყავს და მაისის პირველ რიცხვებში პირუტყვი უკვე საძოვრების პირველ საფეხურზე აღის. აქ იგი დაჰყოფს დაახლოებით 20-30 დღეს და სითბოს მატებასთან ერთად ზევით მიიწევს და იენისის დასაწყისში თვით ალპურ მდელოებს მიადწევს, სადაც დაახლოებით სამი თვის განმავლობაში რჩება. შემოდგომაზე, სიცივის მატებასა და ბალახის გამოღვევასთან დაკავშირებით, პირუტყვი კვლავ თანდათანობით ბარში ეშვება.

აჭარის ალპური საძოვრები გამოყენებულია როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა ცხოველებსათვის. საძოვრების ვაკე და მცირეოდენ დაქანებული ადგილები განკუთვნილია მსხვილფეხა ცხოველთათვის, ხოლო ციცაბო და კლდოვანი ფერდობები—წვრილფეხა პირუტყვისათვის.

ალპურ საძოვრებზე მოსახლეობის შრომა-საქმიანობას შეადგენს რძის პროდუქტებისა და მატყლის დანზადება. მეცხოველეობის ასეთი ფორმა, რასაც ალპურ მეურნეობას უწოდებენ, საბჭოთა კავშირის მაღალმთიან ადგილებში სხვადასხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი; კერძოდ აჭარაში ვხვდებით ალპური მეურნეობის ტიპურ ფორმას.

ალპური საძოვრები, რომელზედაც დაჰოკიდებულია ისეთი დიდმნიშვნელოვანი და მაღალშემოსავლიანი დარგის განვითარება, როგორცაა მეცხოველეობა, განსაკუთრებული ყურადღების ობი-

ექტს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით ალპური მეურნეობის გაუმჯობესებისათვის მრავალ ღონისძიებას ატარებენ. შესაფერისი, მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ ალპური მეურნეობის პროდუქცია დიდად იზრდება, ხოლო ალპური საძოვრების მოუფლელობა, არაწესიერი გამოყენება, პირ-იქით, იწვევს მისი პროდუქტიულობის დაცემას.

აპარის ალპური საძოვრების პროდუქტიულობის დაცემას პირველ ყოვლისა ხელს უწყობს მისი მეტისმეტად გადატვირთვა. ამის გამო საკვები ბალახი ზიანდება, უკან იწვევს, ეს კი ხელს უწყობს უფარვის და სარეველა მცენარეების განვითარებას.

აპარის ალპური მეურნეობის სერიოზულ ნაკლოვანებას წარმოადგენს აგრეთვე ისიც, რომ ერთსა და იმავე საძოვრებზე სხვადასხვა სახის პირუტყვი ერთად ძოვს, არ ხდება საძოვრების განოყიერება, სარეველა ბალახებისაგან გაწმენდა, ჯაგებისა და ბუჩქების ამოძირკვა და სხვ.

აპარის ასსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონში ჩაწერილია: „უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარება და მნიშვნელოვნად იქნას გადაჭარბებული პირუტყვის სულადობის ომამდელი დონე... გაუმჯობესდეს პირუტყვის ძოვება ბუნებრივი საძოვრების სწორი გამოყენების ორგანიზაციის გზით და აშენდეს იქ საცხოვრებელი და საწარმოო შენობები, პირუტყვის გადასარეკი გზები და შეიქმნას ზამთრის საძოვრებზე საკვების მარაგი“.

ეს დავალება თავისთავად ლაპარაკობს იმაზე, თუ საითკენ უნდა იქნას გამახვილებული მშრომელთა ყურადღება მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში.

„ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წ. თებერვლის პლენუმის დადგენილება წარმოადგენს გაშლილ საბრძოლო პროგრამას ამ უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანის გადასაჭრელად. ამ ამოცანის სასახელოდ შესრულება მოითხოვს შეუნელებელ ბრძოლას მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. ეს კი აპარის სოფლის მეურნეობის წინაშე, სადაც ზაფხულის პერიოდში პირუტყვის საკვებს ძირითადად შთის ბალახი წარმოადგენს, გადაუღებელ ამოცანას აყენებს შესაფერისი ღონისძიებების გასატარებლად ალპურ მეურნეობაში არსებული ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრისა და მისი გაუმჯობესებისათვის. ასეთ ღონისძიებას ეკუთვნის საძოვრების გაწმენდა შხამიანი ბალახისა და ბუჩქებისაგან, საძოვრების განოყიერება, საკვები ბალახების შეთესვა, ძოვების წისების დაცვა და სხვ.

მართალია, ალპური მეურნეობის გაუმჯობესების ძირითად მომენტს თვით საძოვრების გაუმჯობესება და მისი წესიერი გამოყენება წარმოადგენს, მაგრამ ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ მეურნეობის ამ ფორმისათვის დამახასიათებელი ყველა სპეციფიკური მხარე, რაც საშუალებას მოგვცემს ამ დარგში არსებული გამოცდილება უფრო მიზანშეწონილად გამოვიყენოთ.

ალპური მეურნეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით საჭირო ღონისძიებების გატარება პირველ ყოვლისა მოითხოვს მაღალმთის სარტყლის ბუნებრივი პირობებისა და მისი ეკონომიური მხარის შესწავლას.

აჭარის ალპური საძოვრების შესწავლის ირგვლივ ასეთი სურათი გვაქვს: 1928 და 1932 წლებში აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინიციატივით მოწყობილ იქნა ექსპედიცია, რომლის ამოცანას შეადგენდა ნიადაგებისა და მცენარეული საფარის შესწავლა. აღნიშნული ექსპედიციის დროს მცენარეულ საფარს იკვლევდა დოც. ალ. მაყაშვილი, ნიადაგებს—დოც. ბ. კლოპოტოვსკი, ხოლო მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს პროფ. ბალაბუევის ხელმძღვანელობით ატარებდა პ. რომანოვსკი.

1936 წელს საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ჩატარა საძოვრების პასპორტიზაცია, რომელიც აჭარის საძოვრებსაც შეეხო. ექსპედიციისა და პასპორტიზაციის მასალები არ გამოქვეყნებულა. აჭარის ალპური მეურნეობის შესახებ სხვა არავითარი მასალები არ მოიპოვება.

წინამდებარე ნაშრომს საფუძვლად დაედო ჩვენს მიერ საძოვრებზე სპეციალურად ჩატარებული გამოკვლევა და ზემოხსენებული ექსპედიციების ძიერ მოპოვებული მასალები. შრომის მიზანია მკითხველს გააცნოს აჭარის ალპური მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა და მისი გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებები.

წიგნი წარმოადგენს აჭარის ალპური მეურნეობის დახასიათების პირველ ცდას და, ცხადია, მას არაერთი ნაკლი ექნება. ყოველგვარ საქმიან შენიშვნას სიამოვნებით გავიზიარებთ.

აჭარის ალპური საძოვრების ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები

ზედაპირი. აჭარის ალპური საძოვრების ტერიტორიის ქვემოთ ივლისსმება სახელმწიფო სასახლოვრო ქედები და ამ ქედების ცალკეული შტოების თხემოვანი ნაწილი. ეს ქედები წარმოადგენს აჭარის ოროგრაფიის საფუძველს, რომელიც შესდგება ორი განედობრივისა და ერთ მერედიანული ქედისაგან. განედობრივ ქედებს ეკუთვნის ერთმანეთის პარალელური აჭარა-გურიისა და შავშეთის ქედები, ხოლო მერედიანულა—არსიანის ქედი.

აჭარა-გურიის ქედი აჭარას აკრავს ჩრდილოეთიდან. ეს ქედი შავი ზღვის ნახლობლად ხუცუბნის ამალღებით იწყება, მიიძართება აღმოსავლეთისაკენ და მწვერვალ შავნაბადამდე გრძელდება. ქედის სიგრძე უდრის 55 კილომეტრს, დასავლეთიდან დაწყებული ნაბაძირამდე ქედის სიმაღლე თანდათანობით მატულობს, შემდეგ კი შუა და აღმოსავლეთ ნაწილში მისი სიმაღლე დაახლოებით თანაბარ ხასიათს ატარებს (საშუალოდ 2400-2750 მეტრი ზღვის დონიდან). ქედზე აღმართულია რიგი მწვერვალებისა, რომელთა შორის აღსანიშნავია: ზოტიმერია, თაგინური, ხინო, ნაბაძირი და სხვ.

აჭარა-გურიის ქედი მუდმივი თოვლის სიმაღლეს არსად არ აღწევს, მაგრამ ალაგ-ალაგ ტყის შესაძლებელი გავრცელების საზღვარს აღემატება და მისი ზურგი ალპური მდელოებითაა დაფარული, ხოლო ფერდობები შემოსილია ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეებით. ქედის კალთები, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში, საკმაოდ ჩამოკვეთილი და დახრამულია.

აჭარა-გურიის ქედის პარალელური შავშეთის ქედი, რომელიც აჭარას სამხრეთით აკრავს, მწვერვალ ყანლიდალადან გამოიყოფა არსიანის ქედს, მიიძართება დასავლეთისაკენ და მისი უკანასკნელი შევიწროვებული შტოები მდინარე ჭოროხამდე აღწევენ. შავშეთის ქედის სიგრძე 65 კილომეტრს აღწევს. მთავარი ქედიდან ჩრდი-

ლოეთისაკენ გამოიყოფა რამდენიმე შტო, რომელთა შორის აღსანიშნავია ნაშწვარევი და ღომა.

შავშეთის ქედიც, ისე როგორც აქარა-გურიისა, უდიდეს სიმაღლეს აღწევს მის აღმოსავლეთ ნაწილში (2400-2500 მ.). მთავარი ქედი მისი შტოებით ზოგან ძლიერ მაღლდება და აჩენს რამდენიმე მწვერვალს, რომელთა შორის აღსანიშნავია ხევა (2509 მეტრი ზღვის დონედან, ქედის ყველაზე უფრო მაღალი ნაწილი), სარიჩაირი, კორდა, გერათ-ქესუნი, ხედისმთა, ქვაკიბე, ღომა, შუბანდალი, ტბეთი, წინაველა, საყორნიათი და სხე.

შავშეთის ქედი თავისი ციცაბო ფერდობებით ძნელად მისაღვამია. ტყათ დაფარული მისი კალთები ძლიერ დასერილია მთის მდინარეთა მრავალი ხეობით და საზოგადოდ აქარის ეს ნაწილი მეტად დაქუცმაცებულ მთაგორიან მსარეს წარმოადგენს. ქედის თხემი უმეტეს მანძილზე დაფარულია სუბალპური და ნატყევეარი მდელოებით.

მერედიანული არსიანის ქედი აქარას აღმოსავლეთით აკრავს. აქარას ამ ქედის მხოლოდ ჩრდილო ნაწილი ეკუთვნის მწვერვალ ყანლიდალიდან ქებლიანისწყლამდე, რის შემდეგ მისი შტო საყულაფერდის საშუალებით ბოდიშის ვაჟასაკალთან აქარა-გურიის ქედს უერთდება. არსიანის ქედას სიგრძე აქარის ფარგლებში უდრის 40 კილომეტრს. არსიანას ქედიც დასავლეთისაკენ აქარის ფარგლებში გამოჰყუფს რამდენიმე შტოს, რომელთა შორის მთავარია: საყულაფერდი, კაშანსერი და შერთული. მთავარ ქედსა და მის შტოებზე გვხვდება მრავალი მწვერვალი. უმთავრესია: ყანლიდალი (ზღვის დონიდან 2987 მ., ქედის უმაღლესი წერტილი), ხირხათი, თლილი, ნაომარი, შევარდენა, ციფი-წყარო და სხე.

არსიანის ქედის სიმაღლე ტყის დღევანდელი გავრცელების საზღვარს აღემატება და მისი თხემი, აგრეთვე მისი შტოებიც ნაწილობრივ დაფარულია მაღალმთის მდელოებით, ქედის ფერდობები უმეტესად წიწვოვანი ტყეებითაა შემოსილი.

განხილული ქედები ძირითადად აგებულია პალეოცენისა და ეოცენის ხზოვანობის ტუფოგენური ქანებით. ტუფოგენები, უმთავრესად წარმოდგენილია სხვადასხვაგვარი ტუფობრეკიებით, რომელთაც ახასიათებს ლოდებრივი და ფიქლობრივი განაწევრება. ამ ქანების მინერალოგიურ შემადგენლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მინდვრის შპატი, ალუმო-სილიკატები, ზოგან ტუფოგენები გადაფარებულია უფრო ახალგაზრდა ეფუზიებით, რომლის შემადგენლობაში შედიან ბაზალტები, ანდეზიტები, ანდეზიტო-ბაზალტები და იშვიათად ტრაქიტებიც. ეს ეფუზიები აკე-

ბენ მთლიანად მწვერვალებს, ანდა აქვთ საფარველის სახე, რომლითაც დაფარულია ტუფოგენებისა და სხვა ქანებისაგან შემდგარი საკმაოდ ფართო ზედაპირი, როგორც, მაგალითად, გოდერძის რაიონში და სხვ.

აპარის ალპური ზონის თავისებურებას წარმოადგენს მისი დიდი სიგრძე და ნაკლები სიგანე, რაც ოროგრაფიული პირობებით აიხსნება. ქედები გრძელი და ვიწროა, ამიტომ აპარის ალპური საძოვრების სიგანე უმნიშვნელოა, იგი ათეული მეტრიდან დაწყებული 4 კილომეტრამდე აღწევს. საშუალოდ კი 2 კილომეტრს უდრის. არც სიმაღლის შიხეღვითაა იგი დიდად განვითარებული. ვერც ერთი მწვერვალი ზღვის დონიდან 3.000 მეტრს ვერ აღწევს. აპარის უმაღლესი მწვერვალის—ყანლიდალის სიმაღლე 2897 მეტრს უდრის ზღვის დონიდან.

განხილული ქედების თხემოვანი ნაწილის საშუალო სიმაღლე დაახლოებით 2300 მეტრით განისაზღვრება, ხოლო მთის მდელოები ჩვეულებრივ განვითარებულია ზღვის დონიდან დაახლოებით 2.000 მეტრის სიმაღლეზე. აქა-იქ კი შეგვხვდებიან მდელოებს ამ სიმაღლეზე უფრო დაბლა დაშვებულს. ასე, რომ აპარის მთის მდელოების ვერტიკალური გავრცელება საშუალოდ 400 მეტრით განისაზღვრება. ამიერკავკასიის სხვა მთიან რაიონებში კი მთის მდელოების თანამედროვე ზონა ხასიათდება გაცილებით უფრო დიდი ვერტიკალური განვითარებით. ასე, მაგალითად, ჯავახეთში ის უდრის არანაკლებ 600 მეტრს, სამხრეთ ოსეთში—600-700 მეტრს, ხოლო ალაგოვში 1.000 მეტრსაც აღემატება.

კლიმატი¹⁾. საკვლევა რაიონის კლიმატური პირობები სამი ძირითადი ფაქტორის გავლენის ქვეშ იმყოფება: 1) შავი ზღვის სიახლოვის, 2) სიმაღლის და 3) ოროგრაფიული პირობების. შავი ზღვა ალპური საძოვრებიდან პირდაპირი ხაზით დაშორებულია 20-40 კილომეტრით, ამიტომ მისი გავლენა მაღალმთის კლიმატურ პირობებზე საკმაო დიდია. ეს პირველი ფაქტორი განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს ტენიანობაზე; მეორე ფაქტორი—სიმაღლე—უმთავრესად დაღს ასვამს თერმულ რეჟიმსა და ნაწილობრივ ჰაერის ტენიანობაზე; ხოლო მესამე—არეგულირებს

¹⁾ გამოყენებულია აპარისწყლის ხეობაში არსებული მეტეოროლოგიური სადგურების (ხულო, ფურტო), მაღალმთის სარტყლის სადგურ ბახმაროს მონაცემები. გამოყენებულია აგრეთვე 1932 წლის ზაფხულის პერიოდში ჩატარებულ ბოტანიკურ ექსპედიციის დროს პ. რომანოვსკის მიერ მიღებული მონაცემები, რომელიც პროფ. ა. ბალაბუევს აქვს ხელნაწერი სტატიის სახით ჩამოყალიბებული.

ჰაერის ადგილობრივი დინების განაწილებასა და წყლის ორთქლისა კონდენსაციის პროცესებს. განვიხილოთ კლიმატის ცალკეული ელემენტი.

ჰაერის ტემპერატურა (დაკვირვებანი 1932 წ. 7 ივლისიდან 6 აგვისტომდე). დაკვირვების შედეგად ექსპედიციის მიერ მიღებულია ტემპერატურის შემდეგი საშუალო დღეღამური სიდიდეები:

დაკვირვების პუნქტები	სიმაღლე ზღვის დონიდან	ჰაერის საშუალო ტემპერატურა	ხულოსთან შედარებით (868 მ.) ტემპერ. შემცირება
იაილა ჩირუხი	2120 მ.	11,1°	6,8°
სანალია	2049 მ.	10,9°	6,8°

თუ დაეუპირდაპირებთ უფრო მაღალ პუნქტებსა და ხულოში დღის პირველ საათზე განზომილ ტემპერატურას, სხვაობას უფრო მეტს მივიღებთ:

დაკვირვების პუნქტები	სიმაღლე ზღვის დონიდან	ჰაერის ტემპერატურა	ხულოსთან შედარებით (863 მ.) ტემპერ. შემცირ.
მთა შერთულის მწვერვალი	2699 მ.	16,7°	13,2°
გადას. შერთული (კალოთასა და მთა ჩირუხის იაილებს შორის)	2470 მ.	9,4°	12,2°
მაღალმთის თხემი	2300 მ.	8,2°	11,0°
სანალიას იაილა	2280 მ.	16,6°	6,6°
შუბანდალის მწვერვალი	2554 მ.	11,3°	11,3°

როგორც ვხედავთ, მაღალმთის ტემპერატურის შემცირება ხულოსთან შედარებით საშუალოდ უდრის 10,9°. თუ გავითვალისწინებთ მთებში სითბოს რეჟიმის საერთო თავისებურებას და დაეყრდნობით ამავე დროს პროფ. ა. გ. ბალაბუევის მიერ მოცემულ შედეგებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარის ალპურ საძოვრებზე ზაფხულის პერიოდში ჰაერის ტემპერატურის საშუალო დღეღამური სიდიდეები შეადგენს 12-13°, ბახჩაროსათვის ზაფხულის საშუალო ტემპერატურა შეადგენს 12°-ს, ხოლო უთბილესი თვის—აგვისტოს საშუალო ტემპერატურა—13°-ს. საკვლევ რაიონში პროფ. ა.

გ. ბალაბუევის მონაცემების მიხედვით, ზაფხულის პერიოდში მიწი-
მალური ტემპერატურა ეცემა 2.3⁰-მდე. ადვილი შესაძლებელია,
რომ შესაფერ პირობებში ზოგან ლამის ტემპერატურა ეცემა 0⁰-მდე,
ინსოლაციისათვის ხელშეწყობი პირობების გამო. მზის ამოსვლის
შემდეგ მთაში ჰაერის გათბობა ჩქარა იწყება, შუადღისას ჰაერის
საშუალო ტემპერატურა 18-20⁰ უახლოვდება, ხოლო მაქსიმუმი მახ-
ლობელ სადღურთა მონაცემებზე შედარებისა და თეორიულ მოახ-
რებებზე დაყრდნობით შეიძლება აღწევდეს 25⁰-ს. საღამო საათებ-
ში მიმდინარეობს ჰაერის ტემპერატურის ჩქარი დაცემა, რაც მჭიდ-
როდაა დაკავშირებული ამინდის მდგომარეობაზე. საშუალოდ მისი
სიღიდეები 9-12⁰-მდე მერყეობს.

ამრიგად, ჰაერის ტემპერატურის დღელამური ამპლიტუდა
ზაფხულის პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანია და 15-20⁰ ფარგ-
ლებში ჰერყეობს, ცალკეულ დღეებში იგი 25⁰ აღწევს, რაც საერ-
თოდ მთიან ადგილებს ახასიათებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ
ავვისტო რამდენადმე თბილია, ვიდრე ივლისი. მაქსიმუმის გადა-
ნაცვლება ავისტოზე საერთოდ მთიანი რაიონებისათვის დამახა-
სიათებელია.

ქარები. როგორც ცნობილია, რელიეფის მრავალფეროვ-
ნების დროს ქარის რეჟიმის გამოკვლევა დიდ სიძნელეს წარმოად-
გენს, რადგან მისი მიმართულება და ძალა უაღრესად დამოკიდებუ-
ლია ქედებისა და ხეობების მიმართულებაზე, იმაზე, თუ როგორია
მთი მდებარეობა საერთოდ ჰაერის დინებათა მიმართ, როგორია
ზედაპირის ხასიათი და ა. შ. აქარის ალპურ სარტყელში დილის
და განსაკუთრებით კი საღამოს საათებში ქარი უმეტესად აღმო-
სავლეთიდან ქრის, ხოლო შუადღისას — დასავლეთიდან. ქვემოთ
მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ქარების მიმართულების შემთხვევებ-
ში ზემოხსენებული ექსპედიციის მუშაობის პერიოდში:

დაკვირვების დრო	დასავლეთის ქარები	აღმოსავლეთის ქარები
დიღის 7 საათი	46 %	54 %
დღის 1 საათი	89 %	11 %
საღამოს 9 საათი	19 %	81 %

ასეთსავე სურათს იძლევა ბახმაროს მეტეოროლოგიური სად-
გურიც, სადაც დღის საათებში ყველაზე მეტად მეორდება დასავლეთ-
ის ქარები, რომლებიც უნდა ქროდნენ შავი ზღვიდან. პროფ. ა.
გ. ბალაბუევის მიერ აღნიშნული ქარები ზაფხულის პერიოდში,
განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, საკვლევი რაიონის დამახა-
სიათებელ ქარებად უნდა ჩაითვალოს, რაც დასტურდება ქვემო
რაიონების მონაცემებითაც.

ქარების სიჩქარე, ექსპლდციის მიერ ჩატარებულ დაკვირვებათა მიხედვით, ჩვეულებრივად ზომიერ სურათს იძლეოდა. დილისა და საღამოს საათებში არ აღემატება 3-4 მ/წ., შუადღისას — 5-6 მ/წ., ხოლო დღის განმავლობაში (18-20 ივლისი) შემჩნეული იყო უფრო ძლიერი დასავლეთის ქარები. ცხადია, ცალკეულ მომენტებში უფრო ძლიერი ქარის ამოვარდნის შესაძლებლობაც გამორიცხული არაა.

ქარის სიჩქარეზე ჩატარებული დაკვირვების შედეგები, სამი ვადის მიხედვით საშუალოდ უდრის:

7 საათზე—2,2 მ/წ.

13 საათზე—4,7 მ/წ.

2 საათზე—2,6 მ/წ.

საშუალო სიჩქარე სამივე ვადის მიხედვით უდრის 3,0 მ/წ.

როგორც ეს მონაცემები გვიჩვენებენ, ქარი შუადღისას უფრო ძლიერდება. მოიალალეთა გადმოცემით, ქარები უდიდეს ძალას აღწევს შემოდგომობითა და ზამთრობით, ხოლო უმცირესს — გაზაფხულზე. ქარი გაძლიერებას ივლისიდან იწყებს.

ტენიანობა. ზაფხულის ერთსა და იმავე პერიოდში საძოვრების სხვადასხვა ადგილას ჩატარებულ დაკვირვებათა მონაცემების შედარება ხულოს მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებთან ჰაერის აბსოლუტური სინოტივის მხრივ, შემდეგ სურათს იძლევა: საშუალო სიდიდე უდრის 6-7 მ/მ. დღე-ღამური სვლა ისეთივეა, როგორც ტემპერატურისა. მინიმუმი მოდის დილის საათებზე, ხოლო მაქსიმუმი — შუადღეზე, როდესაც ტემპერატურა მატულობს და ფერდობები თბება, ჩნდება ჰაერის აღმავალი დენი, რომელსაც ზევით თან მიაქვს ორთქლი და ამის გამო აბსოლუტური ტენიანობა მთაზე მატულობს; ღამით კი დამავალ დენს მოაქვს მშრალი ჰაერი და ამცირებს აბსოლუტურ ტენიანობას. რაც შეეხება შედარებითს ტენიანობას, ექსპლდციის მიერ მონაცემი მასალების მიხედვით, ზაფხულში შეიძლება საშუალოდ 75 %-მდე ჩაითვალოს. ამავე დროს დადასტურებულია, რომ ეს მეტეოროლოგიური ელემენტი აქ დიდად მერყევია, რაც 17-დან 100% ფარგლებითაა გამოსახული. როგორც ცნობილია, მთებში ზაფხულის პერიოდში შეფარდებითი ტენიანობა მაქსიმუმს აღწევს, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ამ დროს აქ გაძლიერებულია აღმავალი დენით ორთქლის წალევა ზემოთ ხეობისაკენ. ეს მოვლენა აქარის მაღალმთის სარტყელში თვალსაჩინოდაა გამოსახული.

ამ ელემენტის დღეღამური მსვლელობაც საკმაოდ მკაფიოდაა გამოხატული. დილის საათებში ჰაერის შედარებითი ტენიანობა

ხობა საშუალოდ 80%-ს აღწევს, შუადღისას, როცა ჰაერი უფრო მშრალია, ის მკირდება 65%-მდე, მაგრამ ქვედა სარტყელთან შედარებით რამდენადმე მაღალია, საღამოს კი ბევტრად იზრდება, გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ქვემო სარტყელში და აღწევს 85%-მდე; ამრიგად, ტენიანობის მინიმუმს ადგილი აქვს შუადღისა და მაქსიმუმს—საღამოს საათებში, წინააღმდეგ ქვემო სარტყელისა, სადაც მაქსიმუმი ჩვეულებრივად დილით იწყება. შეფარდებითი სინოტივის ასეთი მსგელობა მაღალმთის სარტყელში დამახასიათებელია მთების ასეთი სიმაღლეებისათვის.

ღრუბლიანობა. წყლის ორთქლის რეჟიმთან მკიდროდ არის დაკავშირებული ღრუბლიანობა. ზემოხსენებული ექსპედიციის მიერ ჩატარებული დაკვირვებების მიხედვით, ღრუბლიანობა საშუალოდ უდრის: დილით—5,5, შუადღისას—6,0, საღამოს—7,0, საშუალოდ—6,0, ღრუბლიანობის ასეთი სიდიდეები სავსებით დამახასიათებელია მაღალმთის სარტყელისათვის ზაფხულის პერიოდში. იენისში ღრუბლიანობა რამდენადმე უფრო კლებულობს და საშუალოდ 5,0—5,5-ს არ აღემატება. ეს დაკლება ხდება უმთავრესად საღამო საათების ხარჯზე.

ნახლი ჩვეულებრივი მოვლენაა მაღალმთიან ადგილებისათვის და, ცხადია, აქარის მაღალმთის სარტყელი ამ მხრივ გამონაკლისს არ შეადგენს, პირიქით, აქ ადგილი აქვს რამდენადმე ნისლიანობის სიხშირეს, რაც ზღვის სიახლოვითაა გამოწვეული.

ატმოსფერული ნალექები. აქარის მაღალმთის სარტყელში ატმოსფერული ნალექების რეჟიმის შესახებ უნდა დავეყრდნოთ მეზობელი სადგურების მონაცემებს, თეორიულ მოსაზრებებს და ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან მიღებულ ცნობებს. ამ გზით მიღებული მონაცემების საფუძველზე აქარის მაღალმთის სარტყელში ნალექების წლიური ჯამი საშუალოდ 1300 მ/მ. უნდა აღწევდეს, ისე როგორც მთელ მხარეში, ნალექების მაქსიმუმი აქაც გვიან შემოდგომაზე მოდის და ნაწილობრივ ზამთრის პერიოდზე. მთავარი მინიმუმი ხვდება ზაფხულის მეორე ნახევარს.

გაზაფხულს ახასიათებს ნელექების მეორეული აღმავლობა—გადიდება. ნალექების საშუალო რაოდენობა ხულოსა და ბახმაროს მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების მიხედვით, ივლისში 80 მ/მ. აღემატება. უფრო ხშირად 70-100-მდე მერყეობს. აგვისტოში ნალექები ნაკლებია და ჩვეულებრივ 20-100 მ/მ. ფარგლებში მერყეობს. ასეთი მნიშვნელოვანი მერყეობა დამახასიათებელია მთელი მხარისათვის. უდავოა ისიც, რომ ცალკეულ წლებში ნალექთა სიდიდის მერყეობა გაცილებით მეტი იქნება. მკვიდრ მცხოვრებთა



თოვლი ზაფხულში

გადმოცემით, საძოვრების სარტყელში გვალვაც იცის, რაც უმთავრესად აგვისტო-სექტემბრის თვეებზე მოდის. გარდატეხა მშრალი ამინდებისაკენ ჩვეულებრივად ივლისის შუა რიცხვებში იწყება.

ინტერესს მოკლებული არაა ისიც, თუ როგორ იცვლება ნალექთა რაოდენობა სიმაღლის მიხედვით. არსებული მეტეოროლოგიური სადგურები ამ მხრივ ასეთ სურათს გვაძლევენ:

ადგილის დასახელება	სიმაღლე ზღვის დონიდან	ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა
ბათუმი	3	2402 მ/მ.
ქედა	213	1639 მ/მ.
ხულო	868	1274 მ/მ.
ბახმარო	1300	1300 მ/მ.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად ნალექები მცირდება და მაღალმთაში კვლავ მატულობს.

მეზობელ მხარეებთან შედარებით, აჭარის მაღალმთიანი ნაწილი ნალექების დიდი რაოდენობით ხასიათდება, რაც ზღვის გაულენის შედეგს წარმოადგენს. ქედები, რომლებიც სამი მხრით საზღვრავენ აჭარის ტერიტორიას, იფარავენ მას მშრალ კონტინენტურ და ცივ კლიმატურ გავლენისაგან. ამავე დროს შავი ზღვისაკენ მიშვებული კალთები აკავებენ ზღვიდან ქარების მიერ მოტანილ სითბოსა და სინოტივეს.

„აჭარის საძოვრებზე ჩატარებული დაკვირვება,—სწერს ბ. კლოპოტოვსკი,—აშკარად გვიჩვენებს ტენიანობის წყაროს: ღრუბლები, რომელთაც მოაქვთ წვიმა და სქელი ნისლი, ყოველთვის ზღვის მხრიდან მოდის. გოდერძის გაღმასავლელის თავზე მდებარე სიმაღლეებზე ჩატარებული დაკვირვებით შეიძლება მრავალჯერ შეგვენიშნა, თუ როგორ თანდათანობით ავსებდნენ ღრუბლები აჭარისწყლის ხეობას, შემდეგ აღწევდნენ გოდერძის გაღმასავლელს, აქ წყდებოდნენ და აღმოსავლეთით, ახალციხის მხრისაკენ თანდათანობით ქრებოდნენ. ზაფხულის თვეებში აჭარის მწვერვალებიდან სამხრეთ აღმოსავლეთით, სომხეთისაკენ ჩვეულებრივ ყოველთვის მოჩანდა უღრუბლო, ლურჯი (ა მაშინ, როდესაც მოპირდაპირე მხარეზე, შავი ზღვისაკენ მთები ჩვეულებრივ ნისლში იყო გახვეული“. (25).

ზღვის ასეთი გავლენით აიხსნება, მაგალითად, ის გარემოება, რომ არსიანის ქედის დასავლეთით ხულოში ნალექების რაოდენობა 1274 მ/მ. უდრის, ხოლო ამავე ქედის აღმოსავლეთით აწყურში, რომელიც ხულოსაგან 75 კილომეტრით არის დაშორებული, ნალექთა წლიური რაოდენობა 526 მ/მ. არ აღემატება.

თოვლი. აჭარის მაღალმთიანი სარტყელი კავკასიის სხვა ანალოგიურ რაიონებთან შედარებით, თოვლის წმლივრი დაგროვებით გამოირჩევა. თოვლის სისქე აქ ხშირად 2 მეტრს აღემატება. წლის განმავლობაში საძოვრების სარტყელში თოვლი 7-8 თვე ძევს. შავშეთის ქედის ჩრდილო კალთებზე, ზოგ ადგილებში თოვლი უფრო დიდხანს ძევს. საშუალოდ 20 მაისიდან ზედაპირი თოვლის საფარიდან უკვე თავისუფლდება, მაგრამ ზამთარში დადებული თოვლი იმ ადგილებში, სადაც რელიეფი ხელს უწყობს, ზაფხულის განმავლობაშიც მეორე თოვლამდე რჩება. თოვლის სიუხვე და მისი ხანგრძლივობა, რასაკვირველია, დიდ გავლენას ახდენს მაღალმთის მცენარეთა ცხოვრებასა და ხასიათზე.

ნიადაგები. აჭარის მაღალმთის ნიადაგები, ბ. კლოპოტოვსკის მიხედვით, ძირითადად განვითარებულია პალეოცენისა და ეოცენურ ტუფოგენურ ქანებზე. აქ ქანების მინერალოგიურ შემადგენლობაში, როგორც ნათქვამი გვექონდა, დიდ როლს ასრულებს მინდვრის შპატები და ალუმო-სილიკატები, რომლებიც აქაური ჰავის პირობებში ღრმა გამოფიტვას განიცდიან. გამოფიტვის პროდუქტების დაგროვება სუსტია, რადგან, ზედაპირის დიდი დაქანების გამო, ადგილი აქვს ინტენსიურ ჩამორეცხვას.

აჭარის მაღალმთის სარტყლის ნიადაგების განხილვამ და ამავე დროს მისმა შედარებამ ჯავახეთის, ალაგოზის, სამხრეთ ოსეთის და სხვა მთის მდელოების ტიპურ ნიადაგებთან მისცა ბ. კლოპოტოვსკის საშუალება დაესკვნა, რომ აჭარის მაღალმთის ნიადაგები უმეტეს შემთხვევაში მეორეული წარმოშობისაა. ეს ნიადაგები აქ განვითარებულია ადამიანის მიერ მოსპობილ მაღალმთის ტყეებისა და ღეკას ადგილას. აჭარის ალპური საძოვრების ზრდასა და ფორმირებაში ადამიანის როლი როგორც პირდაპირ, ისე ცხოველების უსისტემო ძოვების შედეგად საკმაოდ დიდია.

„პირუტყვი და ტყე, თუმცა შეუგნებელი, მაგრამ შეურიგებელი ძტრები არიან. როდესაც ძოვება მოწყისრიგებული არ არის, პირუტყვი ნაწილობრივ ჰამს შერქნიან მცენარეების ამონაყარს და უფრო მეტად კიდევ თელავს მას, ტყის ბუნებრივი განახლება აღარ ხდება და ტყე ისპობა“. (7).

აჭარის მაღალმთის ტყეებზე ადამიანის ასეთი გავლენა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძლიერდებოდა, რადგან მოსახლეობა ცდილობდა საძოვრები მაქსიმალურად გაეფართოვებინა. მოსპობილი ტყეების და ღეკას ადგილას წარმოქმნილი ნიადაგები სტიქიურად იფარებოდა ბალახით, რასაც თან სდევდა საქონლის გაძლიერებული და უსისტემო ძოვება. ცხადია, ამ გარემოებას არ შეეძლო თავისი დიდი არ დაესვა აჭარის მაღალმთიანი ნიადაგებისათვის.

ბ. კლოპოტოვსკის კლასიფიკაციით, აჭარის მაღალმთიან სარტყელში გავრცელებულია ნიადაგის შემდეგი ტიპები:

- | | |
|--|---|
| I. შა-ტყის ნიადაგები
(ზედა სარტყელის) | 1) გაწვრებული ყომრალი ნიადაგები |
| II. მეორეული მდელოების ნიადაგები | 2) ნეშომპალა კარბონატული ყომრალი ნიადაგები |
| III. ალპური მდელოების ნიადაგები | 3) მთამდელოების კორდიანი მცირეტროფიანი ნიადაგები |
| IV. მაღალმთის ბუჩქნარების ნიადაგები | 4) მთამდელოების ტორფიანი ნიადაგები |
| V. ქაობიანი მდელოების ნიადაგები | 5) მაღალმთის ტორფიანი წაბლისფერი ნიადაგები |
| VI. ფართობები წყვეტილი მცენარეული საფრით | 6) ქარბტენიანი, ლამიანი და ტორფიანი ნიადაგები |
| | 7) ჩამონაზვავებზე, კლდეები და სხვა შიშველი ქანები |

აღნიშნულ ნიადაგებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია მეორეული მდელოების ნიადაგები, სახელდობრ: მთა მდელოებას კორდიანი და მცირეტროფიანი ნიადაგები, რომელთაც ახასიათებს მცირე სისქე, მსუბუქი მექანიკური შემადგენლობა, ძლიერი ხირხატანობა და ორგანული ნივთიერების მცირე დაგროვება. ორგანული ნივთიერება ხშირად დაგროვილია თავისებური ტორფის სახითაც. ეს ნიადაგები, კიმიური თვისებების მიხედვით, მიეკუთვნება ჰუმუსით ღარიბ ნიადაგებს, რომელთაც ახასიათებს მჟავე რეაქცია (5,5—6—pH) ჰუმუსოვან ჰორიზონტში და ფუძეებით არა მადლობა. აზოტის საერთო რაოდენობა ნეშომპალიან ჰორიზონტისათვის ამ ნიადაგებში უმნიშვნელოა მაშინ, როცა ფოსფორი აქ დიდი რაოდენობითაა. ეს ნიადაგები ხშირად განვითარებულია მცენარეთა ისეთი დაჯგუფების ქვეშ, სადაც *Agrostis capillaris* L. ჭარბობს. მდელოების კორდიანი და მცირეტროფიანი ნიადაგები გავრცელებულია ისეთი დაჯგუფების ქვეშაც, რომელშიაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს *Festuca ovina* L. ამ შემთხვევაში ამ ნიადაგებს ახასიათებს უფრო მეტი დაკორდება და უკეთესი სტრუქტურა.

ალპური მდელოების ნიადაგებს აჭარის ალპურ სარტყელში შედარებით მცირე ადგილი უჭირავს. ამ ნიადაგებს საკმაოდ მრავალფეროვანი აღნაგობა ახასიათებს, მაგრამ ყველა ესენი განირჩევა მუქი ფერით, ნათლად გამოხატული ტორფიანობით, ზოგჯერ მკვრივი და მძლავრი კორდით, მცირე სისქით და ძლიერი ხირხა-

ტიანობით. განსაკუთრებით თავისებურია ალპური მდელოების ნიადაგები შთის მწვერვალებზე, რომელიც ხშირად დაკავებულია მცენარეთა ისეთი დაჯგუფებით, სადაც კარბობს *Festuca ovina* L.

დეკას რაყების ქვეშ, რომელსაც ამ ზონაში დიდი გავრცელება აქვს, დამახასიათებელია მდელოთა ტორფიანი ნიადაგების არსებობა. ტორფის სისქე ამ ნიადაგებში 20 სანტიმეტრს აღწევს, ზოგჯერ უფრო მეტსაც.

2400 მეტრის ზევით ალპურ სარტყელში ნიადაგების საფარი ხშირად წყვეტილია და დიდი ადგილი უჭირავს ჩამონახვავებსა და კლდოვან ფლატეებს. ნიადაგებს ძალზე მცირე სისქე აქვს, ძლიერ ხირხათიანი და სარტოლ უფრო პრიმიტიული ხასიათისაა. დაკორდება აქაც დიდა, ხოლო კორდიან სახეებთან ერთად გვხვდება მთამდელოთა მცირეტორფიანი ნიადაგებიც.

მთინარეული ხაზარი. ა) მაღალშთის ტყე. აპარის მაღალშთის საძოვრებს ესაზღვრება როგორც ფოთლოვანი, ისე წიწვოვანი ტყე. ეს უკანასკნელი აღმოსავლური ნაძვისა *Picea orientalis* (L.) Link და კავკასიური სოკისაგანაა *Abies Nordmanniana* Link შემდგარი. ნაძვი აქ უფრო ხშირად სოკთან იზრდება, მაგრამ გვხვდება წმინდა ნაძვნარიც. ნაძვნარი, ისე როგორც სოკნარი, ძირითადად ჩრდილო ფერდობებს ეტანება. იშვიათად ნაძვს ფიჭვიც ემატება *Pinus hamata* (Stev.) D. Sosn. და ისიც უმეტესად აპარის აღმოსავლეთ ნაწილში. ამ ტყეების ქვეშ იზრდება დამახასიათებელი, მაგრამ ღარიბი ბალახეული მცენარეულობა. აქ ვხვდებით ჩრდილოეთის ფორმებს *Pirola rotundifolia* L. *Stellaria nemorum* L. და ზოგიერთ ორქვიდებს წარმომადგენელს ჯადვარისებრთა ოჯახიდან და სხვ.

ამ სარტყელის ტყეებს არშინავეით ევლება სუბალპური ტყე, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება მაღალშთის ბალახეულობის ტიპებს. ამ ტყისათვის დამახასიათებელია არყი *Betula Litwinowii* A. Dol., იშვიათად *B. Medwedewi* Regel და *Betula verrucosa* Ehrh., მაღალშთის ნეკერჩხალი *Acer Trautvetteri* Medw. *Sorbus Boissieri* C. K. Schneid., იშვიათად პონტოს მუხა *Quercus pontica* C. Koch-ბუჩქნარები *Rhododendron ponticum* L, *Rhododendron caucasicum* Pall., *Daphne pontica* L. და სხვ. ბალახეული საფარი ამ ტყეებში ჩვეულებრივ კომპლექსური ხასიათისაა. იგი შექმნილია ტყეებისა და სუბალპების წარმომადგენელთაგან. ბალახეულობაში



წიწვოვანებისაგან შედგარი ზალალმის ტყე

სხვაზე უფრო მეტად აღსანიშნავია *Poa longifolia* Trin., *Milium caucasicum* Somm. et Lev., *Aquilegia olympica* Boiss., *Veratrum Lobelianum* Bernh., *Campanula latifolia* M. B., *Betonica grandiflora* W. და სხვ., მაგრამ სუბალპური ტყეები უკვე მრავალ ადგილას გაჩანაგებულია და მისგან შექმნილი ლამაზი ზოლი გაწყვეტილია. იმიტომაც, რომ აქარის მთებში ზოგან ზედა სარტყლის ტყე პიროდაპირ სუბალპურ მდელოს ესაზღვრება. ეს მოვლენა მკვეთრად გამოხატულია ბახმაროს მიდამოებშიც, სადაც წიწვოვანი ტყის შემდეგ უშუალოდ მაღალი მთას მდელოები იწყება. ტყის უკან დახევისა და ალპური ზონის ჩამოწევის მოვლენა კარგადაა გამოხატული ევროპის ალპებშიც. მაგალითად, შვეიცარიის ალპების ერთერთ ნაწილში, სახელდობრ ომერლანდში, ტყის ალპური საზღვარი დაწეულია 200 მეტრით. ამ მოვლენის მიზეზად თვლიან როგორც ადანიანის მოქმედებას (თეობალდი და ლანდოლტი); ისე ჰაეის გაუარესებას (კარტიფი და დოფური). ჩვენს პირობებში, როგორც ნიადაგების განხილვის დროს იყო ნათქვამი, ამ ტყეების განადგურებაში მინაც ადამიანი ასრულებს მთავარ როლს. ერთი მხრივ პირუტყვი გაზაფხულზე ანადგურებს ნორჩ ამონაყარს და ხელს უშლის აღმოცენებას, მეორე მხრივ, ამ ტყეებიდან მოსახლეობა ეზიდება დიდძალ საწვავ მასალას

ბ) დეკიანები. ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ ფერდობებზე დაახლოებით 1800 და 2000 მ. ზევით გავრცელებულია დეკიანები, რომელთაც საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არსად სამხრეთ მთიანეთში დეკიანებს არ უჭირავთ ისეთი დიდი ფართობი, როგორც აქარაში. დეკიანი ზოგჯერ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფერდობების სტუმარიცაა, მაგრამ სამხრეთის ფერდობებს გაურბის. დეკა ხშირად არყნარის ან ცირცილიანის ქვეტყის სახით იზრდება, ანდა სრულიად წმინდა ბუჩქნარს ქმნის. დეკიანები ალპების სიმაღლემდე აღწევენ, ქვევით კი მისი საზღვრები მაღალმთის ტყეში თავდება, სადაც ხშირად ისეთ ქვეტყეებს ქმნის, რომ კაცის სიმაღლეს აღწევს, სამაგიეროდ ალპურ სარტყელში მიწაზეა გართხმული. დეკიანი თავის გავრცელებას არეში მრავალ ადგილას გაუვალ ბუჩქნარს წარმოქმნის. ყვავილობის დროს იგი ჰქმნის იშვიათი სილამაზის სურათს. ამ დროს მთელი კალთა ხშირად თეთრადაა გადაპენტილი.

დეკიანებისათვის დამახასიათებელია ტორფიანი ნიადაგები, სადაც ნიადაგის შექმნის ყველა პროცესი ჯერ დასრულებული არ არის. დეკიანების ტორფიანი ნიადაგები ზოგჯერ მთლიანად ზავსითაა შემოსილი. თავის მარადმწვანე ფოთლებით დეკა თითქმის სრულიად ფარავს ნიადაგს, რის გამოც ბალახეული მცენარე განსაკუთრებული შემადგენლობასაა. ასეთა მცენარეებიდან დეკიანებში უმ-

თავრესად გვხვდება გვიმრა *Athyrium alpestre* (Hoppe) Ryland, წყალიკრეთია *Aquilegia olympica* Boiss., მახრჩობელა *Deschampsia flexuosa* (L.) Trin. ყვითელთავა *Anthoxanthum odoratum* L., დვალურა *Polygonum carneum* C. Koch. მუდმივ თანამგზავრს წარმოადგენს აგრეთვე სხვადასხვა სახეობის ხავსი. ბუჩქნარებიდან, რომლებიც ჩვეულებრივ თანამზღებნი არიან, უნდა აღინიშნოს: მოცივი *Vaccinium Myrtillus* L., ეოლი *Rubus idaeus* L. და სხვ. სანიმუშოდ მოგვყავს ა. მაყაშვილის მიერ დეკიანში შედგენილი სია:

<i>Rhododendron caucasicum</i> Pall.	5
<i>Vaccinium Myrtillus</i> L.	. 2
<i>Aquilegia olympica</i> Boiss.	2
<i>Polygonum carneum</i> C. Koch . .	1
<i>Deschampsia caespitosa</i> (L.) P. B. .	2
<i>Athyrium alpestre</i> (Hoppe) Ryland	2
<i>Oxalis acetosella</i> L.	. 2

ხავსები და მლიერები.

დეკიანების შემდეგ შედარებით უფრო მეტი ფართობი უკირავს ღვინანებს *Juniperus depressa* Stev., რომელიც განსაკუთრებით სამხრეთის ფერდობებზეა გავრცელებული. ა. მაყაშვილის აზრით, ეს ღვინანები უახლოეს წარსულში ფიქვნარის ქვეტყეს წარმოადგენდნენ.

გ) ხუბალპური მალალბალახეულობა. ტყის ზედა საზღვარზე ვითარდება სუბალპური მალალბალახეულობა. მალალბალახეულობას ახასიათებს ფრიად მრავალფეროვანი შემადგენლობა, სწრაფი ზრდის უნარი, დიდი სიმალლე, მასის დიდი რაოდენობით განვითარება.

მალალბალახეულობის მთავარი მონაწილენი—რთულყვავილოვანი და ქოლგოსნები—ისეთ სქელსა და მალალ ტევრებს ჰქმნიან, რომ მასში აღამიანი თავისუფლად დაიშლება. მალალბალახეულობას გაკორდების პროცესი არ ახასიათებს და დამკორდებელი მარცვლოვანებიც თითქმის სრულიად არ იღებენ აქ მონაწილეობას. ნიადაგის ზედაპირი ქეჩასავით გადამხმარი მცენარეებითაა დაფარული. პროფ. ზახაროვი მალალბალახეულობას ფრიად მოხერხებულად აღარებს მინიატურულ დაბურულ ტყეს, რომელიც ფარავს ნიადაგს და მკვდარ საფარსა ჰქმნის.

დ) ხუბალპური მდელოები. დაახლოებით 1800—2400 მ. ფარგლებში გავრცელებულია სუბალპური მდელოები. ეს მდელოები ძირითადად განვითარებულია აღამიანის მიერ გაჩეხილ სუბალპურ



სუბალპური მალახალახელოვა

ტყისა და დეკიანის ადგილას. ამრიგად, მისი დიდი ნაწილი მეორეული წარმოშობისაა, პირველადი ტიპები მცირედადაა წარმოდგენილი. სუბალპურ მდელოებს აქარის ალპურ ზონაში საკმარისად დიდი ფართობი უჭირავს.

აქარის სუბალპურ მდელოებზე გაბატონებულია მარცვლოვანი და ნაირბალახოვანი ტიპის მცენარეულობა, თუმცა ზოგჯერ მარცვლოვანები დარბადაა წარმოდგენილი და მრავლად გვხვდება სხვა ტიპის ბალახეულობაც.

ეს მდელოები ჩვეულებრივ დაკორდებულია, რამდენადაც ქვემოთ ვეშვებით, დაკორდების პროცესი მასში სუსტდება და ტყის საზღვართან წყდება. მაგრამ ეს მოვლენა დროებითია, რადგან ტყის განადგურებასთან ერთად მისი საზღვრის გასწვრივ ეს პროცესი განახლებას იწყებს კორდის წარმომქმნელი მარცვლოვანი მცენარეებით. „მთის ტყეების განადგურება ზედა საზღვრებზე ხშირად დიდ ადგილებს ანთაეისუფლებს, სადაც შემდეგ ვითარდებიან მთის მდელოები, რომელნიც შეუერთდებიან ხოლმე სუბალპების მდელოებს. ასეთ შემთხვევაში ამ ორ დაჯგუფებათა შორის მკვეთრი ხაზის გატარება ძალაან ძნელი ხდება. არაა საბუთა ვიფიქროთ, რომ ამ ტიპის მდელოს დაჯგუფება გაჩანაგებული ტყის ადგილას ჩნდება.“⁶⁾

ქვემოთ მოგვყავს ა. მაყაშვილის მიერ შედგენილი ორი სია, მარცხენა—ტყის საზღვრის მახლობლად ჩაწერილი, ხოლო მარჯვენა—უფრო ხანდაზმულ მდელოზე.

Agrostis capillaris L. 3
 Poa annua L. 2
 Cynosurus cristatus L. 1
 Aconitum nasutum Fisch. 1
 Calamintha grandiflora (L.)
 Moenh.
 Origanum vulgare L. 1
 Betonica officinalis L. 1
 Brunella vulgaris L. 1
 Senecio platyphyllus (M. B.)
 DC. 1
 Veronica melissaefolia Dsf 1
 Veronica filiformis Lin. 1
 Plantago major L. 1
 Gentiana asclepiadea L. 1
 Trifolium repens L. 1
 და ხავსი.

Agrostis capillaris L. 3
 Phleum alpinum L. 1
 Trifolium ambiguum M. B. 1
 Trifolium repens L. 1.
 Alchemilla sp. 2
 Cerastium caespitosum Gilib. 1
 Ajuga orientalis L. 1
 Sedum gracile C. A. M. 1
 Taraxacum Litwinowii B.
 Schisch. 1
 Chamaemelum caucasicum
 (W.) Boiss. 1
 Cirsium caucasicum (Ad.)Petr.
 Gnaphalium silvaticum L.
 Sibbaldia parviflora W.
 Carum meifollum (MB.) Boiss.
 და ხავსი.

ე) ალპური ხდილოები. 2400 მ. მაღლა აქარის მთების თხემები დაფარულია იშვიათი სილამაზის ალპური ხალებით. ამ ხალების ხასხასა კორდები შექმნილია ალპური მცენარეებით, რომელთა ბავერდისებურ ფონზე ჰყვავიან მრავალნაირი, თვალისმომპყრელი ყვავილები. მათი ყვავილი, ტანთან შედარებით, გიგანტურია, მეტისმეტად კაშკაშა და კიოტაა, მწვანე ფონზე წარმტაც სურათსა ჰქმნის.

საქონლის უწყსოდ ძოვების შედეგად ბევრ ადგილას ალპურ ხალიჩებსაც თითქმის დაკარგული აქვს პირვანდელი სახე, რის გამო ასეთ ადგილებში ფართო გავრცელება ჰპოვა ისეთმა მცენარემ, როგორცაა *Alchemilla*, *Sibbaldia* და სხვა მისი მსგავსი. მიუხედავად ამისა, მწვერვალთა ნაწილი ალპური ხალების კორდის შექმნაში მონაწილეობენ ისეთი მარცვლოვანები, როგორცაა *Festuca supina* Schur., *Koeleria caucasica* (Trin.) Dom., *Bromus adjaricus* Som. et Lev., *Koeleria Fominii* Don., *Phleum alpinum* L., *Poa alpina* L., *Colpodium variegatum* Boiss. და სხე.

ნაირბალახეულობიდან აღსანიშნავია: *Chamaescladlum acaule* (M. B.) Boiss., *Campanula Auscheri* DC., *Carum Carvi* L., *Myosotis alpestris* Schm., *Potentilla alpestris* Hall. *Chaerophyllum roseum* MB. და სხე. საზოგადოდ, აქარის ალპურ ხალიჩებში გამოირჩევა შემდეგი ჯგუფები: მარცვლოვანები, მარცვლოვანნაირბალახოვანები, ნაირბალახოვანები *Alchemilla*, *Sibbaldia parviflora* W. კარბობით, ლ) კლდეთა და ნაშალთა მცენარეულობა და სხე.

გ) ჭაობრხა და წყლის მცენარეულობა. აქარის მაღალმთის ტერიტორიის მეტისმეტად დასერილობის გამო ჭაობების და ტბების განვითარებისათვის ხელისშემწყობი პირობები არ არსებობს. თუმცა ზოგან მცირე ფართობები, როგორც, მაგალითად, დიდაქარის, ჩირუხის, სარიჩაირის და სხვა საძოვრებზე მაინც გვხვდება. პატარა ზომის ტბები, განსაკუთრებით მრავლადაა ჩირუხის საძოვრებზე, ხოლო ერთი შედარებით დიდი, მცენარეულობას მოკლებული ტბა („მწვანე ტბა“), განსაკუთრებული სილამაზისა—დიდაქარის იაილებსა და გოდერძის უღელტეხილს შორის მდებარეობს. დიდაქარისა და ჩირუხის ჭაობები, პირველად ა. მაყაშვილის მიერ აღმოჩენილი, წარმოადგენენ სუფაგუმთან ჭაობებს, სადაც გვხვდება *Drosera anglica* Huds, *D. intermedia* Hayne, *Comarum palustre* L. *Menianthes trifoliata* L. და სხვა ბორცეალური ელემენტები.

აჭარის ალპური საძოვრების სამეურნეო მნიშვნელობა

ალპური საძოვრების სამეურნეო მნიშვნელობა პირველ ყოვლისა ალპური ზონის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების სპეციფიურობითაა განპირობებული. როგორც ცნობილია, ალპურ სარტყელში მზის სინათლის ინტენსივობა, ძლიერი გაშუქება აღიღებს წითელი ბურთულებისა და ჰემოგლობინის რაოდენობას სისხლში, ეს კი აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში, რაც თავის მხრით აძლიერებს საკვები ნივთიერების მიღების აუცილებლობას და ხელს უწყობს ორგანიზმის ჩქარ ზრდას. უხვი სინათლე კლავს ან მეტად ასუსტებს ბაქტერიებს. ჰაერის გამჟვრივალობის წყალობით, მზის სპექტრი ულტრაიისფერი სხივებით მაღალმთაში უფრო მდიდარია, ვიდრე ბარში, ალპური ჰაერი მდიდარია რადიუმის ემანაციით და ოზონით. მაღალმთიანი ადგილები გაცილებით უფრო დაცულია ძლიერი ქარებისაგან. ალპური ჰაერი ხასიათდება დიდი სისუფთავეთ, რაც ზღვის სისუფთავეს უახლოვდება. მთებში პირუტყვის ძოვება დაკავშირებულია დიდ მოძრაობასთან, რაც იწვევს კუნთების ისეთ ვარჯიშს, რომელიც განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს ახალგაზრდა პირუტყვზე. მოძრაობისა და მდიდარი მთის ბალახის გავლენით პირუტყვს იალალობის დროს ძვლები უმაგრდება. ალპური საძოვრების ეს თავისებურება ხელს უწყობს პირუტყვის ზრდა-განვითარებას.

აჭარის ალპური საძოვრები, მართალია, აღნიშნულ თავისებურებათა თვალსაზრისით არაა შესწავლილი, მაგრამ ამ მხრივ ის გამონაკლისს არ უნდა შეადგენდეს, რადგან მას ახასიათებს ყველა ის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება, რაც სხვა ალპურ საძოვრებს. მაგრამ ალპური საძოვრების უმთავრესი სამეურნეო მნიშვნელობა განისაზღვრება მისი საკვები ღირებულებით.

როგორც ცნობილია, ალპურ ზონაში სავეგეტაციო პერიოდი ხანმოკლეა, სამაგიეროდ მზის ინსოლაცია ინტენსიურია და ამის გამო სწრაფად მიმდინარეობს ქლოროფილისა და მასაზრდოვებელი ნივთიერების წარმოქმნის პროცესები. მაღალმთაში მცენარე ინტენსიური ასიმილაციის პირობებში ძირითადი ორგანოების ქსოვილებში აგროვებს დიდი რაოდენობით ორგანულ მასალას, რომელიც მდიდარია საკვები ნივთიერებით. მთის ბალახს პატარა ღეროები ახასიათებს, სამაგიეროდ ფოთლები ფართო აქვს, რის გამოც მცე-

ნარე, როგორც საკვები, უფრო წვნიანი და ყუათიანია, ალპური ზონის მეტად ხშირი კორდი თავისი დაბალი მრზარდი ამონაყრების კოლოსალური პროდუქციით მცირეოდენ ფართობზეც კი ბევრ საკვებ მასალას იძლევა.

მაღალმთის თივა გამოირჩევა მეტად სასიამოვნო არომატით, ამიტომ პირუტყვი მას უფრო ეტანება, ვიდრე ბარის თივას. ბუნებრივია, რომ ამის გამო ალპური თივა შემადგენლობითა და თვისებებით განსხვავდება ბარის თვისაგან.


აქარის მაღალმთის თივის ქიმიური ანალიზი ჯერ არავის ჩატარებია, მაგრამ ლიტერატურულ მასალიდან ცნობილია, რომ ალპური თივა ბარის თივასთან შედარებით უფრო მეტ სახამებელსა და ცხინს შეიცავს და მისი სახამებლის ექვივალენტაც უფრო მაღალია.

მაღალმთის სარტყლის სამხრეთი ფერდობები უფრო ნოყიერ ბალახს იძლევა, ვიდრე ჩრდილოეთისა, მაგრამ სამხრეთის ფერდობის ამ ღირსებას თან ახლავს მოსავლიანობის სიმცირე. ეს განსხვავება მდელოებზე დიდი ხანია შემჩნეულია მწყემსების მიერ, რომლებიც კარგად არჩევენ სამხრეთის მზით განათებულ და ჩრდილოეთის დაჩრდილულ ფერდობებს.

განვიხილოთ მცენარეთა ძირითადი ტიპები მისი საწარმოო თვალსაზრისით.

სუბალპური მდელოები. სუბალპური მდელოების მნიშვნელობა, როგორც საკვები ბაზისა, 27 გვ. დასახელებულ მცენარეთა რაობითა და რაოდენობით განისაზღვრება. ამ მცენარეთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია: მარცვლოვანებიდან—ნამიკრეფია (*Agrostis capillaris* L.), ტიმოთეს ბალახი (*Ph. alpinum* L.), ხოლო პარკოსან მცენარეებიდან—სამყურა (*Trifolium ambiguum* MB., *T. repens* L.). სიაში შეტანილ მცენარეთა დანარჩენი სახეობანი ნაკლებ ან სრულიად გამოუსადეგარია პირუტყვის საკვებად. ამრიგად, მთელი სიმძიმე ძოვების დროს აწვება აქ აღნიშნულ მარცვლოვან და პარკოსან მცენარეებს. ასეთი მდელოები არსებითად წარმოადგენენ სათიბებს, რომელთაც სათანადო მოვლის პირობებში შეუძლიათ პირუტყვისათვის უფრო მეტი საკვები მასის მოცემა. აქარის სუბალპური მდელოები, საკვები ღირებულების მიხედვით, მიეკუთვნება საძოვრების პირველ და უფრო ხშირად მეორე კატეგორიას.

ალპური მდელოები. ალპური მდელოების შემადგენლობაში საკვები მცენარეები საკმაოდ დიდ როლს ასრულებენ (იხ. გვ. 21). ამ კორდის წარმომადგენელი წივანა (*Festuca supina* Schur.), ალპური თივაქასრა (*Poa alpina* L.), კავკასიური კეწეწურა (*Koeleria caucasica* Trin.) Dom) და სხვა მარცვლოვანნი მრავალ თანამხლებ ფორმებთან ერთად კარგ საკვებს წარმოადგენს ყველა სახის პირუტყვისათვის.



სუბაქტივი გემო, რომელიც წარმოადგენს სახაზავს და მისი ძირითადი ბაზის (თეთრობი)

თვით მწვერვალები და ციცაბო ადგილებიც კი კარგ საძოვრებს წარმოადგენენ წვრილფეხა პირუტყვისათვის. ზაფხულის ცხელ დღეებში ბერწი ცხვარი და თხა ძოვს ამ ბალახს, განსაკუთრებით ზაფხულის მეორე ნახევარში, როდესაც საძოვრების ქვედა საფეხურზე ბალახი გამოლეულია. ალპური მდელოებიც საძოვრების პირველ და მეორე კატეგორიას მიეკუთვნება.

სუბალპური ვალაგალახეულობა. სუბალპური მაღალბალახეულობა არ არის სამეურნეო მნიშვნელობას მოკლებული. პირუტყვის საკვებად მისი გამოყენება შეიძლება სასილოსე მასალის სახით. იგი დიდ მწვანე მასას იძლევა.

დეკიანები საკვები მცენარეებით მეტად ღარიბია. სათიბად იგი, ცხადია, სრულიად გამოუსადეგარია. როგორც საძოვარი, მხოლოდ მისი ნაპირები და ბუჩქებს შორის შექმნილი კორდები შეიძლება იქნას გამოყენებული. დეკიანები ეკუთვნის საძოვართა მესამე კატეგორიას. სათანადო ღონისძიებების გატარების და ჩათესვის შემდეგ დეკიანებიდან შესაძლებელია უფრო უკეთესი ღირსების საკვები ბალახის მიღება. დეკიანს დადებითი მხარეც აქვს. ის სახლდება თითქმის ყოველგვარ კლდოვან ადგილზე, ამაგრებს მათ, ხელს უწყობს მასზე ორგანული ნივთიერებებით საკმაოდ მდიდარი ნიადაგის განვითარებას, შემდეგ კი, დეკიანების ბუნებრივი დალუპვის შედეგად, ასეთი ადგილები თავისუფლდება და მასზე სახლდება საკვები ღირებულების მხრით უკეთესი სახეობანი. პირველად ეს მცენარეები დეკიანებთან ერთად ჰქმნიან კომპლექსურ ასოციაციას, შემდეგ კი საბოლოოდ სახლდება დეკიანთან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე.

ბათვის მცენარეულობა. ამ ტიპის მცენარეულობის სამეურნეო ღირებულება ამჟამად მეტად მცირეა. პირუტყვი მას, როგორც საძოვარს, ნაკლებად ეტანება, მაგრამ ჭაობის დაშრობისა და აგროტექნიკურ საშუაშოთა ჩატარების შემდეგ იგი შეიძლება მაღალი ღირსების საძოვრად გადაიქცეს.

ტ შ მ. დიდი საწარმოო მნიშვნელობა აქვს ტყეებსაც. ტყის ბალახი საკვებადაა გამოყენებული. გაზაფხულზე, სანამ მთაში ბალახი ჯერ არ დამრულა და გვიან შემოდგომაზე, როდესაც ცუდი ამინდები დგება, პირუტყვი—ძროხა და ცხვარი—აქ პოულობს საკვებს.

აჭარის ალპური საძოვრების სამეურნეო დახასიათებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ საძოვრების უწყესო გამოყენების და გადატვირთვის გამო, ხშირად კორლის შექმნე-

ლი და მთავარი საკვები მარცვლოვანი მცენარეები იჩაგრება, რაც, ცხადია, კორდის საკვებ ღირებულებას ამცირებს. სხვა ხელისშემწყობ პირობებთან ერთად საბოლოოდ ასეთ კორდში დიდ ადგილს იკვრს შხამიანი და უვარგისი მცენარეები, როგორცაა შხამა (*Veratrum Lobelianum Bernh*), სიბალდია (*Sibbaldia parviflora W.*) ძიგვა (*Nardus stricta L.*), მარზუჭი (*Alchemilla*) და სხვ. ამ მცენარეთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული და ზიანის მომტანი შხამა და ძიგვაა. ამ სარეველათა გავრცელება იწყება ტყის ზონიდან და აღწევს ალპურ ზონაშიაც, მაგრამ უფრო მეტად დამახასიათებელია სუბალპური ტენიანი მდელოებისათვის, განსაკუთრებით ჩრდილო ფერდობებზე.

შხამა უმთავრესად ტენიან ადგილებს ეტანება. ამიტომაც ის ძირითადად ჩრდილო ფერდობებზეა გავრცელებული. აქაური ჰაერის პირობებში შხამა მეტად კარგად ხარობს. ა. მაყაშვილის აზრით, საქართველოში ვერსად ვერ შეხვდებით ამ მცენარის ისეთ ფართოდ გავრცელებას, როგორც აქარის მალალმთაში.

შხამა, როგორც მისი სახელწოდება გვიჩვენებს, შხამიანი მცენარეა. მისი ყოველი ნაწილი შეიცავს რიგ ალკალოიდებს, რომელთა შორის ყველაზე უფრო შხამიანი პროტოვერატრინია. ეს უკანასკნელი უმთავრესად კუქსა და ნერვულ სისტემაზე მოქმედებს და იწვევს პირუტყვის მძიმე დაავადებას, ზოგჯერ კლავს კიდევ. შხამა, ალპური სემოვრების საწარმოო ღირებულებას ძლიერ ამცირებს.

მოგვეყავს შხამათი დასარეველიანებული მდელოების შესახებ ა. მაყაშვილის მიერ შედგენილი ჩანაწერი:

- | | |
|------------------------------|-------------------------------------|
| Veratrum Lobelianum Bernh. 2 | Arenaria rotundifolia MB. 1 |
| Agrostis capillaris L. 3 | Taraxacum Litwinowil B. |
| | Schischk, 2 |
| Poa annua L. 2 | Myosotis amoena (Rupr.) Boiss. |
| Phleum alpinum L. 1 | Sibbaldia parviflora W. 1 |
| Trifolium ambiguum MB. 1 | Sedum gracile C. A. M. |
| Trifolium repens L. 2 | Plantago major L. 1 |
| Ajuga orientalis L. 1 | Draba siliquosa MB. 2 |
| Veronica filiformis Sw. 1 | Sagina saginoides (L.) Dalla-Torre. |

მცენარეთა ამ დაჯგუფებაში რაოდენობის მხრივ მარცვლოვან და პარკოსან მცენარეებს, რომელთაც სამეურნეო ღირებულება აქვს, უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე შხამას. ასეთი მდელოები მიეკუთვნება საძოვართა მეს.მე კატეგორიას. მაგრამ, სამწუხაროდ, შხამა ხშირად უფრო მეტი რაოდენობითაა მოდებული,

ხოლო საკვები მცენარეები ძლიერ დაჩაგრულია. ასეთი კორდები უმეტესად ტენიან ადგილებში გვხვდება.

საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ზატხულის მეორე ნახევარში, როდესაც შხამიანი ნივთიერებანი შხამას მიწისქვედა ორგანოებში იყრის თავს, მიწისზედა ორგანოები, ალბათ უვნებელი ხდება და პირუტყვი მას ხალისიანად ჭამს.

ძიგვა ანუ ძისრიბა. ეს მცენარე უმეტესად გავრცელებულია ჩრდილოეთისაკენ მოქცეულ საძოვრებზე, რელიეფის უარყოფით და ვაკე ადგილებში, სადაც გუბდება ატმოსფერული ნალექები. ძიგვა, თავის ჯაგარა ფოთლების გამო, სძვერად უვარვის ბალახს წარმოადგენს. პირუტყვი მას ძოვის დროს ძირფესვიანად ამოვლეჯს ხოლმე. თუმცა ძიგვას თან ახლავს ორლებიანთა წარმომადგენლები, მაგრამ ამ დაჯგუფების საძეურნო ღირებულება ამით არ იზრდება, რადგან ძიგვას კორდის მძლავრი განვითარება დიდად ჩაგრაეს თანამხლებ მცენარეებს. მოგვყავს ჩანაწერი ძიგვას დაჯგუფებაში:

Nardus stricta L. 4	Cerastium caespitosum Gilib.
Anthoxanthum odoratum L. 1	Sagina saginoides (L.) Dalla-Torre
Agrostis capillaris L.	Arenaria rotundifolia MB.
	Ajuga orientalis L.

როგორც ვხვდავთ, ძიგვიანი მეტად დაბალი საკვები ღირებულებით ხასიათდება. ფართობი, რომელზედაც ძიგვაბალახი მასობრივადაა მოდებული, მიეკუთვნება საძოვართა მესამე კატეგორიას.

თ ა ვ ი III

მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა

(ზოგადი მიმოხილვა)

მსხვილფეხა რძოსანი პირუტყვი აქარული მსხვილფეხა რძოსანი პირუტყვი ჯერ კიდევ კარგად შესწავლილი არ არის. დღევანდლამდე არსებული მასალების მიხედვით, აქარულ მსხვილფეხა პირუტყვს ზოგნი ხევესურული ჯიშის მონათესავედ სთვლიან, ხოლო ზოგს იგი მთის საქანლის სრულიად განსაკუთრებულ ჯიშად მიაჩნია. პირუტყვი იძლევა კარგი ხარისხის ხორცს, ახასიათებს ჩქარი გასუქება. ძროხის წონა 100—130 კილოგრამს უდრის,

წლიურად საშუალოდ იძლევა 600 ლიტრ რძეს. მუშა-პირუტყვის წონა უდრის 150—170 კილოგრამს, შრომის უნარიანობა მაღალი აქვს.

წვრილფეხა პირუტყვი. წვრილფეხა პირუტყვიდან გავრცელებულია როგორც ცხვარი, ისე თხა. აქარული ცხვარი ექსტერიერის მიხედვით მიეკუთვნება ცხიმოვან გრძელკუდიან ჯიშს. აქაური ცხვარი საქმაოდ დიდია. მოზრდილი საკლავი ცხვრის წონა საშუალოდ 30 კილოგრამს აღწევს.

აქარაში ჩვეულებრივ გავრცელებულია პატარა ტანის ადგილობრივი ჯიშის თხა.

ცხენი. აქარაში უმეტესად გვხვდება ადგილობრივი ჯიშის პატარა ტანის ცხენი, რომელსაც უმთავრესად ტვირთის გადასაზიდად იყენებენ.

მეცხოველეობის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარება აქარაში იწყება საბჭოთა ხელისუფლების დროს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცხენთა სულადობის გადიდებისა, მათი მოვლისა და შენახვის გაუმჯობესების შესახებ“ 1943 წლის 12 მაისს გამოიტანეს სპეციალური დადგენილება და რომლის შესაბამისად, ადგილობრივი პირობების მიხედვით, შემუშავებულ იქნა შესაფერისი ღონისძიებები.

მეცხოველეობის განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განუხრელად გატარების შედეგად აქარაში ყველა სახის პირუტყვის სულადობამ 1947 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგ რაოდენობას მიაღწია:

ცხრილი № 1

პირუტყვის სახეები	ხულოს რაიონი	ქედის რაიონი	ბათუმის რაიონი	ქობულეთის რაიონი	ქალაქი ბათუმი	სულ აქარაში
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი . .	49455	9030	9991	10470	735	79681
წვრილფეხა პირუტყვი	19692	8552	18247	7460	906	54947
ცხენი	714	92	293	749	199	2047
ღორი	44	39	74	602	938	1691
სახედარი და ჯორი	151	88	105	183	3	460
ს უ ლ . .	70056	17795	25710	18414	2271	138246

ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს აჭარის ასს რესპუბლიკაში 1950 წლის დამლევისათვის დაწესდეს პირუტყვის სულადობის შემდეგი რაოდენობა:

(ათას სულობით)

	სულ	მ. შ. კოლმეურნეობა
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	80,0	25,0
ცხვარი და თხა . . .	55,0	86,0
ცხენი	2,5	0,9
ლორი	2,0	—

1947 წ. 1 იანვრის მონაცემებით პირუტყვის განაწილება სექტორების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა:

ცხრილი № 2.

პირუტყვის მფლობელნი	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	ლორი	ცხენი	სახედარი და ჯორი	წვრილფეხა პირუტყვი	სულ აჭარაში
კოლმეურნეობები	21590	80	922	189	33300	56081
კოლმეურნეები	56033	43	715	248	19932	76971
ეროპირ. მეურნეები	42	—	2	—	5	49
ორგანიზაციები	1011	630	229	40	6504	2810
სულ რაიონებში	78946	753	1848	477	53867	135911
ქალაქ ბათუმში	735	839	199	8	460	2335
სულ აჭარაში	79681	1691	2047	480	54347	138246

პირუტყვის ყველა სახეს თუ გადავიყვანთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ერთეულზე, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ჯოგის სახე	ნორმა	ხულოს რაიონი		ქედის რაიონი	
		ს უ ლ	მივილებთ	ს უ ლ	მივილებთ
მოზრდილი .	1,0	2395	28395	4913	4913
მოზრდ. I წელზე ზევით .	1,5	10791	7196	2154	1436
1 წლამდე	2,5	10266	4106	1853	755
წერილდება .	4,0	19612	4903	8539	2135
ცხენი .	1,0	714	711	92	92
ლორი .	2,0	4	2	33	16
ჯორი და სახედარი . . .	1,0	151	151	88	88
ს უ ლ . .	—	69936	45467	17702	9433

ბათუმის რაიონი		ქობულეთის რაიონი		ს უ ლ მივილებთ
ს უ ლ	მივილებთ	ს უ ლ	მივილებთ	
4861	4881	5962	5902	43781
5314	1502	1816	1210	11404
5676	1070	2619	1047	6977
18067	4517	7383	1846	13401
293	293	749	749	1848
71	37	602	301	357
105	105	133	133	477
28420	12445	19264	11248	78245 [?]

ინტერესს მოკლებული არ იქნება, გავიგოთ პირუტყვის რამდენი ერთეული მოდის ერთ მეურნეობაზე ცალკეული სახეების მიხედვით:

რაიონების დასახელება	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი			მოზარდი	წვრილფეხა	ცხენი
	ს უ ლ	მუშა პირუტყვი	პროდუქტ-პირუტყვი			
ხულოს	7,2	1,5	2,5	8,0	2,9	0,1
ქედის	3,3	0,3	1,2	1,5	3,2	0,08
ქობულეთის	2,2	0,1	0,8	7,1	4,0	0,05
ბათუმის	2,4	0,2	1	1	1,2	0,17
საშუალოდ აკარისათვის	4,3	0,5	1,5	1,8	2,9	0,1

განხილული ცხრილები ამავე დროს გვიჩვენებენ, რომ პირუტყვის სულადობის როგორც აბსოლუტური რაოდენობით, ისე პირუტყვის იმ რაოდენობითაც, რომელიც მოდის ერთ მეურნეობაზე, პირველი ადგილი ხულოს რაიონს უჭირავს.

სხვა რაიონებთან შედარებით ხულოს რაიონი, როგორც საზოგადოებრივად, ისე საზამთრო საკვები ბაზით უკეთეს პირობებში იმყოფება და მეცხოველეობა აქ სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენს.

თავი IV

საკვები ბაზა ბარში

საკვების სახეობი. შემოდგომაზე პირუტყვი, ვიდრე ბაგურ კვებაზე გადავა, საძოვარზე იმყოფება. ამ დროისათვის საძოვარად გამოყენებულია ბუჩქნარები, მოთიბული სათიბები, მწირი, აუთვისებელი ადგილები, ნასიმინდრები და სხვ. ძოვის პერიოდში პირუტყვი იკვებება სხვადასხვა საარეველა მცენარით, ყანის ნარჩენებით—სიმინდის ღეროებითა და სხვადასხვა მცენარის ფოთლებით. შემოდგომის მიწურულში, როცა პირუტყვისათვის სიცივე აუტანელი ხდება და საძოვრებზეც საკვები გამოილევა, იგი ბაგურ კვებაზე გადაჰყავთ, მაგრამ ყველგან არა ერთსა და იმავე დროს. ბაგური პერიოდის დაწყება დამოკიდებულია ადგილობრივ ბუნებრივ პირობებზე. ცხადია, მთიან ადგილებში კვების ბაგური პერიოდი უფრო

ადრე იწყება, ვიდრე დაბლა, სუბტროპიკულ რაიონებში, სადაც პირუტყვი დაზამთრებამდე გარეთაა.

ამაზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ცხრილი:

ცხრილი № 5

რაიონების დასახელება	ბაგური პერიოდი იწყება საშუალოდ	ბაგური პერიოდი თავდება საშუალოდ	ბაგური პერიოდი გრძელდება საშუალოდ
ხულოს	15/XI	10/IV	147 დღე
ქედის	20/XI	5/IV	137 დღე
ბათუმის	1/XII	5/IV	127 დღე
ქობულეთის	1/XII	1/IV	122 დღე

ბაგურ პერიოდში საკვების ძირითად სახეს უხეში საკვები — სიმინდის ჩალა, თივა და ნეკერი წარმოადგენს. თივის ხარისხი აქ საკმაოდ კარგია, განსაკუთრებით სარწყავი სათიბებიდან მიღებული თივის. იგი მარცვლოვანებისა და პარკოსნების საგრძნობ რაოდენობას შეიცავს. სარწყავ სათიბებში უმეტესად გვხვდება სამყურა, ტიმოთეს ბალახი, კოინდარი, იშვიათად იონჯა და ცერცველა. იგივე სახეობანი გვხვდება ურწყავ სათიბებშიც, მაგრამ ნაკლები რაოდენობით, რადგან ამ უკანასკნელში სარეველა მცენარეებს დიდი ადგილი უჭირავს.

რაც შეეხება ნათეს ბალახს, მესაქონლეობის რაიონებშიაც კი მისი ფართობი ერთობ მცირეა. გარდა ამისა, თითოეულ ოჯახს თავის საკარმიდამო ნაკვეთზე შეუძლია მოაგროვოს სხვადასხვა სახეობის სარეველა ბალახი. სუბტროპიკულ ზონაში ამზადებენ ჯაობის თივასაც, რომელიც უმეტესად შესდგება ისლისა და სხვა მთავე ბალახებისაგან. თივით ყველაზე უფრო ხულოს რაიონია უზრუნველყოფილი.

იმის გასაგებად, თუ რა რაოდენობის თივა მზადდება ყოველწლიურად აჭარაში, განვიხილოთ შემდეგი ცხრილი:

რაიონების დასახელება	ნათესი ბალახები (ერთწლიანი)		ბუნებრივი სათიბები	
	ჰექტარი	ცენტნერი	ჰექტარი	ცენტნერი
ხულოს	210	4200	9100	195000
ქედის	150	3000	244	5310
ბათუმის	100	2000	32	6410
ქობულეთის	150	3000	124	26350
სულ	610	12200	9500	233070

თივის დამზადება ჩვეულებრივი, მარტივი წესით წარმოებს, სახელდობრ ცელით მოთიბული მწვანე ბალახის ბუნებრივი გახმობით. გაშრობის დროს თივას აბულულებენ და შემდეგ ზვინად დგამენ. ზვინი დაახლოებით 7—10 ცენტნერ თივას შეიცავს. სათიბებიდან სახლში თივის მიზიდვა ხდება სპეციალური მარხილებით, რომელსაც ხულოში სელს უწოდებენ (სელი 3—4 ცენტნერ თივას იტევს). სახლში მიტანილ თივას ინახავენ სპეციალურად აგებულ ფარდულებში, რომელთაც საბძელს უწოდებენ. საბძელი საკმაოდ დიდი მოცულობისაა, ზოგან ორ სართულსაც შეიცავს და თივის მთელ ზამთრის მარაგს იტევს.

ქვედა სარტყელში პირუტყვის საკვებიდან მთავარი ადგილი ბაგურ პერიოდში სიმინდის ჩალას უჭირავს, თუმცა ჩალის აბსოლუტური რაოდენობა ხულოს რაიონში უფრო მეტია, რასაც შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს:

რაიონების დასახელება	სიმინდის ნათესები ჰექტარებში	ჩალის საშუალო მოსავალი ცენტნერებში	სულ ჩალა ცენტნერებში
ხულოს	6525	16 ცენტნერი	104400
ქედის	4277		68432
ბათუმის	3637		57712
ქობულეთის	3387		54192
სულ	17786		264736

სიძინდის მოსავლის აღების შემდეგ მოკრილ ჩალას კონებად კრავენ და გასხლულ ხეზე ან საგანგებოდ ჩასობილ ბოძზე აკეთებენ ჩალის ზვინს, ზვინი შეიცავს დაახლოებით 100—150 კუნა ჩალას. ზვინებს უმეტესად იქვე, სიძინდის ყანებში დგავენ, საიდანაც, საპიროების მიხედვით, თანდათანობით მოაქვთ სახლში და პირუტყვის საკვებად პირდაპირ ღეროების ან დაკრილი სახით აძლევენ.

ხულოსა და ქედის რაიონებში პირუტყვის საკვებად ბზეც გამოიყენება (იხ. ცხრილი № 8).

ცხრილი № 8.

რაიონების დასახელება	ხორბლის ნათესები ჰექტრებში	ხორბლის ჩალის საშუალო მოსავალი ჰექტარზე ცენტნერებში	ს უ ლ
ხულოს	192	12	2304
ქედის	149	"	1788
სულ	341	—	4092

თივისა და ჩალის არასაკმაო რაოდენობის ნაწილობრივ ასანაზღაურებლად ქედისა და ხულოს რაიონებში პირუტყვის საკვებად ნეკერსაც იყენებენ.

ნეკერს საკვებ ბალანსში ქედის რაიონში საშუალოდ 15 პროცენტი უჭირავს, ხულოს რაიონში—10 პროცენტი.

ნეკერის გამოყენება ცხოველების საკვებად აღნიშნული აქვს ლისოვსკისაც თავის შრომაში „ქოროხის მხარეში“ (1887 წ.).

ნეკერს დასავლეთ ევროპაში და ჩვენს ტყიან რაიონებშიც იყენებენ. აპარაში ნეკერს ამზადებენ მუხის, ცაცხვის, თელის ან ტირიფის ტოტებისაგან. საზრდო ნივთიერებებით, ცხაღია, უფრო მდიდარია ფოთოლი, მაგრამ ფოთლის დამზადება ძალიან დიდ შრომას მოითხოვს და მეურნისათვის არ არის ხელსაყრელი. კარგად დამზადებული ნეკერი პირუტყვისათვის უხეშს, მაგრამ გემრიელ საკვებს წარმოადგენს.

ნეკერის ყუათიანობა ჯერჯერობით სუსტადაა შესწავლილი. ფიქრობენ, რომ მისი ყუათიანობა გაზაფხულის ჩალის ყუათიანობაზე მაღალი უნდა იყოს. ნეკერს ახასიათებს. უარყოფითი მხარეებიც—ზოგი ხის ფოთოლი, განსაკუთრებით მუხისა, თხმელისა და თხილის საგრძნობი რაოდენობით შეიცავს მწარე ნივთიერებებს და თუ დიდ რაოდენობით მისცემენ პირუტყვის, ის კუჭის აშლილობას იწვევს.



საბებელი, რომელშიც ინახავენ თივის სახამორო მარაგს (სოფ. შუბანი)

უკანასკნელი წლების მანძილზე აკარის საკვებ ბალანსში საგრძობლად იკიდებს ფეხს სილოსი.

სასილოსე მასალად გამოყენებულია სიმინდი, სოია, მორჩვი და სხვადასხვა მცენარის ნარჩენები.

სილოსის მარაგი რაიონების მიხედვით:

ცხრილი № 9

რაიონების დასახელება	სასილოსე ნათესი სიმინდი ჰექტრებში	სილოსის რაოდენობა ცენტნერებში, მიღებული ყველა სახის მცენარეულობისაგან
ხულოს	75	22210
ქედის	45	5100
ბათუმის	95	6850
ქობულეთის	45	5690
სულ აკარაში	260	40250

საკვების სხვა დანარჩენი სახეების გამოყენება ხდება ძლიერ უმნიშვნელო რაოდენობით. ამ მხრივ შეიძლება მოვიხსენიოთ კონცენტრიული საკვებიდან სიმინდი, ქერი და სხვადასხვა სახის ნარჩენებისაგან დამზადებული წვნიანი საკვები (ნარცხი).

პირუტყვის უზარუნველყოფა ხაკვებით. საღირექტივო ორგანოების დადგენილებით, აკარის ასსრ კოლმეურნეობებისათვის საშუალოდ ერთ სულ პირუტყვზე დაწესებულია საკვების წლიური დაგროვების შემდეგი რაოდენობა ცენტნერებში:

ცხრილი № 10

რაიონების დასახელება	უხეში საკვები თივაზე გადაყვანით			წვნიანი საკვები		
	1 სულ ცხენზე	1 სულ შობილი მსხველ-ფეხა რქოსანზე	1 სულ ცხვარ-სა და თხაზე	1 სულ ძროხაზე	მსხვილდება პირუტყვზე (მობრძილი)	დედა-ღორზე
ხულოს	29	16	1,5	13	1,5	—
ქედის	29	16	1,5	18	1,5	—
ბათუმის	27	14	0,5	13	1,5	20
ქობულეთის	27	14	0,5	13	1,5	20

თუ საკვების დაგროვების ამ ნორმებს გავავრცელებთ არასაკომეურნეო სექტორებზედაც, მაშინ პირუტყვის უზრუნველყოფა მართო უხეში საკვების ძირითადი სახეებით (ჩალა და თივა) ასეთ სურათს მოგვცემს:

(უხეში საკვები საშუალო ხარისხის თივაზე გადაყვანილი ცენტნერებში)

ცხრილი № 11

რაიონების დასახელება	სულ საჭიროა ცენტნერებში	ფაქტიურად არის	დეფიციტები	%/0
ხულოს .	741724	106704	635020	85,7
ჭედის .	161528	70220	91308	56,7
ბათუმის .	198768	57712	141056	71,0
ქობულეთის . . .	223662	54192	169670	76,7
სულ .	1325552	288828	1037054	72,0

საკვების ამ რაოდენობას უნდა დაემატოს საკარმიდამოებიდან დაგროვილი ბალახი, ნეკერი, სხვადასხვა სახის მცენარეული ნარჩენი, წვნიანი და უმნიშვნელო რაოდენობის კონცენტრიული საკვები.

აღვლილებზე კომეურნეობების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ საკვების ეს უკანასკნელი სახეები ავსებს დანაკლისის 40-50 პროცენტს და საბოლოოდ 15-20 პროცენტი მაინც რჩება დეფიციტი.

პირუტყვი განსაკუთრებით ბაგურ პერიოდში ცუდად იკვებება. ის ვერ ღებულობს საკმარისი რაოდენობით წვნიანსა ან კონცენტრიულ საკვებს და, რაც მთავარია, ბაგურ პერიოდში პირუტყვს უხეში საკვებიც არ ჰყოფნის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ის მხოლოდ საარსებო საკვებს იღებს. ესაა ერთი მთავარი მიზეზთაგანი, რომ აქარული პირუტყვის პროდუქტიულობა დაბალია. „ნაყოფიერი მეცხოველეობა შეიძლება იქნას ორგანიზებული მხოლოდ იმ პირობით, თუ მეურნეობაში არის მწვანე საკვები ბაზა. მეურნეობაში ეს მწვანე საკვები ფართობი შეიძლება ემსახურებოდეს თივის მიღებას, რომელიც პროდუქტიული საზამთრო კვების საფუძველს წარმოადგენს (7).

აქარაში კვების ბაგურ პერიოდში პირუტყვი განსაკუთრებით ცუდად იკვებება გაზაფხულზე. ამ დროისათვის საკვების საზამთრო

მარაგი უკვე გამოლეულია და პირუტყვი კვების ძლიერ მცირე მარაგს ღებულობს, განსაკუთრებით ხანგრძლივი ზამთრის შემთხვევაში. 10-15 აპრილიდან ბაგური პერიოდი მთავრდება და პირუტყვი საძოვარზე გამოჰყავთ. საძოვრებად იმავე ადგილებს იყენებენ, რასაც შემოდგომაზე, ბაგური პერიოდის დაწყებამდე. მაგრამ 5-10 მაისამდე, თითქმის ყველგან სათესი ფართობები, რომელზედაც პირუტყვი სძოვდა, უკვე იხვნება. ბუჩქნარებში და სხვადასხვა საძოვრებზედაც ბალახი გამოილევა და იწყება პირუტყვის გარეკა მთაში საზაფხულო საძოვრებზე.

თავი V

ალპური მეურნეობის ძირითადი თავისებურება და მისი ფორმა აჭარაში

ალპური მეურნეობის განსაზღვრა. აჭარაში ადგილობრივი მოსახლეობა ალპურ საძოვრებს მთის საძოვრებს, ან, უფრო ხშირად, მთას უწოდებს. მთის ცნება აჭარულ მოსახლეობას ესმის ერთი მხრით მისი პირდაპირი გეოგრაფიული მნიშვნელობით, მეორე მხრით კი გულუხსმობს მცალ მთის საძოვარს და მასთან დაკავშირებულ სამეურნეო საქმიანობას. მაგალითად, „მთაში მივდივარ“, „მთიდან მოვდივარ“, მოსახლეობა ამაში გულისხმობს მთის საძოვარს, რომელსაც ზაფხულობით იყენებს. ისეთი სიტყვებიც, როგორიცაა: „მთობა“, „მემთიერობა“, „შუამთობა“ და სხვ., მთის საძოვრებთანაა დაკავშირებული.


აჭარის მთის საძოვრებზე, მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეები მხოლოდ სამი თვით ამოდიან, ზუღპივი საზაფხულო შენობებია აგებული, რომელსაც ი ა ი ლ ა ს უწოდებენ, მაგრამ იაილები საერთოდ საზაფხულო საძოვარსაც გულისხმობს. ასე, რომ სიტყვა იაილა, ფართო გაგებით, ნიშნავს მთაში ადგილსაცხოვრებელს, სადაც ზაფხულობით მოსახლეობას ბარიდან აჰყავს პირუტყვი და საცხოვრებლად აქვს საზაფხულო შენობებიც. მაშასადამე, აჭარაში სიტყვა მთა, რომელიც სამეურნეო გაგებით ნიშნავს საზაფხულო, ანუ ალპურ საძოვრებს, სადაც შენობებიცაა აგებული, იგეგვა, რაც იაილები, ე. ი. მთაში საზაფხულო ადგილსაცხოვრებელი. ამრიგად, თერმინები მთა და იაილები აქ სინონიმებია. ალპური მეურნეობის მკვლევარნი სიტყვა ალპსაც ისეთ განპარტებას აძლევენ, როგორც

ჩვენში მთა ესმით.

„მთა“, ე. ი. იაილები მისაწვდომია წლის განმავლობაში არა-
უშეტეხ 100-120 დღისა. ნისლი, ქარბუქი, თოვლი და საზოგადოდ
არახელისშემწყობი კლიმატური პირობები წლის დანარჩენ დროს
არ იძლევიან მის სამეურნეო გამოყენების საშუალებას. მეორე თა-
ვისებურება საიალალო მეურნეობისა იმაში მდგომარეობს, რომ მი-
სი არსებობა, მართალია, ბარის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ
ის ოჯახთან ყოველდღიურ კავშირში არ იმყოფება. იაილებზე გა-
რეკილი პირუტყვი უკან მხოლოდ შემოდგომით ბრუნდება. ალპური
მეურნეობის შესახებ არსებობს უამრავი განმარტება, ყველა ამ გან-
მარტებას მიყვავართ იმ დასკვნამდე, რომ ალპს ისეთივე გეოგრა-
ფიული და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩვენში მთას.

ალპების საფეხურები. ალპური ქვეყნების პრაქტიკის მი-
ხედვით ალპები არამარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული, არამედ სა-
მეურნეო თვალსაზრისითაც სხვადასხვა ნაწილად, ანუ საფეხურად
იყოფა: ზოგ ქვეყანაში ალპებსა და დაბლობს შორის მოქცეულ
ვერტიკალს სამ საფეხურად ჰყოფენ. პირველი საფეხური,
ზღვის დონიდან დაწყებული, საშუალოდ 1.200-1.400 მეტრამდე
ვრცელდება. ეს საფეხური მაისის საძოვრების სახელწოდებითაა
ცნობილი და ალპებსა და დასახლებულ ადგილებს შორის მდებარე-
ობს. მაისის საძოვრებზე პირუტყვს გაზაფხულობით აძოვებენ (მაის-
ში), სანამ ალპურ საძოვრებზე გადავიდოდნენ და, როგორც წესი,
შემოდგომაზედაც, ალპებიდან პირუტყვის დაბრუნების შემდეგ. მაი-
სის საძოვრებზე აშენებულია საცხოვრებელი ბინები, რომლებშიაც
მოსახლეობა ცხოვრობს დროგამოშვებით, სანამ პირუტყვი იქ იმყო-
ფება. არჩევენ მაისის საძოვრების ორ სახეს: 1) წინა ალპს და 2) სა-
ძოვარ-სათიბებს. წინა ალპის საძოვრებს გაზაფხულობით და შე-
მოდგომობით იყენებენ, როგორც საძოვრებს, ზაფხულში კი მიტო-
ვებულია და სხვანაირად არ გამოიყენება. სათიბსაც გაზაფხულზე
და შემოდგომაზე საძოვრად იყენებენ, ხოლო ზაფხულში თიბავენ
და თივას ზამთრისათვის ინახავენ. ამიტომ მაისის საძოვრების ამ
სახეს დიდი მნიშვნელობა აქვს ალპური მეურნეობისათვის. ალპ-
ის მეორე საფეხური ზღვის დონიდან საშუალოდ 2000 მეტრამდე
ვრცელდება და ქვედა ალპს უწოდებენ. ალპების მესამე საფეხური
ზღვის დონიდან საშუალოდ 2000 მეტრის ზევით მდებარეობს და
ზემო ალპის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ საფეხურზე იზრდება
დაბალი, მაგრამ ნოყიერი ბალახი.

ზოგ მთიან ქვეყნებში არსებობს კიდევ შინა (საკარმიდამო)
ალპები. აქ ალპური შენობები არ არის და პირუტყვი ყოველდღიუ-



საბაფხულო შენობა—იალა (ლოდისძირის იაილგბი)

რად სახლში ბრუნდება. ეს ისეთი ადგილებია, სადაც საცხოვრებელი ბინა და სამეურნეო შენობებიც უშუალოდ ალპებით ისაზღვრება და პირუტყვი ჩვეულებრივად საზამთრო სადგომებზე ინახება. შინა ალპები არ უნდა ავურიოთ საკარმიდამო საძოვრებში, რომლებიც წარმოადგენენ უბრალო სასოფლო საძოვრებს და პირუტყვისათვის, გარდა ბარში დატოვებულ თითო-ოროლა ფურისა, საზაფხულო საძოვრებს არ იძლევა. შინა (საკარმიდამო) ალპები კი პირუტყვისათვის იძლევა საზაფხულო საძოვრებს და მას სავსებით ღთის საძოვრის ხასიათი აქვს.

ალპების საფხვრები აჭარაში. აქარის ალპური საძოვრების საფხვრებად დაყოფა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ზღვის დონიდან დაახლოებით 1200-1800 მეტრის ფარგლებში გავრცელებულია მაღალმთის ტყეები, 1800—2400 მეტრამდე—სუბალპური მდელოები, ხოლო 2400 მეტრის ზევით—ალპური მდელოები.

დაახლოებით 1200 მეტრის ზევით, ე. ი. მაღალმთის ტყეების ზონაში აჭარაში შევხვდებით ეგრეთწოდებულ ყიშლებს, ე. ი. საძოვრებს, სადაც გაზაფხულზე აპყავთ პირუტყვი საძოვრად და აჩერებენ 20—25 დღე, ხოლო შემდეგ უფრო ზევით საძოვრებზე გარეკავენ. ასევე, შემოდგომობით ზემო იაილებიდან ჩამორეკავენ აქ პირუტყვს და დაზამთრებამდე აჩერებენ, შემდეგ კი ბარში ჩამოპყავთ.

აჭარის ყიშლების ზოლი შეიფარდება სხვა ალპური ქვეყნების მაისის საძოვრებს. აქვე აღვნიშნავ, რომ აჭარაში იაილებს ყოველთვის როდი ახლავს ყიშლების საფხური. ყიშლები აქვს იმ სოფლებს, კოლექტივებს, რომლებიც მთის კალთებზე ცხოვრობენ და მესაქონლეობა მათთვის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენს.

ქვემოთ მოგვყავს ყიშლების სია.

№ რიგ.	ყიშლების დასახელება	სოფლები, რომლებიც სარგებლობენ ყიშლებით	საძოვრების შემდეგი საფხური იაილა, სადაც ყიშლების შემდეგ მიდის პირუტყვი
	ხულოს რაიონი		
1	კავიანი	• ბრილი	გომი
2	დიდალმართი	• ხაბელაშვილები	გომი
3	ტინტყო	• ეანივრი	გომი
4	გორა	• ინჭკირვეთი	შედრეკილი
5	პერანგა	• ცხემლისი	გომი
6	შავტყე	• ტაკიძეები	გომი
7	შავტყე	• კვანა	გომი

№№ რიგ.	ყიშლების დასახელება	სოფლები, რომლებიც სარგებლობენ ყიშლებით	საძოვრების შემდეგი საფეხური იაილა, სადაც ყიშლების შემდეგ მიდის საქონელი
8	კაგინი	ბარათაული	კატრიანი
9	ზანკა	პაქსაძეები	ლოდისძირი
10	თეთრათები	ლურტა	გოდერძის ულელტეხილი
11	სხალნარი	ჯაბნიძეები	ლომა
12	სადურავი	ტბეთი	ჩირუხი
13	ნაკარვალა	გოგაძეები	ჩირუხი
14	დიდაქარა	დიდაქარა	დიდაქარის იაილები
15	დიდაქარა	ირემაძეები	ჯანჯლნარი
16	ნაკერვალი	მახალაკიძეები	სანალია
17	ნამწვავი	ოლოდაური	სანალია
18	ქვიშნარი	მაწყვალთა	მაწყვალთის იაილები
19	ლურლუთი	პაკოშვილები	სანალია
20	ურამბის ყიშ.	ცინარეთი	ლომა
	ქედის რაიონი		
21	ლეჩავი	აგარა	ქალასკური
22	შუამთახევი	პირველი შაისი	საკეცისა
23	საქერევი	კოლოტაური	ლარათი
24	საქირავე	ოქტომბერი	შვიდვაკე
25	თელნარა	მეძიბნა	თელნარა
26	ლოდნარი	სიხალიძეები	სალორია
27	ხევზნარა }		
28	სასადილო }	მერაისი	საკაყია
29	კოსლითავი	ინაშარიძეები	
30	საბუქარათი	ზესოფელი	გოდერძის ულელტეხილი (შველნარი)
31	სასადილოყელი	წონიარისი	გომის მთა
32	ვანები	ვარჯანისი	ახალდაბა
33	საბადური	აბუქეთა	გომის მთა
34	საბადური	ცხვორისი	სარიჩირი
	ქობულეთის რაიონი		
35	კყემარტი	ტყემაკარავი	ხინო

ყიშლები არა აქვს იმ სოფლის კოლექტივებს, რომლისათვისაც მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მოსახლეობას ზაფხულში პირუტყვი ყიშლის საფეხურის გავლის გარეშე პირდაპირ ზემო იაილებში მიჰყავს. ყიშლები არა აქვს აგრეთვე იმ მოსახლეობასაც, რომლისთვისაც მესაქონლეობა სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენს, მაგრამ ცხოვრობს ზღვის დონიდან ძლიერ მაღლა—სუბალპური ზონის მისადგომებთან და სარგებლობს უშუალო სუბალპური საძო-



ზანკა ყიფილ

ვრებით, მაგალითად, სოფლები დანისპარაული, რიყეთი, აგარა, დარჩიძეები, წაბლანა, სამოლეთი, ნაღვარევი, კალოთა და სხვ. (ხულოს რაიონი), რომლებიც უშუალოდ სუბალპურ ზონას ესაზღვრებიან, ყიშლებით არ სარგებლობენ. ამ სოფლებში დილით გარეკილი პირუტყვი საღამოთი ისევ საზამთრო ბინაში ბრუნდება, ზაფხულობით კი ასეთი სოფლებიდან პირუტყვი უშუალოდ ზემო იაილებში აპყავთ.

ასეთი სახე საზაფხულო საძოვრებისა შეეფარდება შინა ალპებს:

გაგყვეთ შემდეგ ზოლს, ზღვის დონიდან დაახლოებით 1800 მეტრის ზევით, სადაც ტყე თავდება და გადავდივართ სუბალპურ მდელოებზე, იწყება იაილები. მაღალმთის ეს ზოლი, რომელიც ზღვის დონიდან საშუალოდ ვრცელდება 2400 მეტრამდე, წარმოადგენს ჩვენი საზაფხულო, ანუ ალპური საძოვრების ძირითად ზოლს და სხვა მთიან ქვეყნებში შეეფარდება ქვედა ალპის საფეხურს.

შემდეგი და უკანასკნელი საფეხური, რომელიც ვრცელდება მთების აბსოლუტურ სიმაღლეზე, წარმოადგენს ნამდვილ ალპურ მდელოებს და შეეფარდება ზემო ალპის საფეხურს.

ალპების საფეხურებად ისეთი დაყოფა, რომლის დროსაც ყველა ქვეყნის ალპების დანაწილება ზუსტად ემთხვეოდეს ერთმანეთს, არ არსებობს, რადგან ალპური ზონის ქვემო და ზემო საზღვარი ისე როგორც მარადი თოვლის ხაზი, სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში შესამჩნევად ირყევა. მაგალითად, დასავლეთ ევროპაში ალპები ზღვის დონიდან საშუალოდ 1800 მეტრის ზევით იწყება, ხოლო მარადი თოვლის საზღვარი—2800 მეტრიდან. ამიერკავკასიაში ალპური ზონა საშუალოდ იწყება 2000 მეტრის ზევით, მარადი თოვლის საზღვარი კი აღმოსავლეთ ნაწილში 3500 მეტრის ზევით, ხოლო დასავლეთ ნაწილში—3000 მეტრის ზევით. მაგრამ რომელი ქვეყანაც არ უნდა ავიღოთ, სადაც ალპებია და მისდევენ ალპურ მეურნეობას, ყველგან ადგილი აქვს ალპის საფეხურებს და ამ საფეხურების სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით თანმიმდევრულ გამოყენებას.

ცხოველთა ალპაჯი

ცხოველთა მოძრაობის ხასიათი. აჭარაში, სანამ პირუტყვის ალპურ საძოვრებზე გარეკავენ, ჯერ მოსამზადებელ მუშაობას ჩაატარებენ. 15-20 დღით ადრე ახდენენ პირუტყვის ზოოტექნიკურ შემოწმებას, დაავადებულს ჰკურნავენ, გამხდარი ცხოველი გადაჰყავთ გაძლიერებულ კვებაზე, რომ საძოვრებზე წასვლა არ გაუჭირდეს. იაილებზე პირუტყვის გარეკვის დრო დამოკიდებულია არა მარტო საკვების გამოლევაზე ბარში, არამედ ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებზედაც. ამიტომ პირუტყვის გარეკვა საძოვრებზე სხვადასხვა დროს ხდება.

მაისის ბოლო რიცხვებამდე მალალმთის საძოვრები ჯერ კიდევ თოვლითაა დაფარული, მაგრამ მთისძირის კალთები, სადაც სათიბ-საძოვრები (ყიშლები) მდებარეობს, მაისის პირველ რაცხვებში უკვე თოვლისაგან თავისუფალია, ახალი ბალახიც საკმაოდ წამოზრდილია და პირუტყვის ამოყვანა აქ ბარიდან უკვე შესაძლებელი ხდება. მაისის პირველ რიცხვებში პირუტყვი უკვე ყიშლებისა-კენ იწყებს მოძრაობას. მაისის დასასრულს პირუტყვი დაიძრება ბარის დაბალი ნაწილებიდანაც უშუალოდ მალალმთის საძოვრებისაკენ.


პირუტყვის ალპაჯი აჭარაში ერთსაკროთ არ განისაზღვრება და დამოკიდებულია როგორც პირუტყვის სახეობაზე, ისე ბარის (საიდა-ნაც მიდის პირუტყვი) მეურნეობის ხასიათზე.

დავიწყოთ მსხვილფეხა პირუტყვის, სახელდობრ ძროხის ალპაჯის განხილვით. იმისდა მიხედვით, ძროხა გაივლის თუ არა ყიშლების საფეხურს, ალპაჯი ორ ტიპად იყოფა: პირველი ტიპი: მეწველ პირუტყვს მაისის პირველ კვირაში არეკავენ ყიშლებში. სოფლად რჩება თითო-ორჯოლა ფური ოჯახში რძის საჭიროებისათვის. მეწველ პირუტყვს მიჰყვება ხბო და მოზარდი პირუტყვი. ზოგან წვრილფეხა პირუტყვიც. ყიშლებში ამოსული პირუტყვი თოვლისაგან ახლად განთავისუფლებულ საძოვრებზე მაისის ბოლომდე

ბალახობს. შემდეგ იგი აქედანაც უნდა დაიძრას მთების შემდეგ საფეხურისაკენ, რომელიც ამ დროს თოვლისაგან უკვე თავისუფალია, გამთბარი და ბალახეულობითაც ამწვანებულია. ასე რომ, მაისის დასასრულს ყიშლებიდან პირუტყვი იწყებს მოძრაობას იაილებისაკენ და პირველ ივნისს ალპურ სამოვრებზე იმყოფება. საიილო სეზონი ჩვენში პირველ ივნისს იწყება. იაილებზე პირუტყვი დაჰყუფს ივნისს, ივლისს, აგვისტოს და თითქმის სექტემბერსაც. ამიერიდან აქ სიცივე იმდენად მატულობს, რომ მას პირუტყვი ველარ იტანს, ბალახიც გამოლეულია, ხშირად ჩამოთოვს კიდევ. ყიშლებში კი ამ დროს ჯერ კიდევ სიიზოა, ზაფხულის პერიოდში ბალახის ახალი მარაგიცაა დაგროვილი. იაილებიდან ჩამოსულ პირუტყვს შეუძლია აქ ერთხანს შეჩერდეს საბალახოდ. ამიტომ საშუალოდ სექტემბრის 25-დან პირუტყვი ყიშლებისაკენ ეშვება, სადაც დაჰყუფს მთელ ოქტომბერს და ნოემბრის პირველ ორ კვირას. ამიერიდან სიცივე აქაც უკვე შეუქლებელს ჰხდის პირუტყვის გაჩერებას, ბალახიც გამოილევა და პირუტყვი საბოლოოდ ბარში ჩამოდის დასაზამთრებლად (იხ. სქემა № 1).

სქემა № 1

ძროხის ალპაჟი (1 ტიპი)



ალპ. საძ.
(იაილები)

სამაისო საძ.
(ყიშლები)

სოფელი
(ბარი)

I II III IV V VI VII VIII IX X XI XII


პირუტყვის მოძრაობის გეზი ———

მეორე ტიპი პირველისაგან იმით განსხვავდება, რომ გამოტოვებულია ყიშლების საფეხური. გავრცელებულია უმეტესად ქვემო რაიონებში და აგრეთვე ხულოსა და ქედის რაიონების იმ

სასოფლო საბჭოებში, სადაც მოსახლეობას ყიშლები არა აქვს და პირუტყვი ამ საფეხურის გავლის გარეშე ბარიდან უშუალოდ მთაში მიდის. ალპაყის მეორე ტიპის დროს პირუტყვს ბარიდან დაძვრა პირველ ტიპთან შედარებით 25-30 დღით გვიან უხდება. ამ ხნის განმავლობაში პირუტყვი ყიშლების ნაცვლად ძოვს სასოფლო საძოვრებზე. პირუტყვი ბარს ტოვებს მაისის დასასრულს. სწორედ ამ დროს იწყებს ყიშლებიდანაც პირუტყვი (პირველი ტიპი) მოძრაობას იაილებისაკენ. ასე რომ, მოძრაობის ორივე შემთხვევაში პირუტყვი იაილებში ერთსა და იმავე დროს—ივნისის დასაწყისში აღის. მეორე ტიპის დროსაც იაილებში პირუტყვი დაპყფს ივნისს, ივლისსა და აგვისტოს და სექტემბრის ბოლოს პირდაპირ ბარში ბრუნდება (იხ. სქემა № 2).

სქემა № 2

ძროხის ალპაყი (II ტიპი)



I II III IV V VI VII VIII IX X XI XII

პირუტყვის მოძრაობის გეზი —

ხარის ალპაყი. პირუტყვის ამ სახის ალპაყი აჭარაში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა და მას დიდი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის ჯანმრთელობისათვის. ივნისამდე ხარი საგაზაფხულო სამუშაოებითაა დატვირთული, სამუშაოების დამთავრებისთანავე ის ტოვებს ბარს და პირდაპირ იაილებისაკენ მიეშურება. ყიშლების საფეხურს ხარი არ გაივლის, რადგან ბალახი იქ უკვე მეწველი პირუტყვის (პირველი ტიპი) მიერაა მოძოვილი.

ხარის ალპაჯი ჩვენში უფრო ხანმოკლეა, ჯიდრე ძროხისა. ხარი ალპურ საძოვრებზე ჰყავთ იენისსა და ივლისში, ხოლო აგვისტოს მეორე ნახევრიდან პირდაპირ ჩამოჰყავთ ბარში (იხ. სქემა № 3).

სქემა № 3

ხარის ალპაჯი

												ალპ. საძ. (იაილები)
												საშაისო საძ. (ყიშლები)
												სოფელი (ბარი)
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	

პირუტყვის მოძრაობის გეზი —

ხარის აღრე დაბრუნება მთიდან ბარში, სხვა სახის პირუტყვთან შედარებით, გამოწვეულია საშემოდგომო სამუშაოების დაწყებით.

ცხვრის ალპაჯი აქარაში სამ ტიპად იყოფა:

პირველი ტიპის დროს ცხვარი და თხა მიჰყვება იმ მსხვილფეხა პირუტყვს, რომელიც ყიშლების საფეხურს გაივლის. ცხვარს ყიშლებში მსხვილფეხა პირუტყვთან ერთად აძოვებენ რამდენიმე ხანს და შეზღვე იაილებზე აჰყავთ. შემოდგომაზე ისევ მსხვილფეხა პირუტყვთან ერთად ჩამოჰყავთ ბარში ყიშლებში შეჩერებით (იხ. სქემა № 1).

მეორე ტიპი. ამ შემთხვევაში ცხვარი მიჰყვება იმ მსხვილფეხა პირუტყვს, რომელიც ყიშლების საფეხურს არ გაივლის და ბარიდან პირდაპირ იაილებზე მიდის მსხვილფეხა პირუტყვთან ერთად (იხ. სქემა № 2), შემოდგომაზე ისევ მსხვილფეხა პირუტყვთან ერთად ბრუნდება.


როგორც ჩანს, ცხვრის ალპაჯის პირველი და მეორე ტიპი ისეთივეა, როგორც ძროხისა.

მესამე ტიპი. ცხვარი ზამთრის პერიოდში კოლხეთის დაბლობებზე ძოვს, გაზაფხულზე, დაახლოებით 15 აპრილიდან,

როგორც კი მთის პირის კალთებზე თოვლა შრობას დაიწყებს, ცხვარბ მთებისაკენ ტოვებს კოლხეთის ბარს და სითბოს მატებასთან ერთად, თანდათანობით ზევით მიაწევს, თითქოს „ცხვარი თოვლს მიჰყვება“. ცხვარი ყიშლების საფეხურს არ გაივლის, მაგრამ ის გზადაგზა დიდხანს ძოვს და მას ძლიერ ნელი მოძრაობა უხდება. ასე რომ, შუა აპრაღს კოლხეთის ბარიდან დაძრული ცხვარი იაიღებში დაახლოებით 1 ივნისს მიაღწევს. როგორც ვხედავთ, ცხვრის ალპაეის ეს ტიპი პირველი და მეორე ტიპისაგან იმით განსხვავდება, რომ ცხვარი ამ შემთხვევაში არ გაივლის ყიშლების საფეხურს, მაგრამ გზადაგზა დიდხანს ჩერდება. მთაზე ასული ცხვარი დაჰყოფს მთელ ივნისს, ივლისს, აგვისტოს და სექტემბრის დასასრულს უკან ბრუნდება მეტად ნელი სვლით. საცივის მატებასთან ერთად თანდათან ეშვება ძირს, ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას „თოვლი კვალდაკვალ მიჰყვება ცხვარს“. სექტემბრის ბოლოს მთებიდან წამოსული ცხვარი დაახლოებით დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩამოდის კოლხეთის დაბლობზე (იხ. სქემა № 4).

სქემა № 4

ცხვრის ალპაუი



გზეში. სიგრძობა და პირუტყვის გამტარიანობით ყველაზე მნიშვნელოვანია აპრა-ახალციხის გზა. ამ გზით მოძრაობს როგორც მსხვილფეხა, ისე წვრალფეხა პირუტყვი. უდიდესი მანძილი, რომელსაც ამ გზით პირუტყვი გაივლის, 130 კილომეტრს უდრის. აპრა-ახალციხის გზა თითქმის ყველა რაიონს ემსახურება. ამ გზით ხდება გოდერძის უღელტეხილისაკენ (ჩეგილის, ბეშუშის, თეთრობის და რიყეთის საძოვართა მასივებისაკენ) მიმავალი პირუტყვის მოძრაობა.



სხალთა-ბიზაძიის გზა, საძოვებთან მისასვლელი.

აქარა-ახალციხის გზას გამოეყოფა შემდეგი შტოები: ქ ვ ა ნ ი ს შ ტ ო, რომელიც სოფელ ხიჭაურთან იწყება და 10 კილომეტრამდე გზატკეცილს წარმოადგენს, შემდეგ კი (საძოვრებამდე)—ბილიკს. გზის სიგრძე უახლოეს იაილამდე 35 კილომეტრს უდრის, უშორეს იაილამდე — 50 კილომეტრს. ამ გზით პირუტყვის შირიკავენ ნაფოცხვარას, გომის მთისა და კატრიანის იაილებზე. გზას უმეტესი ნაწილი მეტად ვიწროა და დიდ აღმართებიანია, გადასახვევი ადგილები დასასვენებლად არა აქვს და ამის გამო პირუტყვი ძლიერ იქანცება.

ს ხ ა ლ თ ა-ხ ი ხ ა ძ ი რ ი ს შ ტ ო გზატკეცილს წარმოადგენს. იგი იწყება სოფელ ნიგაზეულთან. ამ გზით პირუტყვი მიდის სარიჩაირის, ახალდაბისა და ჩირუხის მასივებზე. გზის სიგრძე უახლოეს იაილამდე უდრის 40 კილომეტრს, უშორეს იაილამდე—70 კილომეტრს. არც ამ გზას აქვს გადასახვევი პირუტყვის დასასვენებლად. სამაგიეროდ, გზა ფართოა, აღმართები ნაკლები და პირუტყვიც ნაკლებად იქანცება.

ღ ო რ ჯ ო მ ი ს შ ტ ო იწყება სოფელ დიდაქარასთან. 15 კილომეტრის მანძილზე გზატკეცილს წარმოადგენს, შემდეგ კი ბილიკს. ამ გზით პირუტყვი მიდის ზოტაყელის, გრძელგორის, კატრიანის, შავნაბადას და სხვა იაილებზე. გზის სიგრძე უახლოეს იაილამდე 26 კილომეტრს უდრის, უშორეს იაილამდე კი—50 კილომეტრს. არც ამ გზას აქვს პირუტყვის დასასვენებელი ადგილები, აღმართიანია და მეტად-ქანცავს პირუტყვის.

წვრილფეხა პირუტყვი, რომელიც თითქმის წლის ნახევარს კოლხეთის დაბლობში ძოვს, საზაფხულო საძოვრებზე შემდეგი სამი გზით მიიმართება:

ა) მიაკოვსკ-აბასთუმნის გზით ის ცხვარი მიდის, რომელიც ძოვს წყალტუბოს, ქუთაისის, ზესტაფონისა და მიაკოვსკის რაიონებში. ამ გზით მიმავალი ცხვარი ფერსათეს გზით გადადის აქარის საძოვრებზე, სახელდობრ სარიჩაირის, ჩირუხის; ღრმანის, ბეშუმის, ზამბორის, თეთრობის და სხვ.;

ბ) ვანის გზით ის ცხვარი მიიმართება, რომელიც უმეტესად ვანის, სამტრედიის, წულუკიძისა და აბაშის რაიონების დაბლობებში ძოვს. აღნიშნული გზითაც მიმავალი ცხვარი უერთდება მიაკოვსკიდან ამოსულ ცხვარს;

გ) ჩოხატაურ-სურების გზით მოძრაობს ის ცხვარი, რომელიც ძოვს მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ნაწილობრივ სამტრედიის, აბაშის, ცხაკაიას და ზუგდიდის რაიონებში. აღნიშნული გზით მიმავალი ცხვარი 16—20 დღის განმავლობაში შავგორის მთასა და მის მიდამოებში ჩერდება, ხოლო ამის შემდეგ ნაწილდება:

მშრალი ცხვარი უმეტესად ბახმაროსა და ზოტიყელის საძოვრებზე მიიშარებდა, ხოლო დანარჩენი—აქარის სხვადასხვა საძოვრებზე გაიშლებდა.

წვრილფეხა პირუტყვის დასახელებული გზებიც ძირითადად საცალფეხო ბილიკებს წარმოადგენენ, რაც მოძრაობისა და მით უმეტეს დასვენებისათვის არ არის ხელისშემწყობი.

პირუტყვი უკან იმავე გზით ბრუნდება, რა გზითაც ალპურ საძოვრებზე აღის. აცივდება თუ არა, ცხვარი ნელი მოძრაობით მოღის დასაღლეთისაკენ და ზანთრისაძვის უკვე კოლხეთის საზამთრო საძოვრებზე ჩამოდის.

სამოვარების გამოყენება პირუტყვის სახეობის მიხედვით.

მეწველი პირუტყვისათვის უმათერესად ის საძოვრებია გამოყენებული, რომლებიც მდებარეობენ ტყის ზევით არსებულ სარტყელში, ძირითადად სუბალპური მდელოები. ეს უკანასკნელი ნამდვილ მთის საძოვრებს წარმოადგენს. მეწველი ძროხის გარდა, ამ საძოვრებზე ჩვენში ძოვს აგრეთვე მოზარდი პირუტყვი, ხარი და წვრილფეხა პირუტყვიც. სუბალპურ ზონაში, მეწველი ძროხების გარდა, სხვა სახეობის პირუტყვის ძოვება იმითაა გამოწვეული, რომ ამ უკანასკნელისათვის ცალკე საძოვრების გამოყოფის პირობები არ არსებობს და თუ ასეთ საძოვრებს სადმე შევხვდებით, იმდენად მცირეს, რომ ხარს და სხვა პირუტყვს იგი ვერ აკმაყოფილებს და მწყემსები იძულებული არიან ეს უკანასკნელი მეწველი ძროხების საძოვრებზე აძოვონ, თუმცა აქ შეძლებისდაგვარად ხარებს ცალკე აძოვებენ და მათ ცალკე მწყემსებსაც უყენებენ. სუბალპურ სარტყელში საცხოვრებელი იაილების მახლობელი ადგილები გამოყოფილია ხბოებისათვის, უფრო შორს კი ფური და სხვა მოზრდილი პირუტყვი მიჰყავთ. საძოვრების დიდი დატვირთულობის გამო მეწველი ძროხები, ბალახის მოსაძოვებლად გასული, 2—3 კილომეტრით შორდება იაილებს. თუ ვიანგარიშებთ მეწველი ძროხის მიერ ყოველდღიურად გავლილ მანძილს (სადგომიდან საძოვრებამდე და უკან), ეს მანძილი 5 კილომეტრზე ნაკლები არაა. ყოველდღიურად მეწველი ძროხის მიერ ასეთი მანძილის გავლა, ცხადია, უარყოფითად იმოქმედებს მის წველადობაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენში ცხვარი ხშირად მსხვილფეხა პირუტყვის საძოვრების ზოლში ძოვს, თუმცა არსებობს ცხვრის საძოვართა ზოლიც. ეს ზოლი უმეტესად ზღვის დონიდან 2400 მეტრის ზევით მდებარეობს და ძირითადად მთის მწვერვალებსა და მის მისადგომებს წარმოადგენს. ეს საძოვრები უმეტესად ციცაბოა და ზოგან ქვიანიც, ბალახიც დაბალი იცის. ამის გამო ის ნაკლებ მისაწვდომია მსხვილფეხა პირუტყვისათვის, სამაგიეროდ ცხვარი და თხა აქ ძლიერ კარგად გრძნობენ თავს. მათ პირის აგებულება

შუალეხას აძლევს მოხერხებულად ამოდგომონ ციცაბო ფერდობებზე და კლდოვან ადგილებში მთის ისეთი დაბალი ბალახი, როგორცაა *Campanula tridentata* Schreb., *Chamaescladium acaule* (MB). Boiss., *Campanula Aucheri* DC. და სხვ. ცხვარი და თხა ამ სიმალლეზე კარგად იტანენ ჰივასაც; აქ მეტი სიგრილე და სიმშრალეა, არც მწერი აწუხებს ცხოველს. ამ ზონის ციცაბო და კლდოვანი ადგილების ბალახის გადაქცევა ძვირფას პროდუქტებად — ბატყლად, ხორცად და ცხიმად მხოლოდ ცხვარსა და თხას შეუძლია. სხვა ქვეყნებშიაც საუკეთესო ალპები განკუთვნილია მეწველი ფერებისათვის, უფრო მწირი საძოვრები — ახალგაზრდა პირუტყვისათვის, ხოლო მაღალი და დაქანებული ფერდობები მწკრილფეხა პირუტყვისათვისაა გამოყენებული.

აქარის საზაფხულო საძოვრებზე მშრალი ცხვრისათვის — ყოჩების, კედილებისა და ბატყნებისათვის ცალკე საძოვრებია გამოყოფილი, მაგრამ ყველა შემთხვევაში არასაკმარისი.

ბირუტყვის უზარუნველყოფა წყლით. აქარის საზაფხულო საძოვრებზე წყალი უხვად მოიპოვება. თითქმის ყველგან გვხვდება წყაროები და ღელეები. ჩვეულებრივად თვით იაილის ეზოებში ან მის მახლობლად. პირუტყვისათვის წყლის დასაღწევად გაკეთებულია ე. წ. ხის ჯარები (აბაზანები), რომელშიაც განუწყვეტილად ჩადის ახალი წყალი.

ალპური საძოვრების დატვირთვა. ალპური საძოვრების ღირსება იმაში გამოიხატება, თუ რამდენი ძროხის გამოკვება შეუძლია მას ალპების პერიოდში. ფართობი, რომელიც საჭიროა ზაფხულის პერიოდში ერთი ძროხის გამოკვებისათვის, სხვადასხვა ალპურ ქვეყნებში სხვადასხვა რაოდენობით განისაზღვრება.

საქართველოს პირობებში საშუალოდ ერთი ძროხის გამოკვებისათვის შილებულია:

- 1) კარგი საძოვრის — 0,75 ჰექტარი.
- 2) საშუალო საძოვრის — 1,5 ჰექტარი.
- 3) ცუდი საძოვრის — 2,0 ჰექტარი.

მაგრამ ეს ნორმები ადგილობრივი პირობების მიხედვით ცალკეულ რაიონებში შეიძლება შეიცვალოს. კერძოდ აქარაში, პირუტყვის ცოცხალი წონის შესაბამისად, ერთი ძროხის გამოკვებისათვის მიღებულია:

კარგი (1-ლი კატეგორია) საძოვრის 0,33 ჰექტარი,
 საშუალო (მე-2 კატეგორია) " 0,5 ჰექტარი,
 ცუდი (მე-3 კატეგორია) " 1 ჰექტარი,

ანუ: 1 კატეგორიის საშ. 1 ჰექტარი — 3 სულ ძროხაზე
 მე-2 " " 1 " — 2 " "
 მე-3 " " 1 " — 1 " "

აჭარის ალკუმი სამომავლის უპრობი

ცხრილი № 12.

აჭარის ალკური საძოვრები ქვეტარებში

№№ რიგ.	საძოვრების მასივების (უბნების) დასახელება	საერთო ფართობი	ვარგისი	უვარგისი
1. ხულოს რაიონი				
1	გრძელგორი	127	117	10
2	საცხოვრია	360	338	22
3	კატრინი	820	700	120
4	ტყისგელა	1505	1400	105
5	მგლის-საწოლი	87	87	—
6	მოლისათიბი	263	238	25
7	შუაგორა	262	247	15
8	ხოტიყელი	1845	1700	145
9	დეკნარ-კარჩხალი	455	395	60
10	ჯანჯღნარი-საოგოგია	1290	1140	150
11	შაენაბადა	1337	957	400
12	გორა-ნასოფლარი	382	327	55
13	ნათელათი-კუნტუღეთი	1650	1155	496
14	საჯოგე	525	455	70
15	სათოლისწყარო	230	200	30
16	ვაშლოვან-დიდაკარის იაილები	830	780	50
17	რიყეთის იაილები	517	496	21
18	პაქსაძე-ლურტას იაილები	1420	1300	120
19	ბეშუმი	1780	1640	140
20	თაგო-ჩაოს იაილები	143	128	15
21	ღრმანი	420	400	20
22	თეთრობი	690	650	40
23	ღინჯოეთი	48	48	—
24	მაკარელაოი	170	160	10
25	თხილევანას იაილები	860	480	380
26	სამსმელო	54	54	—
27	ბაკოს იაილები	400	385	15
28	სარიჩაირი	393	383	10
29	ახალდაბა	780	750	30
30	სკვანა-ხიზაძირის იაილები	546	501	45
31	კალოთა	230	200	30
32	ვერნების იაილები	295	235	60
33	ქიძინიძე-ჯაბინიძეების იაილები	820	720	100
34	არყისძირი-კაჩაბანი	576	69	576
35	ლომა	498	410	88
36	ქუთაური	260	240	20
37	კვესური	228	218	10
38	დარჩიძე	439	414	15
39	ჩირუხი	1022	977	45
40	ჯინალი	1600	1515	85

№№ რიგ.	საძოვრების მასივების (უბნების) დასახელება	საერთო ფართობი	ვარგისი	უვარგისი
41	ლეღუანი	55	55	—
42	სარიჩაირი .	580	545	35
43	მაჭარული .	370	360	10
44	სანალია-საკაეა .	1163	1063	100
45	მაწყვალთა .	967	897	70
46	დღვანი .	765	705	60
47	ლეკან-ბოკელი .	60	60	—
სულ ხულოს რაიონში .		30117	26215	3902
2. ქედის რაიონი				
1	სალორია-მედიბნა .	1057	900	157
2	საკვესია .	—	—	—
3	ლართი .	—	—	—
4	შვიდვაკე .	—	—	—
5	თელნარა .	—	—	—
6	ქალასკური .	—	—	—
7	მტირალა .	—	—	—
3. ქობულეთის რაიონი				
1	ცხემლისი .	1959	1774	185
2	ხინო .	1409	1244	165
სულ ქობულეთის რაიონში .		3368	3018	350
მთლიანად აპარის ახსრ-ში		34542	30082	4409

ცხრილში მოცემული 30.082 ჰექტარი ვარგისი ფართობი თავის მხრივ იყოფა სამ კატეგორიად:

1-ლი კატეგ. ანუ კარგი საძოვრების ფართობი უდრის 1276 ჰექტ.
მე-2 " " საშუალო " " 10463 ჰექტ.
მე-3 " " ცუდი " " 18443 ჰექტ.

საძოვრების ეს ფართობი აპარისათვის მიღებული ზემოაღნიშნული დატვირთვის ნორმების მიხედვით უნდა კვებავდეს:

1-ლი კატეგორიის 1276 ჰექტ. × 3 — 3828 სულ ძროხას
მე-2 " 10463 ჰექტ. × 2 — 20926 " "
მე-3 " 18343 ჰექტ. × 1 — 18343 " "


სულ 30082 ჰექტ. 43097 სულ ძროხას.

ნამდვილად კი აპარის ალპური საძოვრები ალპაის, ე. ი. საიალალო სეზონის დროს ყოველწლიურად კვებავს თითქმის ორჯერ მეტ პირუტყვს, ვიდრე ეს დასაშვებია ნორმალური დატვირთვის პირობებში. ამრიგად, განხილული საძოვრების დატვირთვა საშუალოდ 200 პროცენტს შეადგენს.

ქომიხის ხიხამა. აქარის საზღვხულო საძოვრების ერთი სერიოზული ნაკლთაგანია მისი არაწესიერი გამოყენება. უძველესი დროიდანვე მიღებულია თავისუფალი და ხშირად სხვადასხვა სახეობის პირუტყვის ერთად ძოვება, რაც მეტად უარყოფით გავლენას ახდენს საძოვრებზე. ე. წ. „ნაკვეთმორიგეობითი“, ანუ ძოვების როტაციული წესი აქ ჯერ კიდევ არაა შემოღებული, არ ხდება საძოვრების სისტემატური მოვლა, სარეველა ბალახებისაგან გაწმენდა, ჯაგებისა და ბუჩქების ამოღება, ქვებისაგან გასუფთავება. საძოვრებზე არ ხდება საკვები ბალახების ჩათესვა, სასუქების გამოყენება და სხვ. პირუტყვის გაყვანა საძოვრებზე მეტად ადრე ხდება—ნიადაგის გაშრობამდე, რის გამო კორდი ძლიერ ზიანდება. საძოვრები ყველგან არ არის უზრუნველყოფილი კარგი მისასვლელი გზებით, დასასვენებელი ადგილებით და სხვ. ყოველივე ეს ამცირებს აქარის ალპური საძოვრების ღირსებას.

პირუტყვის სადგომი—გოსლავი. პირუტყვის სადგომი უმეტესად მოთავსებულია საცხოვრებელი ბინის, ე. წ. იაილის ქვედა სართულში. ზოგჯერ ეს იაილა ერთსართულიანია, შუაზე გადატობრული და ერთი ნაწილი პირუტყვისათვისაა გამოყენებული. ზოგჯერაც პირუტყვის სადგომი სრულიად განცალკევებულად დგას ადამიანის საცხოვრებელი ბინებისაგან. ხშირად პირუტყვის სადგომები სრულიად არა აქვს. აქარის იაილებზე პირუტყვის სადგომებს ზოტატქნიკური თვალსაზრისით ახსიათებს რიგი უარყოფითი მხარეები, რაც უმთავრესად შემდეგში მდგომარეობს: 1. სადგომები ძალზე ცივია, განსაკუთრებით ალპაეთის პირველსა და უკანასკნელ ხანებში, როცა საზოგადოდ ცივი ამინდებია. როგორც ცნობილია, ნორმალური სითბოს დაცვის პირობებში პირუტყვი კარგად გრძნობს თავს და მეწველნი ძროხა რძის მეტ რაოდენობას იძლევა, ხოლო თუ ბოსტონი ცივია, მიშინ საკვების გარკვეული ნაწილი ცხოველის სხეულის გათბობას ხმარდება და, ცხადია, პირუტყვი წვილაში იკლებს; 2. სადგომები არ არის სინათლიანი, რაც ამავე დროს დაბრკოლებას ქმნის სისუფთავის დაცვის, პირუტყვის წესიერად მოვლისა და სხვ. საქმეში. ამასთანავე, როგორც ცნობილია, უსინათლობა ხელს უწყობს მავნე მიკროორგანიზმების გავრცელებას, რაც პირუტყვის უკარგავს ენერგიას, მადას, სიმკვირცხლეს და სხვ.; 3. სადგომებში ნაკლებადაა დაცული სისუფთავე. როგორც წესი, საუბანი არ ჭამოიყენება და პირუტყვის სადგომი მუდამ ნესტიანია. პირუტყვი მკიდროდ დგას სადგომებში და ამასთან პაერატ. ნაკლებად იწმინდება, რაც ხელს უწყობს მავნე გაზების დაგროვებას. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს მეწველი პირუტყვის პროდუქტიულობაზე.

მაღალსა—ბაკი (აბაღლდების რაიონში)



მშრალ პირუტყვის ბოსელში იშვიათად აბამენ, მას აჩერებენ იაილის ეზოში, შემოლობილში. ასეთ შემოლობილებს, ანუ ბაკებს აქ ჰაღილებს უწოდებენ. ასეთივე ჰაღილებში აჩერებენ წვრილფეხა პირუტყვისაც, თუმცა ხშირად ამ სახეობის პირუტყვი ღამით გარეთ, საძოვარზე რჩება. ჰაღილების დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ პირუტყვი ღამე არ დაიკარგოს, არ გადაიჩხოს, ნადირმა არ დააზიანოს და სხვ. პირუტყვის გარეთ ჰაღილებში ყოფნა უხდება აგრეთვე წვიმისა და სეტყვის დროსაც. გასაგებია, თუ რა ცუდი პირობები იქმნება პირუტყვისათვის, განსაკუთრებით ცუდი ამინდის დროს.

პირუტყვის მიზაჩება. აქარაში თარაოდაა გავრცელებული პირუტყვის მიზარება. იმ ადგილების მცხოვრებნი, უმეტესად ქვედა რაიონებისა, რომლებსაც ჰყავთ პირუტყვი, მაგრამ არა აქვთ ალპური საძოვრები, ზაფხულში საკვების უქონლობის გამო იძულებულნი არიან თავიანთი პირუტყვი მიზარონ მთის მცხოვრებლებს. პირუტყვის მიზარებენ ხულოს რაიონის მცხოვრებნი. ალპაეის დასაწყისში პირუტყვის ამყვანნი ჩადაან ქვედა რაიონებში და ეძებენ მისაზარებელ პირუტყვის. ხშირად კი წლების მანძილზე პირუტყვის ამყვანსა და მეპატრონეს შორის ამ ნიადაგზე დამყარებულია ნაცნობობა და ჩამოსულებს პირუტყვი ყოველგვარი ძებნის გარეშე მიჰყავთ. პირუტყვის წაყვანამდე ჯერ ამოწმებენ მის ჯანმრთელობას, წველადობას და შემდეგ მოპირდაპირენი ურთიერთშორის დებენ პირობას, რომლის თანახმად ჩვეულებრივად პირუტყვის ამყვანი ალპაეის დამთავრების შემდეგ პირუტყვის პატრონს აძლევს დამზადებული რძის პროდუქტების ნაწილს, რაც პირობით იყო გათვალისწინებული. დანარჩენი ნაწილი კი რჩება პირუტყვის ამყვანს. ამიტომ ეს უკანასკნელი რამდენადაც უკეთ მოუვლის ძროხას, იმდენად მეტ რძეს მიიღებს, მეტი მოგება რჩება მას.

აქარაში ზაფხულობით ადგილი აქვს არა მარტო მეწველი, არამედ მშრალი პირუტყვის მიზარებასაც. ამ შემთხვევაში მეპატრონე პირუტყვის ამყვანს პირუტყვის ძოვებისა და მოვლა-პატრონობისათვის უხდის ქირას ფულით ან ნატურით, უმეტესად სიმინდით. პირუტყვის უზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში ამყვანი ვალდებულია მეპატრონეს აღუნაზღაუროს დანაკარგი.

ალპაეის დამთავრების შემდეგ პირუტყვის პატრონი თვითონ მიდის ამყვანთან პირუტყვის ჩამოსაყვანად და კუთვნილი პროდუქტების, ე. წ. ნამთიერის ჩამოსატანად.

თავი V II

მოიალადე მოსახლეობა და მისი ყოფაცხოვრების პირობები

მომხმარებელი. აჭარის ალპური საძოვრებით სარგებლობენ მხოლოდ აჭარის კოლმეურნეები.

აჭარის ასსრ სოფლის მოსახლეობა რაიონების მიხედვით %/-ში:

ხულო	35,6
ქედა	14,3
ბათუმი	23,5
ქობულეთი	26,6
ს უ ლ	100

ალპური საძოვრებით ძირითადად ხულოს რაიონის მოსახლეობა სარგებლობს, რასაც გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

საქონლების განაწილება მომხმარებლებზე რაიონების მიხედვით.

ცხრილი № 13

რაიონების დასახელება	ხასოფლო საბჭოს, სოფლის დასახელება	საძოვრების დასახელება
ხულო	დიოკნისი	ბელღეთის იაილები, ბოძაურის იაილები, ყაშლია აივაზოკალა, ლოდისძირი, შკერვალი, ლურტის იაილები.
	რიყეთი . . .	რიყეთის იაილები.
	აგარა . . .	ნათელათი, კუკულეთი, ქვაბიჯვარი.
	ლორჯომი	ბოდიში, საჯოგია, ლეკნარი, კარხხნალი, გორა 1-ლი, შვენაბადა და ზოტიყელი, ჯანჯღნარი.
	დიდაჭარა	დიდაჭარის იაილები.
	ხულო	ბეშუმი, ხულოს იაილები, ჩაო-თაგოს იაილები, ვაშლოვანის იაილები.
	სხალთა	თეთრობი.

ხიზაძირი	თხილვანის იაილები, ბაკოს იაილები, ვერნების იაილები.
ყინჩაური	მაჭახელაფი, სამსმელო.
შუბანი	მაჭარელათი, სარიჩაირი, ქუთაური, დარჩიძეების იაილები, ლეკნარი,
ოლადაური	სანალია, მაწყვალთას იაილები.
დღვანი	დღვანის იაილები, ლეკნარი.
უჩაბა	ქიძინიძეების იაილები, ჯაბნიძეების იაილები, არყისძირი, შუალომა.
შუახევი	ნაწილი მიდის ლორჯომისა და ნაწილი ოლადაურის სამფრებზე.
ქენა	შეაკიკიბო, გრძელი გორი და კატრიანი.
წყლისაყარი	გორა II, გრძელი გორი, შეაკიკიბო, ნაფოცხვარი.
ბარათაული	კატრიანი.
ადიგენის რაიონიდან	ნაკვეთი № 63 ბეშუმში.
ხულოს რაიონის მუდმივ	ნაკვეთი № 64 ჩეგილში.
სარგებლობაში	
ჩოხატაურის რაიონიდან	ნაკვეთი № 67 ჩადრეკლში,
ხულოს რაიონის მუდმივ	ნაკვეთი № 41 გრძელ გორში,
სარგებლობაში	ნაკვეთი № 42
სოფ. სოფ. ახო, გეგელი-	ახოს და გეგელიძეების იაილები
ძეები, წონიარისი	
მერძი	როგია
ზვარე და ქელა	კვესური
სოფ. ცხმორისი, აბუქე-	ახალდაბა
თა და სხვ.	
ხინო, დიდვაკე, ზერაბო-	ხინოს იაილები
სელი, შესხიძეები, ცხემ-	მოლისსათიბი
ვანი	მგლისაწოლი.
ლეღა	
მუხანესტატე	
მხარაძის რაიონიდან ქო-	პატარა ბაისურა, საყორნია.
ბულეთის რაიონის მუდ-	
მივ სარგებლობაში	
ჩოხატაურის რაიონიდან	ნაკვეთი № 24, პატარა ქვაფორჩხილა
სხვადასხვა სასოფლო	ჩეგილი, ბეშუმში და დარმანი
საბჭოები	სარიჩაირი, ჩირუბი
ქ. მაჭახელი და ხულოს	
რაიონიდან სოფლები	
ტბეთი და გოგაძე	ჯინალი

ქელა

ქობულეთი

მათუშის

შენობები—იაილენი. აქარის ალპურ საძოვრებზე აგებული საცხოვრებელი სახლები, იაილების სახელით წოდებულნი, ორი ტიპისაა: ორსართულიანი და ერთსართულიანი. შენობებს ხის მასალისაგან აგებენ. იაილის ქვედა სართული განკუთვნილია პირუტყვისათვის, ხოლო ზედა—საცხოვრებლად. ეს უკანასკნელი შენდება რამდენიმე ოთახისაგან. წინა ოთახი, სადაც ცეცხლს ანთებენ, გამოყენებულია სამზარეულოდ, მეორე—რძის შენახვისა და მისი გადამუშავებისათვის. ამ ოთახს სარძევეს უწოდებენ. მესამე ოთახი სასტუმროდაა განკუთვნილი.

ერთსართულიანი იაილის პატრონს ბოსელი უმეტეს შემთხვევაში გარეთ აქვს ცალკე გაკეთებული. ზოგჯერ ეს ერთსართულიანი იაილა ორადაა გადატიხრული და მისი ერთი ნაწილი საბოსლედაა გამოყენებული.

მეცხვარეები, რომლებიც უმეტესად საძოვრების ზემო ნაწილთან არიან დაკავშირებული, ძუღმივი იაილის მაგივრად, დროებით დგამენ თხის ძატყლისაგან მოქსოვილ სამგზავრო კარვებს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ცხვარი ხშირად ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავთ და კარავიც თან გადააქვთ.


კარვებში მხოლოდ მწყემსები ცხოვრობენ. პირუტყვი კი, ცხადია, ამ შემთხვევაში ღია ცის ქვეშ რჩება.

აქარის იაილების ერთი არსებითი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ რამდენიმე ათეული (20—100) სახლი შეჯგუფებულია ერთ ადგილას და სოფელს ემსგავსება. ეს მდგომარეობა კი საგრძნობლად აადვილებს სხვადასხვა სახის სამეურნეო-კულტურული ღონისძიებების ჩატარებას მოსახლეობაში.

აქარის ალპურ საძოვრებზე საწარმოო შენობებთან ერთად შენდება ახალი საცხოვრებელი შენობები, რაც გათვალისწინებულია ახალი ხუთწლიანი გეგმით. ცხადია, ასეთი საცხოვრებელი შენობები გაცილებით უფრო პიგიურული და ყოველმხრივ კულტურული იქნება, ვიდრე ამჟამად არსებული იაილის შენობათა ტიპები.

მოსახლეობის მოსახლურება. მოსახლეობის მომსახურების მიზნით, ყოველწლიურად იაილებზე იხსნება სამომხმარებლო და დამამზადებელი კოოპერატიული. მაღაზიები, საექიმო პუნქტები, სამკითხველოები, სისტემატურად ტარდება მოსახლეობაში სხვადასხვა სახის მოხსენება-საუბრები, უჩვენებენ კინოსურათებს და სხვ.

მოსახლეობის შრომა-საქმიანობა. მოიალაღე მოსახლეობა უმეტესად ქალებისა და ბავშვებისაგანაა შემდგარი. მამაკაცები დროგამოშვებით ამოდიან აქ სურათ-სანოვაგის ამოსატანად, დამზადებული რძის პროდუქტების წასაღებად ბარში, შუამთობაზე მონაწილეობის მისაღებად და



აჭარული იაიდები (ჩირუხი), რომელიც ბასიათდება სოფლის შგავსი დასახლებით.

მძიმე სამუშაოების შესასრულებლად, როგორცაა ხე-ტყის დამზადება, იაილის კეთება და სხვ. მამაკაცები, რომლებიც მთელი სეზონის განმავლობაში იაილებზე არიან, უმეტესად მწყემსებია.

ქალების შრომა-საქმიანობას იაილებზე შეადგენს ძროხის წველა, რძის პროდუქტების დამზადება, ბირუტყვის მოვლა და სხვ.

საკოლმეურნეო მუშაობები და შათი მუშაობის პირობები. სსრკ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1938 წლის 13 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, კოლმეურნეობის ფერმაში ყველა სამუშაოს შესასრულებლად კოლმეურნეობის გამგეობა ადგენს მეცხოველეობის მუდმივ ბრიგადას ვადით არანაკლებ 3 წლისა და ამაგრებს მას პირუტყვს, საჭირო ინვენტარს, გამწვევ ძალასა და მეცხოველეობის შენობებს. მსხვილ ფერმებში ეწყობა რამდენიმე ბრიგადა. ბრიგადა ემსახურება დაახლოებით 50—60 ძროხას ყველა ასაკის მოზარდით. თუ მეცხვარეობის ფერმაა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ცხერის ცალ-ცალკე მოსაგლეხად ეწყობა რამდენიმე ბრიგადა, თითოეული 3—4 კაცის შემადგენლობით (დედა-ცხერის მომვლელი ბრიგადა, მოზარდი ცხერის, დედალი და მამალი თოხლების ბრიგადა, ყოჩებისა და ქედლების მომვლელი ბრიგადა), ხოლო ცხერის სიმცირის შემთხვევაში მწყემსების ბრიგადა უვლის ცხერების ყველა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფს.

კოლმეურნეობის გამგეობა თითოეული ბრიგადისათვის ადგენს წლიურ საწარმოო დავალებას. ბრიგადის წევრთა შრომა ეწყობა სანარდო მუშაობის საფუძველზე მიღებული პროდუქციის (რძის, ხორცის, გამოზარდილი ხბოების და მოზარდილი პირუტყვის) რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით შრომადღეების დარიცხვით. სამუშაოთა სანარდო შეფასებებს შრომადღეებში და დატვირთვის ნორმებს კოლმეურნეობის გამგეობა ამუშავებს და საერთო კრებაზე ამტკიცებს.

აქარის ალპურ საძოვრებზე არასაკოლმეურნეო პირუტყვს თვით მეპატრონეები მწყემსავენ. ამ საქმეში უმეტესად ბავშვებია გამოყენებული. ხშირად რამდენიმე თჯახი აერთიანებს თავიანთ პირუტყვს და რიგრიგობით მწყემსავენ, ან კიდევ გამოაყოფენ

მუდმივ მწყემს-მენახირეს და ამ უკანასკნელის შრომას ნატურით ან ფულით ანაზღაურებენ. წვრილფეხა პირუტყვის მწყემსი აუცილებლად ახლავს იმ დროს, როდესაც მსხვილფეხა პირუტყვის ძოვება ხშირად ხდება უმწყემსოდ. დილით გარეკავენ საძოვარზე, ხოლო საღამოთი უკან მორეკავენ, ანდა პირუტყვი თვითონვე ბრუნდება. ცხვრის ფარას, რომელიც 200—500 სულამდე შეკრდება, 2—3 მწყემსი აძოვებს. ერთ მწყემსზე საშუალოდ მოდის 70—100 თავი ცხვარი. ცხვრის დასაცავად მწყემსებს ჩვეულებრივ ძაღლები ჰყავთ. ერთ ფარას საშუალოდ 2—5 ძაღლი ახლავს. ისინი ყოველ-ზბრიდან უვლიან ფარას, მასთან არ უშვებენ უცხო პირს და, შითუმეტეს, ნადირს. მწყემსები პირუტყვის მოსაძებნად ფართოდ იყენებენ როგორც წვრილფეხა, ისე მსხვილფეხა პირუტყვისათვის კისერზე ჩამოკიდებულეფენებსა და პატარა ზარებს. ზარების ხმა საკმაოდ შორს ისმის და მწყემსს საშუალება ეძლევა სწორად გაიგოს პირუტყვის ადგილსამყოფელი.

დასვენება და ბარტობა. აჭარის ალპური ზონა გამოყენებულია არა მარტო საძოვრებად, არამედ სააგარაკოდაც. მთის ჰავა, იშვიათი ცივი წყაროები და თვალწარბეცა ალპური პეიზაჟი ძლიერ იზიდავს ადამიანს. მთაში წასვლა მოსახლეობაში დიდ ალტაცებას იწვევს. ამიტომ, რომ მოიალაღე მოსახლეობის ოჯახის თითოეული წევრი სულ ცოტა 20—25 დღეს მაინც მთაში ატარებს.

აჭარის ალპურ საძოვრებზე მოიალაღე მოსახლეობის ყოფაცხოვრებაში განსაკუთრებულ მომენტს წარმოადგენს სახალხო დღესასწაული— შუ ა მ თ ბ ა. შუამთობის არსი შემდეგში მდგომარეობს: ალპების შუაპერიოდში, ე. ი. შუამთობის დროს, ერთი ან რამდენიმე მეზობელი იაილის მოსახლეობა ერთად იკრიბება ხოლმე და აწყობს ფართო ხასიათის გართობას: უკრავენ ხებადასხვა ხალხურ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, მღერიან, ცეკვავენ, შაირობენ, ჯიროთობენ და სხვ.

შუამთობა აგვისტოს პირველ რიცხვებში იწყება და ერთი ან ორი კვირა გრძელდება. ამ დროს ბარში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები რამდენადმე შემსუბუქებულია, მოსავლის აღება ჯერ კიდევ დაწყებული არაა და მოსახლეობას საშუალება ეძლევა ბარიდან მთაში ავიდეს და საშუამთობო დღესასწაულში მიიღოს მონაწილეობა.

შუამთობაში მონაწილეობას იღებს მოსახლეობის ორივე სქესი. შუამთობა უმეტესად ხულოსა და ქედის რაიონების მოი-ალაღე მოსახლეობაშია მიღებული.



შუამოთხა. გოციყვენი ასრულებენ „ხორუმს“ (ხბაძირის იაილები)

ალპური მეურნეობის პროდუქცია

6 4 3

ძროხის წველადობა. აპარული ძროხის წველადობა საგრძნობლად დაბალია. ამის მიზეზი უწინარეს ყოვლისა ცუდი კვებაა. ბაგურ პერიოდში საკვების ძირითად სახეს, როგორც აღვნიშნეთ, ჩალა და ნაწილობრივ თივა წარმოადგენს. ზოგჯერ არც ეს ჰყოფნის პირუტყვის და ნეკერზე გადის ჯერს. კვების მხრივ პირუტყვი, ცხადია, უკეთეს პირობებში იმყოფება ალპაჟის დროს, მაგრამ საძოვრების დიდი გადატვირთვის გამო ამ პერიოდშიც ვერ ნაყრდება კარგად და, ცხადია, ამგვარი კვების პირობებში მეწველი ძროხა ცოტას მოიწველის. აპარის მოსახლეობაში არსებობს ასეთი სამართლიანი გამოთქმა: „ძროხა კი არა, ბალახი იწველისო“. მეწველი პირუტყვი როგორც ბარში, ისე მთაშიც ცივ, ნესტიან და ჭუჭყვიან ბოსტნებში იმყოფებოდა და მისი მოვლა შენახვა ზოოჰიგიენური თვალსაზრისით დღესაც არ არის ჯერ. ჯერობით სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. „პირუტყვის სუსტ კვებას ბზითა და ჩალით ძლიერდობით-ღა შეუძლია არსებობის ხელისშეწყობა და უმთავრესად ცხოველის ტემპერატურის დაცვას ხმარდება. იკარგება ცნება გამოყენებითი პროდუქტიული მესაქონლეობის შესახებ და მყარდება „სანაკლო მესაქონლეობისა“ (7). აკად. ვილიამსის ეს სიტყვები ზედგამოჭრილია აპარული ძროხისათვის, რომელმაც ერთპიროვნული, ჩამორჩენილი მეურნეობის დროს, ცუდი კვებისა და მოვლა შენახვის პირობებში ასეთი განხრა მიიღო.

აპარის მეწველი პირუტყვის მცირე პროდუქტიულობის ერთი მთავარი მიზეზი აგრეთვე მის შემკვიდრეობით თვისებებშია ცუნდა ვეძიოთ. ექსტერიერით აპარული ძროხა კარგ სურათს ვერ იძლევა. ცუდი, სარძევე ჯირყვალი სუსტად აქვს განვითარებული. კარგი შთამომავლობის მიღებისათვის ზრუნვა დაიწყო საკოლმეურნეო წყობილების დროს, როცა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას ჩაეყარა საფუძველი. აღნიშნულმა პირობებმა განსაზღვრეს აპარული ძროხის დაბალი წველადობა, მაგრამ საზოგადოებრივი მეცხოველეობის ჩამოყალიბების შემდეგ, როცა პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული, აპარული ძროხის წველადობა საგრძნობლად გაიზარდა.

აპარული ძროხის ლაქტაციის პერიოდი საშუალოდ 180 დღეს უდრის. ლაქტაცია იანვრიდან იწყება, უმეტესად მარტ-აპრილზე და იშვიათად მაისზე მოდის. დაგვიანებული ლაქტაცია არ არის ხელსაყრელი ჩვენი პირობებისათვის, რადგან მისი ბოლო პერიოდი ხვდება შემოდგომას, როცა იაილებზე ამ დროს სიცივე ახდენს გავლენას წველაზე, ხოლო ბარში—ცუდი საკვები და ამის გამო ლაქტაციის ხანგრძლივობა მცირდება. არც ნაადრევი ლაქტაციაა სასარგებლო აპარის პირობებისათვის. ჩვენში უკეთეს შედეგს იძლევა ლაქტაციის დაწყება მარტ-აპრილში, რადგან ლაქტაციის მეორე პერიოდი—ივნისი, ივლისი და აგვისტო ხვდება ალპაეის პერიოდს, როცა მთის საუკეთესო ბალახით იკვებება პირუტყვი. აქაური პირუტყვისათვის კვების მხრივ ეს კი ყველაზე უკეთესი პერიოდია. მარტ-აპრილის ლაქტაცია ჩვენი პირობებისათვის უმჯობესია იმ მხრივაც, რომ ამ დროისათვის ხბო დამოუკიდებელ კვებაზე გადადის და უხდება ალპური ბალახით კვება.

ძროხის წველას ხბოს მოგებიდან 6—7 დღის შემდეგ იწყებენ, მანამდე რძე მთლიანად ხბოს ხმარდება.

წველა დღე-ღამეში ორჯერ ხდება, დილით საძოვარზე გარეკამდე და შემდეგ საღამოთი საძოვრიდან დაბრუნებისას.

როგორც სხვადასხვა იაილაში, ისე ბარშიც მეწველი ძროხების რძიანობის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ლაქტაციის პირველ პერიოდში აპარული ძროხა დღე-ღამეში საშუალოდ 2 ლიტრ რძეს იძლევა, მეორე და მესამე პერიოდში ძროხა ალპურ საძოვრებზე და ამ დროს მისი რძიანობა მეტია, დღე-ღამეში ის 5 ლიტრ რძეს იძლევა. ალპაეის ბოლო ხანები ხვდება ლაქტაციის მესამე პერიოდს. ამ დროისათვის ძროხა წველაში თანდათან იკლებს, ასე, რომ ალპაეის მთელ მანძილზე აპარული ძროხა დღე-ღამეში საშუალოდ 4 ლიტრ რძეს იძლევა. ლაქტაციის პერიოდში ერთი ძროხა საშუალოდ იძლევა 600 ლიტრ რძეს. აქედან ალპური პერიოდის წილად საშუალოდ მოდის 480 (120 დღე \times 4 ლიტრ. = 480) ლიტრი რძე, რაც გადატანილი კარაქ-ყველზე შეადგენს: 24 კილოგრამ კარაქს, 48 კილოგრამ აპარულ ყველს და 12 კილოგრამ ნაღულს.

წვრილფეხა პირუტყვის წველადობა. აპარაში წვრილფეხა პირუტყვის წველადობაც საგრძნობლად დაბალია. თხის ლაქტაციის ხანგრძლივობა საშუალოდ უდრის 80 დღეს, ცხვრისა უფრო ნაკლებია, საშუალოდ 70 დღეს აღწევს. ლაქტაცია იწყება მარტიდან და უმეტესად აპრილ-მაისზე მოდის. ბარში ყოფნის დროს რძე ფითქმის მთლიანად ბატკნების კვებას ხმარდება, ალპაეის დასაწყისში 10—15 ივნისიდან ბატკნების გადაყვანა შესაძლებელია დამოუკიდებელ კვებაზე და მხოლოდ მაშინ იწყება წველა. თხის

წველა ალპაეის პერიოდში, დაწყებული იენისის პირველ რიცხვებიდან აგვისტოს ბოლომდე გრძელდება, ცხვარი კი აგვისტოს შუა რიცხვებამდე იწველება.

აქარული თხა დღე-ღამეში საშუალოდ 1 ლიტრს იწველის, ალპაეის მთელ მანძილზე კი ერთი თხა საშუალოდ იძლევა 80 ლიტრ რძეს, რაც კარაქ-ყველზე გადატანილი შეადგენს 3 კილოგრამ კარაქსა და 6 კილოგრამ ყველს.

ცხვარი დღე-ღამეში საშუალოდ იძლევა 0,25 ლიტრ რძეს, ალპაეის მთელ მანძილზე კი საშუალოდ 15 (60 დღე \times 0,25 = 15) ლიტრს, რაც კარაქ-ყველზე გადატანილი შეადგენს 1,2 კილოგრამ კარაქსა და 2—3 კილოგრამ ყველს.

ალპაეის დროს რძის მთელი რაოდენობა მიდის კარაქ-ყველის დასამზადებლად. ძროხის რძე უპირატესად კარაქისა და ყველის დამზადებას ხმარდება. რაც შეეხება კამეჩის რძეს, ის, როგორც ვიცით, მეტად სქელია და არომატული, იგი ბევრ ცხიმს შეიცავს, მისგან იშვიათად ამზადებენ ყველს, მას უმთავრესად კარაქისა და მაწონისათვის იყენებენ. კამეჩის რძისაგან მიღებული კარაქი ზეთი ფერისაა და უფრო ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე ძროხისას. ამიტომ წმინდა სახით მას იშვიათად ამზადებენ და ჩვეულებრივად ძროხის კარაქში ურევენ.

ცხვრის რძისაგან უმეტესად ყველს ამზადებენ, ხოლო თხის რძისაგან—კარაქს, მაგრამ თხის რძისაგან დამზადებულ კარაქს მკრთალი, თეთრი, არასასიამოვნო შეხედულება აქვს. იგი უფრო ცუდად ინახება, ვიდრე ძროხის კარაქი. თხის რძისაგან იშვიათად ყველსაც ამზადებენ, ზოგჯერ რძედვე ხმარობენ.

რძის პროდუქტები და მისი დამზადება. აქარის ალპურ მეურნეობაში უმთავრესად კარაქს ამზადებენ, ხოლო ყველის, და უფრო მეტად სხვა პროდუქტების, დამზადება მცირე რაოდენობით ხდება. რძის წარმოებაში ჯერ კიდევ პრიმიტიული წესებია გამოყენებული.

რძის წარმოებაში გამოყენებული ხელსაწყოები ია: ვიდრო, ქოთანი, კოლოფი (გამოიყენება რძის საწველად), სხვადანსხვა ზომის ქვაბი და კარდალი (გამოიყენება რძის ასადულებლად), სხვადანსხვა ზომის გვარდა (გამოიყენება რძის პროდუქტების შესანახად), გარია ანუ კოდანა (გამოიყენება მაწონიდან ნალების მოსარეკად), ჩახვი (გამოიყენება დოს გასაწურავად), რძის საწური, თასი (ინზარება კურკულიდან რძის ან შრატის ამოსაღებად), სხვადანსხვა ზომის ციცხვი, კოვზები და ლაფერი (ინზარება რძის მოსარეკად, ნალების მოსახლელად) და სხვ.

მაგრამ საკოლმეურნეო ფერმებში უკვე მასობრივად გამოყენებულია სეპარატორები. რძის პროდუქტების დამზადების ძველი წესები თანდათანობით გამოდის ხმარებიდან.

ძძის პროდუქტების დამზადების წესები:

კარაქის დანზადება. კარაქს აზზადებენ როგორც ნაღებიდან, ისე მაწინიდან. ნაღებს ასზამენ გვარდაში და კოვზით ურევენ. 15—20 წუთის განმავლობაში ამოტივტივდება კარაქი, მაგრამ პროცესი უფრო მთლიანად არაა დამთავრებული, სპიროა კიდევ მისი სუფთა წყლით რეცხვა და ხელა დაახლოებით 10—15 წუთს. ამ ხნის განმავლობაში 4—5ჯერ უცვლიან წყალს და როცა მას კარაქი აღარ მიიღებს, იგი უკვე საბოლოოდ დამზადებულად ითვლება.

მაწინიდან კარაქს აზზადებენ იმ შემთხვევაში, როდესაც ძძის მარაგი საკმარისი არაა სეპარატორის გამოყენებისათვის. მაწინიდან კარაქის დანზადება ხდება ჰერზე ჩაწოკიდებული ვარიას, ანუ კოდანას საშუალებით. ამ წესით მიღებული კარაქი ირეცხება ცივი წყლით.

ყველ ი. ყველს რამდენიმე სახისას აზზადებენ. აპარულ ყველს აზზადებენ ნაღებმოხდილ ძძისაგან შემდეგი წესით: ათობზენ რძეს, ჩაკვთავენ (თუ რძე ამკვეებულია, მაშინ კვეთს აღარ მოითხოვს) და რაიმეთი ურევენ, ცოტა ხნის შემდეგ რძეში შედღდება ყველი. მიღებულ ყველს ჰურკლიდან ამოღების შემდეგ 3—5 წუთის განმავლობაში გობზე ხელენ გამაგრებისათვის. ასეთი ყველი, ცხადია, დაბალი ხარისხისაა, რადგან უცხიმოა.

საკო ყველს აზზადებენ მოუხდელი ძძისაგან კვლავ ჩაკვეთის საშუალებით. საკო-ყველი თავისი ხარისხით, როგორც ნაღებმოუხდელი, ცხადია, გაცილებით უკეთესია, ვიდრე „აპარული ყველი“.

გადახელილს აზზადებენ მოუხდელი ძძისაგან კვეთით ან უამისოდაც. მისი დამზადება ხდება საკო ყველიდანაც.

საკო ყველს და მით უმეტეს გადახელილს უმნიშვნელო რაოდენობით აზზადებენ, მას საბაზრო დანიშნულება არც კი აქვს.

ყველის შენახვა. ყველს დებენ კასრში (გვარდაში), აყრიან მარისლს, შემდეგ ამგვარადვე უპატებენ ახალ ნაჭრებს და ყველი კასრში წყებად ლაგდება. კასრის გავსების შემდეგ ჰურკლის პირს ერბოთი მოლესავენ გაფუჭებისაგან დაცვის მიზნით.

ნადულ ი. ყველის ამოღების შემდეგ შრატს აღულებენ და გაწურვის საშუალებით იღებენ ნადულს, რომელსაც შემდეგ წურავენ. გაწურვის შემდეგ მიიღებენ წმინდა ნადულს, ხოლო დარჩენილ შრატს იყენებენ პირუტყვის (განსაკუთრებით ხბოების) საკვებად.

ნადულს ხმარობენ უშუალოდ საკმელად ან სხვადასხვა საკმელის დამზადების დროს იყენებენ. მისგან აკეთებენ ე. წ. „ყურუს“ (გამხმარი ნადულის კვერი), რომელიც დიდხანს ინახება და უმეტესად მგზავრობის დროს იყენებენ.

ნარეკა. ვარიაში მაწონიდან კარაქის მიღების შემდეგ დარჩენილ მკვე რძეს ნარეკას უწოდებენ, რასაც იყენებენ სასმელად.



რძის წარმოებაში გამოყენებული ხელსაწყოები: 1. ვარია, ანუ კოდანა (სადღებელი), 2. თასი, 3. სპილენძის თევში, 4. გობი, 5. ლაფერი, 6. კასრი, 7. კარდალი, 8. გვარდა, 9. ციხვი, 10. ტაფა, 11. რძის საწურა.

მაჭონი ძლიერ გავრცელებულია და აზნადებენ ზვეულებრივი წესით, როგორც ყველგან.

ყაიმალი მზადდება ნაღებისაგან. ყაიშალისათვის ამჯობინებენ გობზე მიღებულ ნაღებს, ვიდრე სეპარატორისას. გობზე დასხმული რძე 2—3 დღის განმავლობაში იკეთებს ოდნავ მოყვითალო ფერის მეტად გემორიელი ნაღების ქერქს. ქერქს მოზდიან, აურევენ და ცოტა მარილის მიმატების შემდეგ უკვე ყაიმალად ითვლება. ზოგან ყაიმალი მოუბუღელი რძისაგან ახლად ამოღებული ყველის ნაჭრებს ურევენ. ყაიმალი მეტად მსუფე და ძვირფას საჭმელად ითვლება.

მატყლი. ცხვრის გაკრეჭა ხდება ალპაეთის დროს, მხოლოდ შიშაქებს და ნაწილობრივ ყოჩებსაც პირველად კრეჭავენ გაზაფხულზე, ჯერ კიდევ ბარში ყოუნის დროს, მეორეჯერ კი მთაში დანარჩენ ცხვართან ერთად. მთაში ცხვრის გაკრეჭა იწყება დაახლოებით 20 ივლისიდან და მთავრდება 15 აგვისტომდე.

გაკრეჭა ხდება სრულიად მარტივი წესით: აწვენენ ცხვარს, შეუკრავენ ფეხებს და კრეჭენ დუქარლით. სხვა რაიმე გაუმჯობესებული იარაღის გამოყენებას აღგილი არა აქვს. კრეჭას უმეტესად მამაკაცები აწარმოებენ. დღეში ერთი კაცი კარგი მუშაობით 50 ცხვარს გაკრეჭს. საშუალოდ 35 ცხვარი მოღის ერთ მკრეჭავზე.

მატყლის ხარისხი ცუდია. უხეში მატყლის სახელწოდება აქვს დამსახურებული. ფერით უპირატესად მუქია. დაახლოებით 15 % გვხვდება თეთრი, ასეთივე რაოდენობით შავი ან ყავისფერი მატყლიც.

აჭარული მატყლი ამავე დროს ძლიერ ქუჭყიანია, რადგან აქ გავრცელებულ ჯიშის ცხვარს დიდი რაოდენობის ოფლი ახასიათებს. გარეცხვა-გასუფთავების შემდეგ საშუალოდ რჩება 40—50 პროცენტი წმინდა მატყლი.

აჭარული მატყლი მძიმეა, ბეწვის სიგრძე საშუალოდ 15 სანტიმეტრს აღწევს. სხვა დანარჩენი თვისებები აჭარული მატყლისა ჯერჯერობით გამორკვეული არ არას. ძლიერ მცირე რაოდენობით გვხვდება მერანოსის და მისი მეტისებას მატყლიც. შევხვდებით თხის მატყლსაც, როქელსაც უმეტესად სქეციალური დანიშნულებითათვის ხმარობენ.

გაზოსავლიანობა. მატყლის გამოსავლიანობა ასეთია:

ყოჩი იძლევა —	3-4 კილოგრამამდე მატყლს
დედა-ცხვარი —	1700 გრ.—2,5 კილოგრამამდე
შიშაქები —	1200 გრ.—2 კილოგრამამდე
ბატკნები —	500 გრ.—800 გრამამდე.

საშუალოდ ფარის ერთ თავ ცხეარზე ანგარიშობენ 1800 გრამ მატყლს. დამზადებული მატყლის თითქმის 90 პროცენტი მოდის ალპური პერიოდის წილად.

თ ა ვ ი IX

ალპური მეურნეობის მნიშვნელობა აჭარისათვის

როგორც IV თავში გვქონდა ნათქვამი, საზამთრო საკვების მარაგი პირუტყვს არამც თუ აკმაყოფილებს, არამედ აღვილი აქვს 25—30% დეფიციტს. ზაფხულში კი აჭარის პირუტყვს ალპურ საძოვრებზე კვებავენ. ალპური საძოვრების მნიშვნელობა მესაქონლეობის—სოფლის მეურნეობის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის—არსებობისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის უაღრესად დიდია. არ უნდა გვავიწყვდებოდეთ, რომ: 1) მესაქონლეობა პროდუქტების—რძის ნაწარმის (ყველისა და კარაქის) დაახლოებით 75% და მატყლის 90% უშუალოდ ალპების დროს იძლევა; 2) აჭარის მეტისმეტად დასერილ მთიანი რელიეფის პირობებში მუშა პირუტყვს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება; 3) ორგანულ სასუქს აჭარის უსტრუქტურო ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენის საქმეში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მოსახლეობას ეს კარგად აქვს შეგნებული და ამიტომ პირუტყვისაგან ნაკელის მიღებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ამას ნაკლებ როლს როდი ანიჭებს, ვიდრე პირუტყვისაგან სხვა სარგებლობას.

მაგრამ აჭარის ალპურ მეურნეობას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი აქვს, რაზედაც ზემოთ გვქონდა მოხსენებული.

ჩვენი ალპური მეურნეობის კვლავ ასეთ მდგომარეობაში დატოვება ყოვლად მოუთმენელია, ამიტომ მესაქონლეობის შემდგომი განვითარებისათვის ალპური მეურნეობის რეკონსტრუქცია გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.



ვარიანთი კარაქის დამზადება

ლონისძიებანი აჭარის ალპური მეურ- ნეობის რეკონსტრუქციისათვის

საძოვრების განოყიერება. საძოვრების გაუზღობესების საქმეში ერთ-ერთ უზნიშვნელოვანეს ლონისძიებას წარმოადგენს მისი განოყიერება.

ამ ლონისძიების გატარების შედეგად მოსავლიანობის გადიდებ-
ბასთან ერთად ბალახოვან მასაში გაიზრდება ცილოვან და ნაცრო-
ვან ელემენტთა რაოდენობა. როგორც ალპური საძოვრების გან-
ხილვისას დავინახეთ, აქ უმეტესად გავრცელებულია მთის მდელო-
თა კორდიანი და გაეწრებულა ნიადაგები, რომელსაც შვირე სისქე
და ძლიერი ხირხატიანობა ახასიათებს. ეს ნიადაგები ჰუმუსით და-
რჩობა და ახასიათებს მუყევი რეაქცია (pH 5,5). ეს ლონისძიება სა-
ძოვრების განოყიერებისათვის უმეტესად ასეთ ნიადაგზე უნდა ჩა-
ტარდეს.

1930 წ. ყანლიდალის საძოვრებზე ა. მაყაშვილის მიერ დაყენე-
ბული იყო სათანადო ცდები. ამ ცდებმა გვიჩვენა, რომ ყველაზე
დიდ ეფექტს იძლევა აზოტოვანი სასუქები. აღნიშნული სასუქის
სახეებიდან ყველაზე ეფექტურია აღმოჩნდა გოგირდმყავა ამო-
ნიუმი, რომელმაც ბალახის მოსავალი საკონტროლო ნაკვეთთან
შედარებით 120 პროცენტით გაზარდა.

მინერალურა სასუქის აღნიშნული ფორმის ერთ ჰექტარზე
45—55 კილოგრამის რაოდენობით შეტანა საკმარისად ასწევს სა-
ძოვრების პროდუქტივობას, მაგრამ ჩვენი ალპური საძოვრებისათ-
ვის უფრო ხელმისაწვდომ სასუქად უნდა ჩაითვალოს ნაკელი და
წუნწუხი. საძოვრებზე ნაკელი წლიდან-წლობით მეტად დიდი რაოდ-
ენობით გროვდება. თითოეულ ბოსკელთან ნაკელის მთელი ზვინებია
აღმართული. ეს უძვირფასესი სასუქი ჩვენს იაილებზე გამოუყენე-
ბელი რჩება.

ნაკელი და წუნწუხი უძვირფასეს სასუქს წარმოადგენს. მისი
ფართო და რაციონალური გამოყენებისათვის საჭიროა გზები და
ტრანსპორტი. ამ მხრივ ჩვენი იაილების უჭეტესობა არახელსაყრელ
პირობებშია. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ამ სასუქების
განსაკუთრებულ ღირსებას საძოვრების პროდუქტივობის გაზარდის
საქმეში, ყველა სახის დაბრკოლება, რომელიც წინ ედობება მისი

გამოყენების ორგანიზაციას, აუცილებლად გადალახულ უნდა იქნას.

მავნე ბალახებისაგან განთავისუფლება. აჭარის ალპურ საძოვრებზე მთებზე ბალახებიდან უპეტესად გვხვდება შხამა *Veratrum Lobelianum Bernh.*, ძიგვა *Nardus stricta L.*, სიბალღია *Sibaldia parviflora W.*, სხადასხვა ბაიხ *Ranunculus*, ალპური მეთუნა *Rumex acetoselloides L.*, სოსანი *Delphinium* და ჭილი *Juncus*. ეს ბალახები არა მარტო ამცირებენ საძოვრების ღირსებას, არამედ ზოგი მათგანი პირუტყვს მოწაშლვასაც იწვევს. ამიტომ ალპური საძოვრების გაუმჯობესების საქმეში სარეველა ბალახების მოსპობა ერთ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს. ეს საქმე არ არის დიდ სიძნელებთან დაკავშირებული. მთელი მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ბალახი სისტემატურად იქნას მოცილებული საძოვრებიდან. გულმოდგინე და სისტემატური მუშაობით 2—3 წლის განმავლობაში შესაძლებელია მათგან სრული განთავისუფლება და მათი ადგილი საკვებად ვარგის ბალახს დაეთმო. სარეველა ბალახებიდან ყველაზე უფრო გავრცელებული და ზიანის მომტანია შხამა, ამიტომ ცოტა უფრო დაწვრილებით შეეჩერდებით ამ უქანასკნელთან ბრძოლის საკითხზე.

შხამა წარმოადგენს მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეს, სიმაღლით ერთ მეტრამდე, ფართო ფოთლებითა და მოყვითალო-მომწვანო ყვავილებით. მისი მოსპობისათვის საჭიროდ თვლიან ფესურების თანდათანობით გამოფიტვას (28). ამისათვის მცენარე საეგეტაციო პერიოდის დასაწყისშივე, როდესაც მისი ღეროები დაახლოებით 10 სანტიმეტრს მიაღწევს, უნდა მოიჭრას ნიადაგის დონეზე, ახალი ღეროების წარმოშობის შემთხვევაში განმეორებით უნდა მოიჭრას. ამრიგად, შხამას მიწის ზედა ნაწილები, რომელთა საშუალებითაც წარმოებს საკვები ნივთიერებების შექმნა, თუ სისტემატურად იქნება მოჭრილი, საბოლოოდ მოისპობა. ეს ხელს შეუშლის, ცხადია, პლასტიკური ნივთიერებების დაგროვებას შხამას ფესურებში, რის გამოც ეს უქანასკნელი თანდათან დაუძლურდება და მოისპობა. თუ შემდეგ წელში შხამამ ღეროები კვლავ ამოიყარა, მათი მოჭრა იმავე წესით უნდა განმეორდეს, როგორც პირველ წელიწადს და ამის შემდეგ შხამა საბოლოოდ მოისპობა.

შხამასთან ბრძოლის ტექნიკური მხარე სრულიად მარტივია. 5—6 კაციანგან შემდგარ ბრიგადას, რომელიც გამოვა შხამასთან საბრძოლველად, გამოაქვს დანები ან წაწვეტილი ჯოხები. ბრიგადის თითოეული წევრი ამ იარაღს არჭობს შხამას ღეროში ნიადაგის დონეზე და ჭრის. მოჭრილ ღეროებს ბრიგადა ერთ ადგილას აგროვებს და პირუტყვის მოწაშლვის თავიდან ასაცილებლად, — მოსპობს.



შხამთი დასერეულნიანებულ სძვარი (სარჩიარჩი)

ასე შეიძლება საძოვრების გაწმენდა შხამიანი და სხვა მავნე სარე-
ველა ბალახებისაგან, მაგრამ სარეველა ბალახების მოცილება გა-
მოიწვევს კორდის გათხლებას, ეს კი შეიძლება თავიდან ავიცილოთ
საკვები ბალახის შეთესვით.

ხაკვამი ბალახების შემთხვა. სპეციალისტების რჩევით,
ჩვენს ალპურ საძოვრებზე შესათესად უფრო მიზანშეწონილია მარც-
ვლოვანებიდან ალპური ტიმოთის ბალახი (*Ph. alpinum L.*), მდელის
თივაქასრა (*Poa pratensis L.*), ცხერის წივანა (*Festuca ovina L.*)
და სხვ.

პარკოსან მცენარეთაგან შესათესად საუკეთესო ბალახად უნ-
და ჩითვალოს თეთრი სამყურა. შეთესვას ამჯობინებენ ადგილობ-
რივი რეპროდუქციის თესლით; ამიტომ პირველ ყოვლისა, საჭიროა
სათესლე ნაკვეთების გამოყოფა და აღნიშნულ მცენარეთა კულ-
ტივირება. ამ მცენარეთა შერჩეული ჯანსაღი და ღონიერა ბუჩქე-
ბი უნდა დაირგოს ცალკე ნაკვეთებზე. სათანადო მოვლა-პატრო-
ნობის შემდეგ ძეორე წელს ნარგავებიდან შეიძლება შეთესვისათვის
საჭირო თესლის მიღება. სათესლეების მოსაწყობად ალ. მაყაშვილს
ყველაზე უფრო შეაჟურ პუნქტებად მიაჩნია დილაქარისა და
ყანლიდაგის საძოვრები.

თავისთავად ცხადია, რომ შეთესვა შეიძლება აგრეთვე შეგ-
როვილი და ნაყიდი თესლითაც. ბალახის შეთესვა უნდა მოხდეს
თოვლის გადნობის შემდეგ, სანამ ნიადაგი ჯერ კიდევ თოვლის
წყლითაა გაქლენილი, რადგან მინდვრის ბალახი ამოსვლისა და
განვითარებისათვის მოითხოვს წყლის მნიშვნელოვან ოდენობას.
ყველა საჭირო პირობის დაცვით, შეთესილი ბალახი წარმატებით
განვითარდება, ფესვს გაიდგამს და შემდეგ წელს ხშირ ბალახოვან
საფარველს შექმნის, რის გამო წინანდელი დასარეველიანებული,
ნაკლებ ან სრულად უვარჯიხი კორდი კარგი ღირსების საკვებ ბა-
ლახს მოგვცემს. საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ბალა-
ხის შეთესვა უნდა წარმოებდეს ისეთ ნაკვეთზე, რომელიც ერთი
წლით გამოდის ექპლოატაციიდან. ამ ხნის განმავლობაში უნდა
მოხდეს მისი დასვენება და წესრიგში მოყვანა, ე. ი. შხამიანი ბალა-
ხებისაგან, ქვისა და ბუჩქისაგან გაწმენდა. შეთესილი ბალახის განვითა-
რების პირველ წელს საძოვარზე პირუტყვის ჭოვება არ შეიძლება, ეს
ხელს შეუწყობს მიწისქვეშა ვეგეტატიური ორგანოების გაძლიერე-
ბას, შეთესილ მცენარეთა ამოსვლის გაძლიერებას, რომელიც შემ-
დეგ წელში უკვე სოლონიერებული შევა ნორმალურ ექსპლოატა-
ციაში.

გუჩინარები და მისი გაწმენდა. განხილულ საძოვრებზე ბუჩ-
ქნარებიდან უმეტესად განვითარებულია დეკა, რომელსაც ადგილო-

ბრივი მოსახლეობა მთის შქერს ეძახის. დეკა უმეტესად მთის ჩრდილო კალთებზე გვხვდება და საკმაოდ დიდი ფართობებიც უჭირავს. ნიადაგები, რომლებზედაც დეკაა განვითარებული, ხასიათდება ფხვიერი ზედა ჰორიზონტით.

დეკის შემდეგ აქარის საძოვრებზე ფართოდ გავრცელებულია ჯანჯლამურა (*Daphne pontica* L.), რომელიც წარმოადგენს შხამიან მცენარეს. მას საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს.

აღსანიშნავია აგრეთვე ღვიანები, რომელსაც ჯანჯლამურასთან შედარებით ნაკლები ფართობი უჭირავს. ღვიანები უმეტესად გავრცელებულია სამხრეთ ფერდობებზე. მათი შედარებით დიდი ფართობები გვხვდება გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში, მაგრამ ცალკეულ პატარა ნაკვეთებს სამხრეთის ფერდობებზე ყველგან შევხვდებით.

აღნიშნული ბუჩქნარები საკვებად სრულიად უსარგებლონი არიან და ხანდახან საქონლის დაავადების მიზეზადაც ხდებიან; ამიტომ ამ ბუჩქნარის მოსპობა, მისი საკვები ბალახით შეცვლა თუმცა ძნელია, მაგრამ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ალპური საძოვრების გაუმჯობესების საქმეში.

ამჟამად დეკას ბუჩქნარის განადგურება წარმოებს, მაგრამ არა ადამიანის უშუალო მონაწილეობით, არამედ პირუტყვის ძოვების შედეგად, რასაც, ცხადია, სტიქიურა—არაგეგმიური ხასიათი აქვს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დეკას მოსპობის საკითხს ზოგიერთი სპეციალისტი არ იზიარებს. ისინი ამტკიცებენ, რომ დეკას საფარის მოცილება გამოიწვევს ნიადაგის ჩამორეცხვას და ზვავების წარმოშობას.

ალ. მაყაშვილიც, რომელმაც აქარის პირობებში ეს საკითხი შეისწავლა, არ უარყოფს დეკას მოსპობის შემდეგ ნიადაგის ჩამორეცხვის შესაძლებლობას ძლიერ ციკაბო ფერდობებიდან, ქვიან ადგილებსა და კლდეებიდან, რადგან მათ მაგარ სუბსტრატზე კორდის შექმნა შეუძლებელი ხდება, მაგრამ ვაკე ადგილებზე შედარებით დამრეც ფერდობებზე მას მიზანშეწონილად მიაჩნია დეკას ბუჩქის მოსპობა.

ჩატარებული დაკვირვებებით დასტურდება, რომ იმ ნაკვეთებზე, რომლებიც წინათ დეკათი იყო დაკავებული (დღვანი, მაწყვალთა და სხვ.) და ამჟამად აქ წარმოქმნილია მშვენიერად შეკრული კორდი, რომელიც არავითარ გაშიშვლებას და ჩამორეცხვას არ განიცდის. მართალია, ზოგან დეკასგან გაწმენდილ ადგილას საკვებად თითქმის უვარგისი მარცვლოვანი მცენარის *Nardus stricta* L. ძიგვას, ანუ როგორც მას აქარაში უწოდებენ ქისრიბას,



დეკას ბუნკარი (ახალდაბის ილიები)

კორდია წარმოქმნილი, რაც მოსალოდნელი იყო მთავრე და ტენიანი ნიადაგის პირობებში, მაგრამ შესაძლებელია მისი განვითარება თავიდან ავიცილოთ, თუ მოვახდენთ ნიადაგის ნეიტრალიზაციას კირის ან სასუქის სხვა რომელიმე სახის საშუალებით.

თუ ყველა საჭირო პირობას დავიცავთ ბუჩქნარის მოსპობის საქმეში და განთავისუფლებულ იდგილას შევთესავთ ბალახს, მივიღებთ საკვებად ვარჯის ძვირფას კორდს, რომელიც საგრძნობლად გაადიდებს საძოვართა სასარგებლო ფართობს.

საძოვართა რაციონალური გამოყენება. ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების ჩატარება ვერ მოგვცემს მოსალოდნელ შედეგებს, თუ საძოვრები რაციონალურად არ იქნება გამოყენებული.

აქარის ასსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონში ჩაწერილია, რომ „გაუმჯობესდეს პირუტყვის ძოვება ბუნებრივი საძოვრების სწორი გამოყენების ორგანიზაციის გზით...“ ბუნებრივი საძოვრების სწორი გამოყენების ორგანიზაციის საქმეში პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მივაქციოთ საძოვართა ტერიტორიის მიწათმოწყობის საქმეს და მის ნორმალურ დატვირთვისთან ერთად ძოვების როტაციული წესის შემოღებას. საძოვართა მიწათმოწყობის ქვეშ ჩვენ გვესმის საძოვარზე გასარეკი პირუტყვის სწორი ტერიტორიული განაწილება სახეობის მიხედვით, რაც ჩვენს ალპურ საძოვრებზე ჯერ კიდევ მოუგვარებელია. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ხშირად ყველა სახის პირუტყვი ერთად ძოვს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

მსხვილფეხა პირუტყვისათვის, როგორც წესი, გამოყოფილ უნდა იქნას საძოვართა ქვედა ზოლი, რომელიც ტყეს ეკვრის. წვრილფეხა პირუტყვისათვის კი განკუთვნილ უნდა იქნას საძოვართა ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს მთის მწვერვალზე და ციცაბო კლდოვან ადგილზე. საძოვრების ასეთ განაწილებას ჩვენს პირობებში ჯერჯერობით აქა-იქ შევხვდებით.

საიალადო საქმეში გამოცდილი კოლმეურნეები დაბეჯითებით დასძენენ, რომ როცა ცხვარი ძროხის საძოვარზე ძოვს, მსხვილფეხა პირუტყვი ნახევრად მშვიერი რჩება. ეს შეიძლება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ცხვარი საზოგადოდ ბალახს თითქმის ფესვამდე კორტნის და თუ მას მოუხდა ძროხის საძოვარზე ძოვა, ამ უკანასკნელს მართლაც რომ ცოტა ბალახი რჩება მოსაძოვებლად. ამავე დროს მაღალ მწვერვალებსა და ციცაბო ადგილზე, რაც მსხვილფეხა პირუტყვისათვის მიუწვდომელია, თხა და ცხვარი თავისუფლად ადის. ამიტომ საძოვრები მტკიცედ უნდა გავმიჯნოთ პირუტყვის სახეების მიხედვით. მაგრამ ეს საკმარისი არაა. გამოყოფილ საძოვ-

რებზე აუცილებლად უნდა შემოვიღოთ ძოვების როტაციული წესი. ეს უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ საძოვრებს, საკვები მარაგის მიხედვით, რამდენადაც მოსახერხებელია, ჰყოფენ ერთნაირ 5—8 ნაკვეთად, რომლებზედაც ძოვება ხდება ერთი-მეორის თანმიმდევრობით, ძოვება პირველი ნაკვეთიდან იწყება, მისი გამოყენების შემდეგ გადადიან მეორე ნაკვეთზე, მესამეზე და ასე უკანასკნელ ნაკვეთამდე, საიდანაც პირუტყვი ხელახლა გადმოჰყავთ პირველ ნაკვეთზე, მეორეზე და ა. შ. ძოვების ასეთი წესის დროს თითოეული ნაკვეთი ოთხჯერ „ისვენებს“ ზაფხულის პერიოდში. ამ ხნის განმავლობაში ბალახი მოლონიერდება და პირუტყვი ღებულობს მწვანე საკვების საკმაო მარაგს.

კულტურული ბოსღვების აგება. აქარის საზაფხულო საძოვრებზე პირუტყვს ღამით უხდება ცივ, ნესტიან, უსინათლოსა და ქუქყიან ბოსღვებში ყოფნა, სადაც ნაკლებადაა დაცული ელემენტარული ჰიგიენური წესები. მშრალი და წვრილფეხა პირუტყვი-სათვის არც ასეთი სადგომები არსებობს და პირუტყვი ყოველგვარ ამინდში ცის ქვეშ ათევს ღამეს. ასეთი პირობები, ცხადია, მოქმედებს პირუტყვის ჯანმრთელობაზე და მის პროდუქტიულობაზე. ამიტომ, რაც არ უნდა გავაუმჯობესოთ საძოვრები, თუ პირუტყვს კვლავ ასე მოვუარეთ, მისი პროდუქტიულობა დიდად არ გაიზრდება. აქარის ასსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ბუნებრივ საძოვრებზე საწარმოო შენობების აგება. ამ გეგმის მიხედვით აქარის ალპურ საძოვრებზე საკოლმეურნეო ფერმებისათვის შენდება ახალი კულტურული ბოსღვები, რაც ბოლოს მოჰდებს ძველებური ერთპიროვნული მეურნეობის დროს აგებული ბოსღვებისათვის დამახასიათებელ ზემოთ აღნიშნულ უარყოფით მხარეებს.

ისეთი კულტურული ბოსღვების აგება, რომლებიც უპასუხებენ თანამედროვე ზოოტექნიკის მოთხოვნებს, და მასში ზოოჰიგიენური პირობების დაცვა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ალპური მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში. ამავე დროს აქარის ალპური მეურნეობის პირობებში ამ ღონისძიებების ჩატარება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან აქ ხე-ტყის მასალა უხვად მოიპოვება.

სამომზარების დაჯავშნვა. აქარის საძოვრები ჯერ კიდევ დაჯავშნული არაა. ზოგი საძოვარი თითქმის სისტემატურად გადადის ერთი მომხმარებელიდან მეორის ხელში. მომხმარებელნი, დაექვებულნი იმაში, რომ მომავალში ეს საძოვარი მათ შესაძლებელია აღარ შეხვდეს, ნაკლებად დაინტერესებული არიან მისი მოვლა-პატრონობით. ცხადია, ასეთი პირობებში ზემოთ ჩამოთვლილი

ლონისძიებების გატარება შეუძლებელი იქნება. ამიტომ ყველა საძოვარი უნდა დაიჯავშნოს ცალკეულ სასოფლო საბჭოებსა და მათში შემავალ კოლმეურნეობებზე. მაშინ შესაძლებელი გახდება ამა თუ იმ ლონისძიების გატარების საქმეში მომხმარებელს მიეცეს გარკვეული დავალება და პასუხისმგებლობა დაეკისროს მის შესრულებასზე.

გზების გაყვანა. პირუტყვის სასიარულო გზები, გარდა მცირე გამოწვლიისა (აქარა-ახალციხის, სხალთა-ჩირუხის), წარმოადგენენ ვიწრო, 0,5-დან 1 მეტრ სიგანის ბილიებს. პირუტყვის საძოვებლად გადასახვევი და დასასვენებელი ადგილები, როგორც მეექვსე თავში გვქონდა აღნიშნული, არსად არ გვხვდება. ეს ბილიები ალაგ-ალაგ გადის სრულიად შიშველ და ისეთ ცეცაბო ადგილებზე, სადაც პირუტყვის სიარული დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ხანდახან ადგილი აქვს პირუტყვის გადაჩხვებისა და დაღუპვის შემთხვევებსაც. გარდა ამისა, ასეთ გზებზე დიდ სიძნელეს წარმოადგენს პროდუქტების, ინვენტარისა და სხვა საქირო საგნების გადატან-გადმოტანა. ამიტომ იაილებზე გზების გაყვანასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სანამ აქარის საძოვრებისაკენ მიმავალი ყველა გზა და აგრეთვე თვით საძოვრებზე არსებული გზა არ მოწესრიგდება და გაუარყოფდება, საძოვრებზე რაიმე სერიოზული ღონისძიების გატარება მეტად ძნელი იქნება.



ასეთია ის ღონისძიებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს აქარის ალპური მეურნეობის რეკონსტრუქციას.

აღნიშნული ღონისძიებების გატარების შედეგად ერთა მხრით, იმდენად გაუმჯობესდება საძოვრების ბუნებრივი შემადგენლობა, რომ ის შეიძლება მივიყვანოთ ხაუკეთესო კორდის ნაყოფიერებაზე, ე. ი. ერთი მექტარი საძოვარი ხაკმარისი დაჩნება სამი სული მსხვილფეხა პირუტყვის გამოსაკვებად; მეორე მხრით, გადიდება თვით საძოვართა ფართობიც და, საბოლოოდ, აქარის ალპურ საძოვრებს ნორმალური დატვირთვის პირობებში შეეძლებათ თითქმის ორჯერ მეტი რაოდენობის პირუტყვი გამოკვებონ, ვიდრე დღეს.

პირუტყვის სულადობრივი ზრდის ძირითად პირობას მტკიცე საკვები ბაზა წარმოადგენს. ამიტომ აქარაში პირუტყვის სულადობრივი და პროდუქტიულობის ზრდის საქმეში ალპურ საძოვრებს, როგორც ნათქვამი გვქონდა, მეტად დიდი როლი ენიჭება. მაგრამ ალპური საძოვრები სახაფხულო საკვებს იძლევენ, ალპურ საძოვრებზე პირუტყვი არა უმეტეს 120 დღე იძყოფება, წლის დანარჩენ დროს კი იგი ბარშია, ამიტომ ალპური საძოვრების გაუმჯობესება-გაფარ-

თოგბას და ამის შემდეგ პირუტყვის სულადობრივ ზრდას უნდა უპასუხებდეს ბარის საკვები ბაზაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ საზაფხულო და საზამთრო საკვები მარაგის შეუფარდებლობას.

მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის დროს ალპურ მეურნეობაში საზაფხულო და საზამთრო მარაგის ასეთი შეუფარდებლობა ჩვეულებრივი მოვლენაა. როგორც პროფ. ლაური აღიარებს, ევროპის ალპურ ქვეყნებში საზაფხულო და საზამთრო მარაგის შეუფარდებლობის გამო მოიალაღე მოსახლეობა იძულებულია შემოდგომაზე ალპური საძოვრებიდან ბარში დაბრუნებული პირუტყვის ნაწილი გაყიდოს. 'ცხადია, ჩვენი პირობებისათვის ასეთი მოვლენა შეუწყნარებელია. გეგმიანი, სოციალისტური სოფლის მეურნეობის დროს ყოველგვარი შესაძლებლობა არსებობს ალპური საძოვრების გაუმჯობესება-გაფართოების შესაბამისად ბარშიაც მოვახდინოთ საკვები ბაზის გაფართოება და არ დაურჩეს ადგილი საზაფხულო და საზამთრო საკვები მარაგის შეუფარდებლობას.

აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონში, სადაც ჩაწერილია: „გაუმჯობესდეს პირუტყვის ძოვება ბუნებრივი საძოვრების სწორი გამოყენების ორგანიზაციის გზით“, ნათქვამია აგრეთვე, რომ უნდა „შეიქმნას ზამთრის საძოვრებზე საკვების მარაგი“.

ბარში საკმარისი რაოდენობის საზამთრო საკვები მარაგის შესაქმნელად საჭირო ღონისძიებების გატარება ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს და მასზე აქ არ შევჩერდებით. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ ხუთწლიანი გეგმის ეს ამოცანა წარმატებით ხორციელდება და, ამრიგად, ალპური საძოვრების, ე. ი. საზაფხულო საკვები მარაგის შესაბამისად ზამთრის საკვები მარაგის გაფართოებაც საბოლოოდ წლის ყველა დროისათვის უზრუნველყოფს აჭარაში მტკიცე საკვები ბაზის შექმნას მესაქონლეობის შემდგომი სულადობრივი და მისი პროდუქტიულობის ზრდისათვის.

* * *

ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტური ალპური მეურნეობის პირობებში, შესაძლებელი ხდება რაციონალურად იქნას გამოყენებული ალპური საძოვრები და გატარებულ იქნას ყოველგვარი ღონისძიებები მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის დროს ადამიანი, ახდენს რა ბუნებრივი რესურსების უგეგმო და მტაცებლურ ექსპლოატაციას, ალპური საძოვრებიც, ცხადია, ამასვე განიცდის ადამიან-

ნისაგან. კაპიტალიზმის პირობებში ალპური საძოვრების მესაკუთრე მემამულენი ალპური მეურნეობის გაუმჯობესებისათვის საქირო ღონისძიებებთან დაკავშირებულ ხარჯებს გაუზიან და დაინტერესებულნი არიან მხოლოდ გაძლიერებული ექსპლოატაციის შედეგად, რაც შეიძლება მეტი ამოქაჩონ ამ დარგიდან. ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი ალპური მოსახლეობის, კერძოდ, ნწყემსების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების გატარებაზე და სხვ.

თუ ჩვენს მიერ განხილულ ალპურ მეურნეობასაც დღესაც შერჩენია რიგი ნაკლოვანი მხარეები, ესაა სწორედ ნაშთი იმ წინანდელი ჩამორჩენილი საიალადო მეურნეობისა, როცა საძოვრები ეკუთვნოდა მემამულეებს, მისი გამოყენება ხდებოდა ყოველგვარი წესის დაცვის გარეშე და არავინ არ ზრუნავდა ამ დარგის გაუმჯობესებისათვის.

სოციალისტური მეცხოველეობის წინაშე მდგარი ამოცანები კი ვეღარ ითმენს წინანდელ ალპურ მეურნეობიდან შერჩენილ ნაკლოვან მხარეებს და აჭარის ალპური მეურნეობა მოითხოვს მის რეკონსტრუქციას, რომ ის ნამდვილად პასუხობდეს მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის მზარდ მოთხოვნებს, იმ დიდსა და საპასუხისმგებლო ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე დასმულია ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმით.

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

- გვარდა** —ოვალური კასრი, რომელშიც რძის პროდუქტები ინახება.
- ვაჩია** —სადღვებელი, რომლითაც კარაქს დღვებავენ.
- ვაილა** —საზაფხულო შენობა მთის საძოვარზე.
- კარდალი** —პატარა ქვაბი.
- კამიწი** —გვარდა (იხ. გვარდა).
- კოლოფი** —ყავრის ცილინდრული ჭურჭელი.
- კოდანა** —იგივე ვარია, სადღვებელი.
- კვეთი** —რძის შესადღვებელი წამალი (ყველისდღდა).
- ლაფეჩი** —პატარა ბრტყელი ნიჩაბი, რომელსაც იყენებენ კარაქის ასაღებად.
- მორჩვი** —ნორჩი ბალახი.
- მთობა** —მთაში საზაფხულო საძოვრებთან დაკავშირებული შრომა-საქმიანობა, ალპური მეურნეობა.
- ნამთივრი** —ალპაეის პერიოდში დამზადებული პროდუქტები.
- ნარეკა** —მაწენიდან კარაქის დამზადების შემდეგ დარჩენილი მეავე სითხე.
- სახძელი** —ბზის ან თივის შესანახი ფარდული.
- ხელი** —ბორბლებიანი მარხილი.
- ქიხრიბა** —სარეველა ბალახი.
- ყაიშალი** —საქმელად შემზადებული ნაღები.

უიშლა --საზაფხულო საძოვრების წინა საფეხური, სათიბი და აგრეთვე საგაზაფხულო და საშემოდგომო საძოვარი (თივის აღების შემდეგ).

ჩაკვეთა — ყველის ან მაწვნის შედგება.

ჩახვი — პატარა ტომარა.

ციცხვი — ხის დიდი ჯოჯოხი.

ხაპო ყველი — ახალამოღებული დაუმარილებელი ყველი.

ჯანჯლამურა — ბუჩქი (მელიქაური).

ჯარა — პირუტყვისათვის წყლის დასალევი დიდი გობი.

ბამოქმენებული ლიტერატურა

1. ა. ბედიაშვილი—რძის მეურნეობა, თბილისი, 1935 წ.
2. პროფ. გ. გესტმანი—ალპური მეურნეობა, საქართველოს ეკონომისტი, № 3, თბილისი, 1929 წ.
3. პროფ. გ. გესტმანი—საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, თბილისი, 1925 წ.
4. პროფ. ივ. გაჩეჩილაძე—კლიმატოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 1932 წ.
5. რ. გედევანიშვილი—მსხვილფეხა რქიანი საქონელი, თბილისი, 1928 წ.
6. გროსჭვიმი, სოსნოვსკი, ტროიციკი—საქართველოს მცენარეულობა, თბილისი, 1927 წ.
7. აკად. ვ. ვილიამსი—ნიადამცოდნეობა, მეორე ნაწ. თბილისი, 1941 წ.
8. აკად. მ. თ. ივანოვი—მეცხვარეობა, თბილისი, 1939 წ.
9. ნ. კეცხოველი—მასალები კულტურულ მცენარეთა ზონალობის შესასწავლად კავკასიონზე, თბილისი, 1932 წ.
10. ნ. კეცხოველი—საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბილისი, 1936 წ.
11. ნ. ნიჟარაძე—აპარის გეოგრაფიული მიმოხილვა, ბათუმი, 1941 წ. (ხელნაწერი, აპარის მხარეთმცოდნ. სამეც. საკვ. ინსტიტუტი).
12. ნ. ნიჟარაძე—აპარის კლიმატური მიმოხილვა, ბათუმი, 1937 წ. (ხელნაწერი, აპარის მხარეთმცოდნ. სამეც. საკვ. ინსტიტუტი).
13. გ. პლეტნიოვი, ს. კუმბურაძე, ნ. გელოვანი, მ. გურგენიძე—ცხვრისათვის საზაფხულო საძოვრის ნაკეთობა-

რიგეობითი წესით გამოყენება, თბილისი, 1941 წ.
(საქართ. მეცხოველეობის სამეც.-კვლევითი ინსტი-
ტუტის შრომები).

14. ი. პოპოვი—სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება, თბილისი, 1937 წ.
15. პროფ. ა. ჯავახიშვილი—საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, გეომორფოლოგია, თბილისი, 1926 წ.
16. Л. Адамец—Общая зоотехника. Ленинград—Москва, 1933 г.
17. Проф. С. Г. Азаров—Крупный рогатый скот, Москва, 1939 г.
18. А. Г. Балабуев—Краткий очерк летнего сезона на высокогорных пастбищах Аджаристана (Рукопись по материалам метеорологических наблюдений во время почвенной экспедиции летом 1932 г. Архив Наркомзема Аджарии, г. Батуми).
19. Большая советская энциклопедия 1, 2, Москва.
20. В. С. Гавриленко—Климат курорта Бахмаро. (კურორტ ბახმაროს შრომების კრებ. № 1, 1935 წ., თბილისი).
21. С. А. Захаров—К характеристике высокогорных почв Кавказа. Москва, 1942 г.
22. А. Калантар—Материалы для устройства казенных летних и зимних пастбищ на Кавказе. Тифлис, 1890 г.
23. Калантаров—Состояние скотоводства на Кавказе, (рогатый скот), Тифлис, 1890 г.
24. П. Н. Кюцховели—Краткий очерк растительности Аджарии, „Курорты Аджарии“, 1935 г. Батуми.

25. **Б. А. Клопотовский**—Высокогорные почвы Аджаристана (Арсиянский и Шавшетский хребты) рукопись, Тифлис, 1935 г.
26. **В. Я. Лисовский**—Чорохский Край. Военно-статистический очерк, вып. 1, 1887 г.
27. **А. Ф. Ляистер**—Орографический очерк Аджарии (Курорты Аджарии, 1935 г.).
28. **А. Макашвили**—Летние пастбища Аджарии, Гурии и Имерети. 1932 г. (рукопись).
29. **Д. Оловянишников**—Кормовой вопрос в Аджарии. г. Батуми, 1940 г. (рукопись, Краевед. Науч. Исслед. Институт Аджарии).
30. **Д. Оловянишников**—Состояние животноводства Аджарии, г. Батуми, 1939 г. (рукопись, Краевед. Науч. Исслед. Институт).
31. **Н. А. Троицкий**—Из наблюдений над горными лугами Бакурианского района, г. Тифлис, 1919 г.
32. **Н. А. Троицкий**—Растительность Грузии, как естественно-производительная сила. Ленинград, 1930 г.
33. **И. В. Фигуровский**— Опыт исследования климатов Кавказа. Петербург. 1912 г. т. 1.
34. Проф. **А. Филиппсон**—Альпийские страны (Всемирная география „Европа“). С. Петербург.
35. **Г. Чиравадзе**—Климатические условия курорта Бахмаро (жур. „Курорт Бахмаро“, № 1, 1935 г.).
36. **М. Штнядель**—Изучение кормовых вопросов своего района, Москва, 1939 г.
37. **В. Христианович**—Горная Ингушия. К материалам по Экономике альпийского ландшафта, Ростов на Дону, 1928 г.

ს ა რ ჩ ე მ ი:

რედაქტორის ავან	3
წინასიტყვაობა	5
თ ა ვ ი I	
ბები. აქარის ალბური საძოვრების ფაზიკურ-გეოგრაფიული პირო-	8
ბები. ზედაპირი	8
კლიმატი	10
ნიადაგები	18
მცენარეული საფარი	20
თ ა ვ ი II	
აქარის ალბური საძოვრების სამეურნეო მნიშვნელობა.	29
თ ა ვ ი III	
მესაქონლეობა (ზოგადი მიმოხილვა).	35
თ ა ვ ი IV	
საკვები ბაზა ბარში.	39
საკვების სახეები	39
პირუტყვის უზრუნველყოფა საკვებით	45
თ ა ვ ი V	
მა აქარაში. ალბური მეურნეობის ძირითადი თავისებურება და მისი ფორ-	47
ალბური მეურნეობის განსახლება	47
ალბების საფეხურები	49
ალბების საფეხურები აქარაში	51
თ ა ვ ი VI	
ცხოველთა ალბები.	56
ცხოველთა მოძრაობის ხასიათი	56
გზები	60

საძოვრების გამოყენება პირუტყვის სახეობის მიხედვით .	64
პირუტყვის უზრუნველყოფა წყლით .	65
ალპური საძოვრების დატვირთვა	65
ძოვების სისტემა	68
პირუტყვის სადგომები—ბოსლები	68
პირუტყვის მიბარება	71

თ ა გ ი VII

მოიალალე მოსახლეობა და მისი ყოფაცხოვრების პირობები	72
მომზარებელნი	72
შენობები—იანილები	74
მოსახლეობის მომსახურება	74
მოსახლეობის შრომა-საქმიანობა	74
საკოლმეურნეო მწყემსები და მათა მუშაობის პირობები	77
დახვეწება და გარაობა	78

თ ა გ ი VIII

ალპური მეურნეობის პროდუქცია	81
რ ძ ე	81
მ ა ტ ყ ლ ი	87

თ ა გ ი IX

ალპური მეურნეობის მნიშვნელობა აჭარისათვის	88
---	----

თ ა გ ი X

ლონისძიებანი აჭარის ალპური მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის	91
საძოვრების განოყიერება	91
მავნე ბალახებისაგან განთავისუფლება	92
საკვები ბალახების შეაფსვა	95
ბუჩქნარები და მისი გაწმენდა	95
საძოვრების რაციონალური გამოყენება	99
კულტურული ბოსლების აგება	100
საძოვრების დაჯავშნვა	100
გზების გაყვანა	101
ლექსიკონი	104
გამოყენებული ლიტერატურა	106

რედაქტორი

დოც. ა. მაყაშვილი.

ტექნოლოგიური ს. ტულუში

გადაგვა წარმოგვას 30/VI 1948 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/IX 1948 წ.
საავტორო ფორმათა რაოდენობა 6,7; სასტამბო ფორმათა რაოდენობა 7;
ანაწყოების ზომა 6X9. შეკვეთის № 2266. ემ 00007. ტირაჟი 5.000.

აჭარის ასსრ ადგ. მრეწველობის სამინისტროს ბათუმის სამრეწველო კომბინატის
სტამბა-ლითოგრაფია.